ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 5_ მაისი 1963 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წლის 1 მაისის დღესასწაული თბილისში. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ტრიბუნაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა, მ. კვირიკაშვილისა და გ. ვახტანგაძისა.

# პირველი მაისი თბილისში





ფოტო გ. თიკანაძისა

# „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

1963 წლის 16 და 17 აპრილს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომები.

კომიტეტმა განიხილა წინადადებანი 1962 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

ქვემოთ ქვეყნდება კომიტეტის დადგენილება საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.



მოდიბო კეიტა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მანოლის გლეზოსი

# „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის დადგენილება

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1962 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მშვიდობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები:

მოდიბო კეიტას — საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს (მალის რესპუბლიკა);

მანოლის გლეზოსს — ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს (საბერძნეთი);

გიორგი ტრაიკოვს — საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა);

ოსკარ ნიმეიერს — არქიტექტორს, საზოგადო მოღვაწეს (ბრაზილია).

მოსკოვი, 1963 წლის 17 აპრილი.



გიორგი ტრაიკოვი



ოსკარ ნიმეიერი

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ამას წინათ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელიც გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა აკადემიკოსმა ი. ს. ბერიტაშვილმა.

სესიამ განიხილა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები და დასახა მათი წარმატებით გადაჭრის კონკრეტული გზები.

სესიამ აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები და დაამტკიცა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის დებულება, განიხილა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში, დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და შექმნა საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სესიის მუშაობა ორ დღეს გაგრძელდა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (142) მაისი, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი

დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, აპრილის თვე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დღესასწაულის თვეა. 22 აპრილს, დიდი ლენინის დაბადების დღეს, ცნობილი ხდება იმ საბჭოთა მოღვაწეების სახელი, რომელთა შრომისა და გონების ნაყოფი სათანადო დარგის მოწინავე სპეციალისტების მიერ აღიარებულია, როგორც ყველაზე უფრო დიდი მიღწევა განვლილ პერიოდში.

იყო რჩეული ისეთ მძლავრ, მრავალრიცხოვან და სახელოვან კოლექტივში, როგორიც საბჭოთა მათემატიკური სკოლაა, რომელიც თანამედროვე მათემატიკის აღიარებულ ფორპოსტს წარმოადგენს, ჭეშმარიტად ბრწყინვალე ნიჭისა და დიდი შრომის უნარის მქონე მეცნიერის ხვედრია. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ლენინური პრემიის ლაურეატ მათემატიკოსთა სახელოვანი პლეადა მეტად ძუნწად იზრდება. ამ პლეადას მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი მათემატიკოსი შეემატა. ესაა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საკავშირო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი ილია ნესტორის-ძე ვეკუა.

ილია ვეკუა 70-ზე მეტი პირველხარისხოვანი სამეცნიერო ნაშრომისა და ორი მონოგრაფიის ავტორია. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება მეცნიერების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან დიდი ოსტატობით მოახერხა კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გამოყენების ჩარჩოების გაფართოება. ამასთან, მიღებული წმინდა თეორიული ხასიათის შედეგები მის მიერვე წარმატებით იქნა გამოყენებული მთელ რიგ პრაქტიკულად მეტად საინტერესო ამოცანებში. ეს შედეგები, რომელიც მის მიერ თბილისში ყოფნის დროს იქნა მიღებული, ი. ვეკუამ შეაჯამა 1948 წელს თავის მონოგრაფიაში „ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნების ახალი მეთოდები“, რისთვისაც მას 1950 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1952 წელს ი. ვეკუა სამუშაოდ მიიწვიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. ერთდროულად იგი მიწვეულ იქნა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. ამ პერიოდში დაიწყო მან ინტენსიური მუშაობა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ასაგებად საკმაოდ ზოგად დაშვებებში. ი. ვეკუამ არამარტო დაასრულა ეს თეორია, არამედ წარმატებითაც გამოიყენა იგი მთელი რიგი სერიოზული აქტუალური ამოცანების ამოსახსნელად მექანიკასა და გეომეტრიაში. თავისი გამოკვლევათა ეს ციკლი ი. ვეკუამ შეაჯამა მეორე მონოგრაფიაში: „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1959 წელს. სწორედ ამ ნაშრომის გამო მიენიჭა მას ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება.

ამჟამად ი. ვეკუა თავის ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა ჩვენი კავშირის ახალ დიდ სამეცნიერო ცენტრში — ნოვოსიბირსკში, სადაც იგი უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ასრულებს.

ი. ვეკუას მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია დიდი სამეცნიერო მუშაობის ჰარმონიული შეხამებისა ფართო პედაგოგიურ მოღვაწეობასთან, მკვლევარისა — აღმზრდელთან. მისი სამეცნიერო სემინარები ყოველთვის მჩქეფარე შემოქმედებითი სულითაა გაჟღენთილი და მასში მონაწილეებს თავდადებული შრომისა და ძიებისაკენ მოუწოდებს. ი. ვეკუას რამდენიმე ათეული მადლიერი აღზრდილი ჰყავს ჩვენი კავშირის სხვადასხვა კუთხეში, რომელთა შორის ბევრია მეცნიერების დოქტორი.

ილია ვეკუა ამჟამად თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობის აღმავლობის პერიოდში იმყოფება. ეჭვი არაა, ის დამსახურებული უმაღლესი ჯილდო, რომელიც მას მიენიჭა, გადაიქცევა მისთვის კიდევ ერთ დამატებით სტიმულად მომავალი მიღწევებისათვის.

პროფ. ა. კალანდია, პროფ. ბ. ხვედელიძე

# პარტიის ერთგული ჯარისკაცები

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის ერთგული ჯარისკაცები უწოდა. „ჩვენი პარტია, — აღნიშნავდა იგი, — ყოველთვის მოითხოვდა პარტიულობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში. იგი მიესალმება ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც მოხუც, ისე ახალგაზრდა მოღვაწეებს, პარტიულებსა და უპარტიოებს, რომლებიც მტკიცედ ადგანან კომუნისტური იდეურობის პოზიციებს მხატვრული შემოქმედების საკითხებში. ისინი პარტიის დასაყრდენი, მისი ერთგული ჯარისკაცები არიან“.

ეს სიტყვები სიამაყითა და ულრმესი პასუხისმგებლობის გრძნობით ავსებს ყოველ შემოქმედს — მწერალსა და მხატვარს, მსახიობსა და მუსიკოსს, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკს.

ამ მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით, მთელი გატაცებით ემზადება ჩვენი ქვეყანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის, რომელიც 18 ივნისს დაიწყებს მუშაობას ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და რომელიც განიხილავს იდეოლოგიური მუშაობის მორიგ ამოცანებს.

პარტიის XXII ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებებმა, სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის დაწყებულმა გრანდიოზულმა შემოქმედებითმა მუშაობამ, პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციამ, ლენინური ნორმების აღდგენამ უაღრესად ხელისშემწყობი პირობები შექმნეს მთელი იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობისათვის, მხატვრული შემოქმედების აყვავებისათვის. ხელოვნება ხალხს ეკუთვნის და ჩვენი ხალხიც მაღალ მოთხოვნილებას უყენებს კულტურის ყოველ ოსტატს — იგი უნდა იყოს დაუცხრომელი მებრძოლი კომუნიზმის მაღალი იდეალებისათვის, მთელ თავის შემოქმედებას წარმართავდეს ხალხის საკეთილდღეოდ, დაუცხრომლად იბრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ, ზრდიდეს მკითხველთა თაობებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების ნიშნით ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, კომუნისტურ მშენებლობაში მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდის საკითხებს.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ გ. ნ. ბოჩკარიოვმა.

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით ხანგრძლივი ტაშის გრიალში აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მოხსენება „პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული იდეოლოგიური კომისიის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრმა ა. ვ. რომანოვმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახლა იდეოლოგიური მუშაობის, კომუნისტური აღზრდის მთელი საქმის უპირველესი ამოცანაა უფრო აქტიურად დაეხმარონ პარტიას და ხალხს განახორციელონ ყოველივე ის, რაც კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამით არის დასახული.

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც აღნიშნულია:

„მოხარულნი ვართ მოვახსენოთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით ბოლო დროს გარკვეული წარმატებები მოიპოვეს მაღალი კომუნისტური იდეურობის, ვ. ი. ლენინის დიადი ანდერძისადმი ერთგულების სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდაში.

ამასთან ერთად, კარგად გვესმის, რომ იდეოლოგიური მუშაობის მიღწეული დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს პარტიისა და ხალხის გაზრდილ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ყველა იდეოლოგიურმა მუშაკმა როდი შეძლო აღმოეფხვრა თავის საქმიანობაში ისეთი სერიოზული ნაკლი, როგორიც არის ცხოვრებისაგან, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საარსებო ამოცანებისაგან მოწყვეტა.

ჩვენ მუდამ გვახსოვს, რომ იდეოლოგიური მუშაობა შეუპოვარი და რთული ყოველდღიური ბრძოლაა, ხოლო იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, როგორც ხატოვნად თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, არიან მებრძოლები, რომლებმაც უნდა იბრძოლონ კომუნისტური მშენებლობის წინა ხაზზე.

ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ჰპოვეს თავიანთი ბედნიერება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებმა და არ არის ახლა სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ისეთი დარგი, სადაც არ იჩენდეს თავს ნაყოფიერი შედეგი ამ ურღვევი მეგობრობისა, რომელიც გამოჭედა ლენინის პარტიამ, მეგობრობისა, რომელიც ხალხთა ნამდვილ ძმობად გადაიქცა.

სიტყვას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ მზად ვართ მთელი ჩვენი ძალღონე, უნარი და ცოდნა მოვახმაროთ სამშობლოს, ხალხისა და პარტიისადმი სამსახურის კეთილშობილურ საქმეს, დიადი ლენინური იდეების გამარჯვებისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას“.

ამ მისალმებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების, საბჭოთა კულტურის ოსტატების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების უგულითადესმა მისწრაფებამ — იყვნენ ღირსეული ჯარისკაცები ჩვენი პარტიისა.



ბიბლიოთეკის ცენტრალურ სამკითხველო დარბაზში.

ოთარ დემეტრაშვილი

ფოტო გ. თიკანაძისა




# კარლ მარქსის სახელობის

### სულ სიკეთე დაგებედოს!

— დააყე! — ხელის აწევით გასძახა ბოხოხქუდიანმა ხელოსანმა კოფოზე დასკუპებულ მეეტლეს.

დათოხილმა ცხენებმა თქარუნით შეიმაღლეს რიყის ქვით მოკირწყლულ აღმართზე, ნელ-ნელა შეანელეს ნაბიჯი და ლორის-მელიქოვის ქუჩის კუთხესთან შეჩერდნენ.

— ნათლიმამებო! — როხროხა ხმით დასჭექა ეტლის საფეხურზე შემდგარმა ალაწოდა ხელოსანმა, — ამოდენა ადგილი პირწმინდად რისთვის მოგისუფთავებიათ? ის ლდინძალლი მანთაშოვი ახალი ქარვასლის აშენებას ხომ არ აპირებს?

ახალგაზრდა მუშამ თავი მიანება საქმეს. ბარის ტარზე შემოაწყო დაკოჟრილი ხელები და ღიმილით მიაგება სიტყვა ცნობისმოყვარე გამვლელს:

— ბანკის შენობას ვაშენებთ, შენი ჭირიმე... სათავადაზნაურო ბანკის ახალ შენობასა...

წუთით შეჩერდა იგი, ფიჭვის გაურანდავი ფიცრებით შემორაგულ ნაკვეთს მიმოავლო თვალი და სვენებ-სვენებით ამოშაქრა სათქმელი:

— საქართველოს ქომაგის ილია ჭავჭავაძის ცდითა და მეცადინეობით შენდება ეს საკაიდღეო შენობა... ბანკს, ძმობილო, როგორც ნასწავლი ადამიანები ამბობენ, სიკეთე და შემწეობა მოაქვს ხალხისათვის, ქვეყნის დოვლათსა და წელში გამართვას ეხიდება...

— ქვეყნის დოვლათსა და წელში გამართვას ეხიდება! — გულში ლხენად ჩაეღვარა ეს სიტყვები პირგაბადრულ ჯავაირჩს.

— დამილოცნიხართ! — ბაღდადის ფოჩით შუბლზე მოცვარული ოფლი მოიწმინდა გულმართალმა მშრომელმა კაცმა, — ბარაქა და გამრჯე მარჯვენა ნურასოდეს მოეშალოს თქვენს მადლიან საქმეს. ასეც იბარტყოს, სასიკეთოდ დაოქროვდეს სულგანათლებული ილიას იმედი და ნასურვილარი. ხალხის ჭირ-ვარამს სულ მალამოსავით მიეცხოს და მიესადაგოს ეს ფუძემყარი და ბერკურთხეული შენობა!

...არც ბარაქა მოჰკლებია ამ ფუძემყარ და ბერკურთხეულ შენობას და არც მზრუნველი ადამიანის მარჯვე და მადლიანი ხელი. საშვილიშვილოდ მტკიცედ ჩადუღაბებულ ბალავარზე ნელ-ნელა გაშალა მხრები საგანგებოდ შერჩეული თლილი ქვისაგან ნაგებმა შენობამ. ერთმანეთის მიჯრით შემაღლდა ნათელი დარბაზები და საიმედოდ დაგმანული საცავები, კოხტა ოთახები და ქვის რიკულებმოვლებული ვერანდები.

მერე მოდგნენ კონსტანტინე არსაკიძისა და ფიოდორე თაფლაისძის, ამონასა და ნასყიდა ქართლელის, სხვათა და სხვათა სახელოვან კირით-ხუროთა ჩამომავლები, მოდგნენ და ეჩოთი და საჭრეთელით ხელში მიეძალნენ საქმეს.

ხელმადლიანმა ოსტატმა ნეოფიტე აგლაძემ ქართული უზადო ჩუქურთმებით შეამკო და მოალამაზა შენობის ფასადი. ხეზე მკვეთელმა ხელოვანმა ზ. ბოტკოველმა სიცოცხლის სული ჩაჰბერა სადარბაზო შესასვლელის ზანგელა კარს, ნატიფი ორნამენტებით აამეტყველა ჭერმაღალი დარბაზების სარკმლები.

...ათას ცხრაას ცამეტი წლის დასასრულს სახელგანთქმულმა ხუროთმოძღვარმა ანატოლ კალგინმა ქალაქის თვითმართველობას აცნობა, რომ მისი პროექტით დაწყებული სათავადაზნაურო ბანკის მშენებლობა უკვე დამთავრებული იყო.

ახლად აგებულ შენობაში ცხვირზე პენსნე დასკუპებული და ყურში ფანქარგაჩრილი ბანკის მოხელეები როდი მოსულან. ვრცელი დარბაზები არც საანგარიშოს ხმაურს აუვსია და არც ხახადაღებულ სეიფებში ჩაუხვავებიათ ოქრო და ტკიცინა ასიგნაციები.



მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგე თამარ დონდუა.

ამ შესანიშნავ არქიტექტურულ ნაგებობას პირველ ხანებში სხვადასხვა ადმინისტრაციული დანიშნულებისათვის იყენებდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ კი სულ სხვა ადამიანები მოვიდნენ აქ, მოვიდნენ და ქვეყნის სასიკეთოდ აგებული შენობა ხალხის სამსახურში ჩააყენეს, მოვიდნენ და ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკის აღორძინებას ჩაუყარეს საფუძველი.

### ციფრები და ფაქტები

ეს უზარმაზარი მიწისქვეშა სარდაფი ცხრათავა დევების სალაღობო და სამკვიდრებელი როდი გეგონოთ.

არა, მეგობრებო, ჩვენ ამჟამად კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ცენტრალურ წიგნსაცავში ვიმყოფებით.

ალბათ ბევრი გაოცდება, როცა გაიგებს, რომ ეს წიგნსაცავი კეცხოველის ქუჩის ქვეშ იწყება და ლამის არის კოლმეურნეთა მოედნამდე ჩაიყვანოს. სიგანეშიც ფართოდ გაშლილა წიგნის თაროებით დამძიმებული სარდაფი, გაშლილა და ვაჩნაძისა და ფურცელაძის ქუჩებამდე გაუხალვათებია მხრები.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის საცავებში ამჟამად რვა მილიონზე მეტი ბეჭდვითი ერთეული ინახება. ეს სიმდიდრე ქართულ, რუსულ, უცხოურ, პერიოდულ გამოცემათა და სხვა ფონდებად არის დაყოფილი.

ამ ფონდებს შორის არის ერთი ყველაზე პატარა, იშვიათ გამოცემათა კოლექცია, რომელსაც ბიბლიოთეკის თანამშრომლები „ფასდაუდებელ საგანძურს“ უწოდებენ.

მართლაც, აბა მოდით და შეეცადეთ ფასი დაადოთ ათას ექვსას ოცდაცხრა წელს რომში გამოცემული პირველი ქართული წიგნის „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ ერთადერთ ცალს. მოდით და ოქროს სარწყაულით გაზომეთ მეცხრე საუკუნის ხელნაწერი „იერუსალიმის განჩინება“, ვახტანგ მეფის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები, ქართული პერიოდიკის უნიკალური პირველი ცალები...

იშვიათ გამოცემათა ფონდში მზრუნველი ხელი სათუთად ინახავს პეტრე პირველის დროს რუსეთში დაბეჭდილ წიგნებს, შარდენის მოგზაურობის ლონდონისეულ პირველ გამოცემას, ათას ხუთას ექვს წელს ფლორენციაში გამოსულ სენეკას „ტრაგედიებს“, ინგლისურ ენაზე პირველად დაბეჭდილ მარჯორი უორდროპის თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“...



ბიბლიოთეკის თანამშრომელი მზია მეგრელიძე ლიტერატურას ურჩევს მკითხველებს.

ბიბლიოთეკა ამაყობს ლენინის ინიციატივითა და თანამშრომლობით დაბეჭდილი ჟურნალის „რაბოტნიკის“ ნომრებით, მარქსის „კაპიტალის“ პირველი რუსული გამოცემით, გერცენის „კოლოკოლის“ კომპლექტებით...

ბიბლიოთეკის წიგნსაცავებში საიმედოდ ინახება მრავალი ძვირფასი დოკუმენტი და ხელნაწერი, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა მოგონებები და არქივები, მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე დაბეჭდილი წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ალბომები და ნოტები, რუკები და ნახაზები.

კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას ამჟამად მსოფლიოს ორმოცდაათ ქვეყანასთან აქვს დამყარებული წიგნების გაცვლა-გამოცვლითი ურთიერთობა. ბიბლიოთეკამ უკანასკნელ ხანებში მიიღო ლონდონში დაბეჭდილი ე. ჩერქეზის (ეკატერინე ჩერქეზიშვილის) მიერ შედგენილი „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“; მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს აგრეთვე უცხოეთიდან მიღებული „ქართული ნუმიზმატიკის ისტორიის ნარკვევები“, „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“...

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა სისტემატურად იღებს საქართველოში გამოცემულ ყოველგვარი სახის ბეჭდვით პროდუქციას, მისი ფონდები ივსება საბჭოთა კავშირის გამომცემლობებიდან მიღებული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სავალდებულო ცალებით.

ყოველივე ამის შემდეგ კი რაღა გასაკვირი იქნება თუ ვიტყვით, რომ ბიბლიოთეკის წიგნის თაროებს ყოველწლიურად ოთხას ათასზე მეტი ბიბლიოგრაფიული ერთეული ემატება.

ახლა მეტად ძნელია იმისი დაჯერება, რომ ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთი უმდიდრესი და უძველესი ბიბლიოთეკის შექმნას მხოლოდ რამდენიმე ასეული წიგნი დაედო საფუძვლად.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წინამორბედი — თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა ათას რვაას ორმოცდაექვს წელს შეიქმნა მეფისნაცვლის კანცელარიის სამკითხველოს ბაზაზე. ღარიბი ბიბლიოთეკა წლების მანძილზე ძირითადად საზოგადო მოღვაწეთა შეწირულობით ავსებდა თავის ფონდებს, უსახსრობისა და სათანადო ბინის უქონლობის გამო ხშირად იდგა დახურვის საშიშროების წინაშე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ლადო კეცხოველის (ყოფილი ლორის-მელიქოვის) ქუჩაზე მდებარე შენობა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ბიბლიოთეკამ მეზობელი სამსართულიანი შენობაც შეიერთა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელსაც მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის სახელი მიეკუთვნა, ხალხის ცოდნისა და განათლების დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა.

ამ შენობაში მრავალი ადამიანი დაეუფლა და ეუფლება მარქსის ნათელ აზრებსა და იდეებს, მარქსიზმ-ლენინიზმის უტყუარ და ყოვლისმძლე მოძღვრებას. ბიბლიოთეკის ცხრა დარბაზში, რომლებიც ერთდროულად რვაასზე მეტ კაცს იტევს, მეცნიერების სხვადასხვა დარგში ათასობით ადამიანი იძენს საფუძვლიან ცოდნას.

აბა ვინ მოთვლის, წლების მანძილზე რამდენ მუშასა და კოლმეურნეს, რამდენ სტუდენტსა და მოსწავლეს გაუწია დახმარება ამ ფუძემყარმა და მერკურთხეულმა შენობამ.

აბა ვინ მოთვლის, სასურველი მიზნის მიღწევაში რამდენ მკვლევარსა და მეცნიერს შეუწყო ხელი ცოდნისა და სიბრძნის ამ უდიდესმა კერამ, კერამ, რომელიც საპატიოდ ატარებს დიდი მარქსის სახელს.

### მუშაობა დაიწყო

მძიმე-მძიმედ იღება სადარბაზო შესასვლელის ვეება კარი.

ბიბლიოთეკის კაბინეტებსა და დარბაზებში, წიგნის რესტავრაციის განყოფილებასა და საცავებში, ლაბორატორიასა და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში ხალისიანად იწყება რიგითი სამუშაო დღე.

მხარეთმცოდნეობის კაბინეტის თანამშრომლები გულმოდგინედ აგრძელებენ რამდენიმე წლის წინათ დაწყებულ საშვილიშვილო საქმეს. ძველი ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ტომებზე მუშაობასთან ერთად, ჩვეული მოთმინებით ხსნიან სხვადასხვა უცნობ ფსევდონიმებსა და კრიპტონიმებს, აზუსტებენ და ადგენენ ხელმოუწერელი მასალების ავტორებს.

ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილების თანამშრომლები დარეჯან ჯაფარიძე და მზალო მაჩურიშვილი დაძაბული ყურადღებით სინჯავენ მათთან „სამკურნალოდ“ მიტანილ დაზიანებულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. გამოცდილი სპეციალისტების მადლიან ხელში ეს უტყვი „პაციენტები“ მალე საიმედოდ გაივლიან ქიმიურ პროცედურებს და სრულიად „გამოჯანმრთელებულნი“ დაუბრუნდებიან მკითხველთა დარბაზებს.

ბიბლიოთეკის კეთილმოწყობილ ლაბორატორიაშიც უკვე დაუწყიათ ჩვეულებრივი საქმიანობა. ფოტო და როტო-ასლებზე გულმოდგინედ გადააქვთ სხვადასხვა უნიკალური წიგნების ტექსტები. იღებენ და იღებენ ძველი ჟურნალ-გაზეთების ძვირფას პირებს, რომლებიც წინათ მიუწვდომელი იყო ყველა მკითხველისათვის.

ბიბლიოთეკის დარბაზებში სწრაფი და საქმიანი ნაბიჯით ტრიალებენ ცისფერ ხალათებში გამოწყობილი თანამშრომლები, ტრიალებენ და წინდაწინვე იგებენ ყოველგვარ წვრილმან თადარიგს. მალე, სულ მალე ამ ნათელ დარბაზებში რვეულებითა და ფანქრებით ხელში მოჯარდებიან მკითხველები. მოვლენ და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი სრულ წესრიგში უნდა დაახვედრონ მათ.

აბა როგორ იქნება, მადლობითა და ულრმესი პატივისცემის გრძნობით არ განიმსჭვალოთ ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივის მიმართ, იმ გამრჯე და მზრუნველი ადამიანების მიმართ, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მკითხველებისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად.

აბა როგორ იქნება, მადლობითა და პატივისცემით არ მოიხსენიოთ დამსახურებული ბიბლიოთეკარები: მერი მელაძე და სოფიო ტატიშვილი, თამარ მაჭავარიანი და ევგენია კაგაროვა, მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგე — მუდამ შემწე და გულისხმიერი თამარ დონდუა, მთავარი ბიბლიოთეკარი — მუდამ კეთილი და თავაზიანი ნიკოლოზ აკერმანი...

როგორ იქნება, აბა როგორ იქნება, სიყვარულით არ ილაპარაკოთ ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ალექსანდრა კავკასიძეზე, რომელიც მზად არის ყოველთვის გამონახოს დრო თქვენთვის საქმიანი დახმარების გასაწევად.

...საათის ისარი უკვე შეუმჩნევლად მისულა ათის ნახევართან. ისევ მძიმე-მძიმედ იღება სადარბაზო შესასვლელის ვეება კარი. იღება და დარბაზები თანდათან ივსება მკითხველებით.

შეჩერდით, მეგობრებო, აქ ხმაური და ხმამაღლა ლაპარაკი ყველასათვის აკრძალულია!

ჩუმად, მეგობრებო! ცოდნისა და სიბრძნის ნათელ კერაში — დიდი მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში რვაასამდე კაცმა ესეს არის დაიწყო წიგნზე მუშაობა.

ბიბლიოთეკის კიბეზე.



## მ ა ი ს ი

### შალვა გაგუნაშვილი

დღეს ყველა ჩანგი აჟღერდა ტკბილად,
ულრუბლო ზეცას გააქვს კრიალი.
თბილი და სათნო მაისის დილა
მოდის დროშების ფრიალ-ფრიალით.

მოვიდა, დადგა სამშობლოს კართან,
სიმღერად, ლხენად, ბედნიერებად.
ლაჟვარდმა ლურჯი გაშალა კალთა
და დაედვარა მიწას ჩქერებად.

ფოთლები კვირტში აფრენას ცდილან,
კვლავ ძმებთან ერთად მქუხს საქართველო.
ო, გამარჯვება, მაისის დილავ
და გაზაფხულის დღეო ნათელო!..



**მურმან ლებანიძე**

# ქვიცი

მხატვარი
ე. [illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1.

ის დილა უშგულს გათენდა შავად —
მქნა ყველაფერი აპრილის მზემა:
პაწია გუნდა აგორდა ზვავად
და ფლატეებში ჩარეცხა რემა.
მოაწყდა ზვავი მგზავრებს ქურდულად,
ეცერს ჩქარობდნენ შორი გზის მოვლით.
ნეტამც აჭილლას არ ეფრუტუნა —
არ აეშალა მწვერვალზე თოვლი!
ულელტეხილზე შემოდგნენ დილით,
გზას იმოკლებდნენ მწყემსები სავალს;
ჩუმი ფრუტუნით და ჩუმი ფრთხვინვით
მოსდევდა რემა თოვლიან ტრამალს.
და, უცბად, შედგა ოთხასი ცხენი —
იქ, მეწინავემ ენძელა ნახა,
ნესტოში ეცა აპრილი ლხენით
და შესჭიხვინა მწვერვალებს ვაყამ.
გათენდა დილა სვანეთში შავად —
მქნა ყოველივე აპრილის მზემა:
ჭიხვინზე — გუნდა აგორდა ზვავად
და ფლატეებში ჩარეცხა რემა.

2.

იყო ჭიხვინი, ცხენთა ფეთება,
ფლოქვთა ჯახება, მკერდთა ხეთქება,
კვნესა, ხროტინი, კბენა და ღრჭენა,
თეთრი მეწყერის სტვენა და ქშენა...
და მერე, როცა დაცხრა გნიასი.
როცა შეშლილებს დახვდნენ კლდიანში,
განახევრებულ რემას უყელეს,
წინ გაიგდეს და გზას გაუყენეს, —
მაშინ დუმილი ჩამოწვა ავი,
სადღაც ფლატეზე აფრინდა სვავი,
დასრულდა ჭვარცმა, დასრულდა გვემა,
ჩუმი ფრუტუნით დაიძრა რემა...
ხოლო უშგულიდან ზვავდაკრულ კლდეში
აქა-იქ დაჩნდა მფეთქავი ლეში;
თავის კანტურით, ოხვრით და ხვნეშით,
იდგნენ სვანები ბინოკლით ხელში;
სდუმდნენ, თავს ადგათ კოშკები ჭმუხი,
იდგნენ, არ იყო თავსზეით ძალა...
და სწუხდნენ, როგორც საკუთარ წუხილს,
უცხოთა ხიფათს, უცხოთა ზარალს.

3.

და, უცბად, ბეჟქენ ბეშვანის ბიჭმა —
რძეს ნაწოვარ, იტყოდნენ, ჯიხვის —
ჩახედა ბინოკლს, შეაკრთო შიშმა
და ყური მკიდა საოცარ ჭიხვინს.
ჩააკვდა ბინოკლს ბეშვანის ბიჭი:
კლდეს გარჩენილი, ბექში წაფლული,
ფეთქავდა თოვლში შავ-თეთრი კვიცი,
როგორც მიმინო, ცერზე დაბმული.
მზეს შესწიოდა და მზის ამოსვლას,
შთენილი — შორის ცისა და მიწის,
და ჭიხვინებდა რაღაც საოცარს
და ტირილს ჰგავდა ჭიხვინი კვიცის.
და მაჩუბისკენ წინ წარსდგა ბიჭი —
მალავდა ზრახვას და თვალთა კიაფს —
და გაეცალა ბერ მახვშებს დინჯი
და ენდო ბიჭი გულსა და წრიაპს...
მუყებიან: ატუდა ვაი და ვიში —
ქვე ჩამყვა ფლატეს მოფენილს ლეშით...
და მზის ჩასვლისას შვიდი თვის კვიცი
მოიტანათ უშგულში ბეჭით.

4.

და მიიწურა აპრილი მთებში,
შეჭრილდა თოვლი, შემწვანდა მიწა;
ყელამდე ბზეში, ყელამდე ქერში,
კვიცი მთელ აპრილს მაჩუბში იწვა.
არ ჭიხვინებდა შავ-თეთრი კვიცი,
უცხოდ მოწყენილ ჭრელ ყვავილს ჰგავდა;
თავს ევლებოდა ბეშვანის ბიჭი
და მეგობარი სხვაც ბევრი ჰყავდა.
და ჰა, მოურჩა გამზრალი კანჭი,
კვიცს დაეწმინდა ნაზამთრი ბეწვი,
გამობაკუნდა მაჩუბის კარში,
კვლავ დაუბრუნდა ჯანი და პეწი...
უცებ, მერცხლებმა ჭყივილი შექმნეს,
შორს აკრიალდა ცხრაკაპი შხარა;
მზე დაჰლუოდა ჭრელ ალპურ ზეგნებს
და ენგურს თავქვე ჰგზავნიდა ჩქარა...
და შესჭიხვინა სიცოცხლეს თვისას
და ჰკრა უეცრად კამარა ჯიხვის...
გარბოდა ზეცა, გარბოდა მიწა
და მიაფრენდა სიცოცხლის ჭიხვინს.

5.

„ბეშვანის კვიცი!“ — იტყოდნენ უშგულს,
„ბეშვანის ბიჭი!“ — ჰყვებოდნენ ხალდეს;
ვინ ჩასულათ კვიცისთვის უფსკრულს!
ვინ გასულათ კვიცისთვის ფლატეს!
თავს ჩაილებდა ბეშვანის ბიჭი,
ყურს არიდებდა ყმაწვილი ქებას;
ხოლო დაჰქროდა „ბეშვანის კვიცი“,
არად აგდებდა ძაღლების ყეფას.
არცა ახსოვდა გრიალი ზვავის,
არცა უწყოდა აღდგომა მკვდრეთით
და ჰგავდა კვიცი საოცარ ყვავილს —
დახატულს შავი და თეთრი ზეთით.
მაგრამ ერთ დილით, კუშტი და მკაცრი,
მწყემსურ მაზარით და ტყავის გუდით,
ეცერის მხრიდან გამოჩნდა კაცი —
მევალესავით ავი და ცუდი...
არაყიც ასვეს, უმტკიცეს ბევრი, —
მიმარეთს ძველს და ახალ სამართალს, —
მაინც ჩააბა კვიცს საბლის წვერი
და უშგულს ჭრელი კვიცი წაართვა.

6.

იქ, სადაც ნალდი ენგური მოსჩქეფს
და წვეთს სხვა უცხო წყალს არ ჩაირევს,
ღამე მოადგა უშგულის კოშკებს,
წამოეპარა ფართო სვანირებს.
მწყემსს შეაბნელდა დავბერის ძირში,
ისტუმრეს ლალხორს კვიცი და მგზავრი;
ხოლო თეთრ უშგულს ოხრავდა ძილში
ბეშვანის ბიჭი ზოლმით და ჯავრით.
ღამე წაემხო ტვიბერის ხრამებს,
უშგულის კოშკებს, ხალდეს სვანირებს;
ტიროდა ბიჭი და მთელი ღამე
ხედავდა ძილში შავ-თეთრ ყვავილებს.
რაღაც დიადი ყმაწვილში მოხდა
და ზვავად აწვა ძილსა და ღვიძილს;
მაგრამ ცისკრის ჟამს ბეშვანის კოშკთან
ატუდა ჭიხვინი უეცრად კვიცის.
და წამოვარდა გიჟივით ბიჭი —
თვალცრემლიანი მეგობარს შეხვდა.
და ჭიხვინებდა შავ-თეთრი კვიცი
და ზეცით ოქროს საყვირი სჭექდა...

7.

როცა უშგულში ნახირი ბლავის
და ხარისტერფა ლილისფრად ჰყვავის,
ლამარიასთან მერცხლები ჰქრიან
და ბოჩოლები სერი-სერ ხტიან, —
როცა ჯიხვები საკუთარ ძეგლებს
წინ გადუშლიან ჭრელ ალპურ ზეგნებს
და, მზის წყალობით, ცხრათავა შხარა
ლურჯ ენგურს თავქვე დაუშვებს ჩქარა, —
მაშინ კოშკიდან გამოდის ბიჭი,
გაალებს მაჩუბს მახვშივით დინჯი,
და მისდევს სერზე, ფიცხი და მკვირცხლი,
ერთგულ ძაღლივით, შავ-თეთრი კვიცი.
და იცქირება ეცერის მხარეს
და ეჭვით ზვერავს შემთხვევით მგზავრებს,
მაგრამ წყნარია შარაგზა კორდის —
ეცერის მხრიდან არავინ მოდის...
ანუ მოხიბლა ბეშვანის ბიჭმა!
ანუ სირცხვილში ჩააგდო კვიცმა!
ანუ სამართლის ძახილი ესმა და,
ხელი ჩაიქნია მწყემსმა...
და მთელი წელი გასულა მთებში —
ეს იყო შარშან...
ეცერის მხრიდან პირქუში მწყემსი
არა და არ ჩანს.





# ყველა კარში წიგნისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი ხუტა ბერულავა ატარებს მორიგ სარედაქციო თათბირს.



„ნაკადულის“ სტამბის დირექტორი ნოე კაკუშაძე დავალებას აძლევს ლინოტიპისტს.

ელბაქიძის დაღმართს თავქვე რომ დაუყვები და ახალ ხიდს გადაივლი, მარჯანიშვილის ქუჩის ყელიც გამოჩნდება. ქუჩის მხარმარჯვნივ წიგნის სასახლეა. სასახლის მესამე სართულზე მოთავსებულია საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“.

საქართველოს გამომცემლობათა შორის „ნაკადული“ ყველაზე უმცროსია. დიახ, ახალგაზრდაა იგი ახაკითაც და ახალგაზრდულია საგამომცემლო პროფილით. და, როგორც ყველა ჯანიერი და გონიერი ჭაბუკი, ძალღონით სავსეა და წინ გამხედვარი.

ახლახან მას ოცდახუთი წელი შეუსრულდა.

„ნაკადულის“ შემოქმედებითი ბიოგრაფია ასეთია: დაარსების პირველი დღეებიდანვე მას საბლიტგამი ერქვა. ხუთი წლის წინათ „ნაკადული“ ეწოდა მარიამ დემურიახა და ნინო ნაკაშიძის ამავე სახელწოდების საბავშვო ჟურნალის პატივსაცემად. ალბათ მკითხველმა ისიც იცის, რომ ამჟამად „ნაკადული“ სცემს ჩვენს საბავშვო ჟურნალებს „დილასა“ და „პიონერს“.

პირდაპირ უნდა ითქვას, „ნაკადული“ დიდსა და საშვილიშვილო საქმეს აკეთებს.

იყო დრო, როცა გამომცემლობას ძალზე უჭირდა ფერადი ილუსტრირებული წიგნების გამოცემა. წლიდან წლამდე ორ-სამ ასეთ წიგნს თუ იხილავდა ხოლმე ნორჩი მკითხველი. დღეისათვის მდგომარეობა შეიცვალა. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარტო მიმდინარე წელს წიგნის ბაზარზე გამოვა ორმოცდაათი სახელწოდების ფერადი წიგნი. შეიქმნა ქართული ხალხური საბავშვო ზღაპრების მშვენიერი სერია „იყო და არა იყო რა“.

საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა „სათავგადასავლო ლიტერატურის ბიბლიოთეკამ“. ამ სერიიდან უკვე დაიბეჭდა და მკითხველმა მიიღო თოთხმეტი ტომი. ასევე საინტერესოა „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“. „პატარა საუნჯის“ ორტომეულიც კარგი საჩუქარია ბავშვებისათვის. პოეზიის მოყვარულებს ახარებთ „მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკაც“ და „თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკაც“. ბოლო სერიის პირველ წიგნად გამოვიდა გალაკტიონის „ასი ლექსი“. შემდეგ მას მოჰყვა შესანიშნავი ქართველი პოეტების — გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ალ. გომიაშვილის, ვ. გაბესკირიას და სხვათა კრებულები.

გამომცემლობამ თავის ირგვლივ შემოიკრიბა შემოქმედებითი ძალები — მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, მასწავლებლები. აწერინებს მათ ახალ წიგნებს. ამგვარად შეიქმნა გ. ლეონიძის ნოველების კრებული „ნატვრის ხე“. აკად. გ. ძოწენიძემ გამომცემლობის თხოვნით დაწერა მეცნიერულ-პოპულარული ბროშურა ცნობილი გეოლოგის ალექსანდრე ჯანელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ლენინური პრემიის ლაურეატის გ. მელიქიშვილის „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები“ და პროფ. ქ. გრიგოლიას „რას გვიამბობს ქართლის ცხოვრებაც“ გამომცემლობის შეკვეთითაა დაწერილი.

ფართო მასშტაბითაა გამიზნული „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“. უკვე გამოვიდა სერიის პირველი წიგნი „ელადის მუზა“, რომელშიც შევიდა ბრწყინვალე ბერძენი პოეტების ლექსები. ბერძნული ლექსები ქართულ ენაზე ჩინებულად გადმოიტანა ახალგაზრდა მთარგმნელმა რომან მიმინოშვილმა. „ელადის მუზის“ რედაქტორია პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი.

უსათუოდ მისაბაძი ინიციატივაა „ქართველ მოგზაურთა ჩანაწერების“ სერია. ამ სერიიდან ორი მოზრდილი კრებული „შორეულ გზებზე“ მკითხველმა თბილად მიიღო. მოკლე ხანში გამოვა მესამე წიგნიც.

„ნაკადულმა“ ქართულ ენაზე გამოსცა შესანიშნავი რუსი საბავშვო მწერლის არკადი გაიდარის ნაწარმოებები (ორ ტომად). დიდი რუსი მწერლის მიხეილ შოლოხოვის საქვეყნოდ ცნობილი რომანი „გატეხილი ყამირი“ და შესანიშნავი მოთხრობაც „ბედი კაცისა“ აქ დაიბეჭდა. საქართველოში რუსული პოეზიის დეკადისათვის გამომცემლობამ მოამზადა რამდენიმე კრებული.

დაიწყო მდიდარი ქართული ხალხური ფოლკლორის გამოცემა ხუთ ტომად საერთო სათაურით „ხალხური სიბრძნე“.

მკითხველს ბევრ რამეს შესძენს საბავშვო ენციკლოპედიის ათტომეული. საბავშვო ენციკლოპედიის გამოცემა საქართველოში სრულიად ახალი საქმეა, პირველი ცდაა. მალე ხელისმომწერლებს დაურიგდებათ ენციკლოპედიის პირველი ტომი. მომდევნო ორი ტომი რედაქტირებულია და უკვე იბეჭდება.

„ნაკადულმა“ გამოსცა ქართული კლასიკური მწერლობის ბიბლიოთეკა „ჩვენი საუნჯე“ ოც ტომად. ტომებში შეტანილია ყოველი თვალსაჩინო და რჩეული, რაც კი შეუქმნია ქართულ მწერლობას, რითაც მიულია სულიერი საზრდო ქართველ ხალხს, ყოველივე ის, რაც კი შეიძლება შევიდეს ერის საუნჯეში.

ერთი წელია „ნაკადულს“ გადაეცა საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა — ყოფილი მეორე სტამბა, რომელიც თანდათან ივსება საბავშვო წიგნების გამოცემისათვის საჭირო, სპეციფიკური შრიფტით.

„ნაკადულის“ რედაქციებსა და განყოფილებებში შემოქმედებითს შრომას ეწევიან ახალგაზრდები და ქართული საბავშვო მწერლობის სამსახურში გათეთრებული ადამიანები. აგერ მეექვსე წელია გამომცემლობის დირექტორად მუშაობს ნიჭიერი ქართველი პოეტი ხუტა ბერულავა. იგი, მთელ კოლექტივთან ერთად, ილწვის, რომ „ნაკადულის“ წიგნები გამოირჩეოდეს მაღალი პოლიგრაფიული შესრულებით, მიმზიდველი გაფორმებით, ცდილობს უფრო და უფრო მრავალფეროვანი გახადოს პატარა მეგობრებისა და მომთხოვნი ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ლიტერატურა. „ნაკადული“ კარებს ულებს ყველა კარგ წიგნს, ყველა ცნობილ თუ უცნობ ავტორს, რომელსაც მოაქვს რაიმე ახალი, აზრიანი, ჭკვიანური. ასეთი საქმიანი და გეგმიური მუშაობის შედეგია ის, რომ ნაკადულისეული წიგნები მრავალჯერ ქებითა და მართალი სიტყვით მოიხსენიეს „პრავდამ“, „იზვესტიამ“, „ლიტერატურნაია გაზეტამ“, „სოვეტსკაია კულტურამ“, „სოვეტსკი სპორტმა“.

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“ ემსახურება ჩვენი ნორჩი თაობისა და ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, აღვივებს მათში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას, ხელს უწყობს მათ აღზრდას კომუნიზმის მომავალ მშენებლებად.

დაე, მუდამ ასე იდინოსა და იჩუხჩუხოს ჩვენმა ანკარა და აუმღვრეველმა „ნაკადულმა“.

ვ. რიონელი



ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა ჭიხვი



ეტიუდი

# გიგო გაბაშვილი



ძველი თბილისი

ბაზარი





მოლოდინი



მარგარიტა



ჩანაწატი



სიჩუმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უჩა ჯაფარიძე



სოფელი ღარი, სადაც უჩა ჯაფარიძე დაიბადა და აღიზარდა, ზემო რაჭაში მდებარეობს, ონიდან ერთი კილომეტრის დაშორებით. გორაკებზე შეფენილ სოფელზე მოედინება მთის პატარა მდინარე — ღარულა.

სოფელ ღარის პირველსავე ორღობეში შეუხვევთ თუ არა, ფერდობზე წამომდგარ ოდა-სახლს დაინახავთ. ეს უჩას მამის სახლია. ქვემოთ პალატი, ზემოთ საცხოვრებელი ოთახები, მათ შორის წიგნებით სავსე მომცრო ოთახი — მალაქია ჯაფარიძის და მისი ექვსი ვაჟიშვილის ბიბლიოთეკა.

ღარულასა და ღარს ზემოდან დაცქერიან თოვლიან-ყინულიანი მწვერვალები. ეს პეიზაჟები მუდამ იტაცებდნენ უჩას. ჩანს, ქალაქურ ცხოვრებას, პროსპექტებისა და სანაპირო ქუჩების სილამაზეს არ ძალუძს შეანელოს ბუნებისადმი სიყვარული. დროდადრო, უჩა ჯაფარიძე თბილისიდან უეცრად გაემგზავრება ხოლმე და რაჭის მთებში მიდის. მხატვარი ვერ ივიწყებს თავის კარმიდამოში მოწანწკარე მჟავე წყლის გემოს და შოდას მთიდან მობერილ მაცოცხლებელ სიოს. რაჭიდან თბილისში ის სახელდახელო ნახატების ნადავლით ბრუნდება. ტილოებზე აცოცხლებს თავის საყვარელ ადამიანებს; ისინი მთის მწვერვალებზე და თხემებზე დგანან, ხოლო მათ ფეხთაქვეშ, ჰორიზონტის ხაზს ქვემოთ დაყრილია მთაგრეხილები, ალპური მდელოები, ფერდობებზე შეფენილი სოფლები. ეს ადამიანები რომანტიკულად ამაღლებულნი, იმავე დროს, სადა და მართალნი არიან. ამაღლებულისა და სიმართლის შერწყმაში უჩას ბადალი არა ჰყავს. ამიტომ მისი სურათი, ერთსა და იმავე დროს, რომანტიკულიც არის და რეალისტურიც.

ბუნებაც და ადამიანებიც უჩა ჯაფარიძის ტილოზე კიდევ უფრო მიმზიდველნი, უფრო მომხიბლველნი ხდებიან. მხატვარს იტაცებს ადამიანის ფიქრისა და აზრის, მისი ლამაზი და კეთილშობილი გრძნობის, ფაქიზი და მოკრძალებული სულიერი სამყაროს გამოხატვა. იგი თითქოს განზრახ გაურბის მომგებიან ფიზიკურ მოქმედებას, როცა ადამიანი კუნთებდაჭიმული და საბრძოლველად შემართულია.

მართალია, უჩა ჯაფარიძე ფეხბურთის დიდი მოყვარული გახლავთ და არც ერთ ასპარეზობას არ დააკლდება, მაგრამ არასოდეს აზრადაც არ მოსვლია ბურთის „მართლად ცემა" სურათად გამოეხატა. ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე ვერცხლის მედლით აღნიშნულ საქვეყნოდ ცნობილ სურათში „შეხვედრა" უჩა ჯაფარიძემ მთამსვლელი კლდეზე თოკით დაკიდებული კი არ გამოსახა, არამედ გვიჩვენა იმ წუთებში, როცა იგი მშვიდად ესაუბრება გზად შეხვედრილ მოხუცს. მოხუცის გვერდით დგას მისი სიამაყე, ლამაზი და გამრჯე შვილიშვილი — დაქალებული გოგონა. თითქოს სრულიად უბრალო საუბარია. დააკვირდებით და ღიმილით შეამჩნევთ: მთამსვლელს გული აუძგერა ქალიშვილმა, თანაც რაოდენი სიწრფელითა და სიფაქიზით არის ყოველივე ეს განსახიერებული. ნახავთ უჩა ჯაფარიძის სურათებს: „სიყრმის მეგობრები", „მოპატიჟება", „საყვედური", „ტყუპები", „იმერელი", „მგზავრის შესვენება" და, ამ ტილოებზე გამოხატულ ადამიანთა გრძნობების თანაზიარი ხდებით.

უჩა ჯაფარიძე ხშირად ხატავს ფიქრმორეულ ადამიანს. აი, წყაროსთან მდგარი ქალი. ადამიანური განცდის ასეთი ძალით გამოხატვა იშვიათია!

უჩა ჯაფარიძის სურათები განათებულია საბჭოთა თანამედროვეობის მაღალი შეგნებით და შეიგრძნობა, როგორც გულში ჩამწვდომი შრომის სიმღერა. მხატვარი ცხოვრებას არ ალამაზებს, ის არ გვიმალავს, რომ ამ სურათებზე გამოხატულ ადამიანებს ხანდახან უჭირთ კიდეც მთის მრისხანე ბუნებასთან ბრძოლაში, მაგრამ დახეთ როგორ ამაყად, წელგამართულნი დგანან, მათ იციან, რომ თავიანთი ბედის, თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები არიან. და სწორედ ამის შთამაგონებლად გამოხატვაშია ჩაქსოვილი მხატვრის გულისნადები. „ღარელი კოლმეურნე ქალის" ფერითი მეტყველება საოცრად ლაკონიური და სახიერია. ეს ნაწარმოები თამამად შეიძლება ამოვუყენოთ გვერდში კლასიკურ შედევრებს. ამიტომ არის, რომ უჩა ჯაფარიძის სურათებმა საყოველთაო-სახალხო აღიარება ჰპოვეს.

მხატვარმა შექმნა წარსულისა და თანამედროვეობის მოღვაწეთა პორტრეტების მთელი გალერეა. ამ პორტრეტების დამახასიათებელია პოეტურობა, ხაზგასმა სულიერი ცხოვრების სიმდიდრისა.

შთამაგონებლად და პოეზიის მზიურობით არის ამაღლებული აკაკი წერეთლის პორტრეტები. მხატვრის ყალამს სიბრძნის მადლმოსილებით აღუბეჭდავს სულხან-საბას სახიერება. გალაკტიონის პორტრეტში ჩაუქსოვია დიდი პოეტის ლექსის მუსიკალობა და ლირიკული განცდის სიფაქიზე. ჩვენ განსაკუთრებით მადლიერი ვართ უჩა ჯაფარიძისა, რომ მან ქართველ მოღვაწეთა პორტრეტების გალერეას შემატა ქართული სცენის დიდოსტატის, უშანგი ჩხეიძის უკვდავი სახე.

უჩა ჯაფარიძე ფართო დიაპაზონის მხატვარია. ღრმა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მისი ნაწარმოებები ნათლად, ყველასათვის გასაგებად მეტყველებენ. ამიტომაც მიენიჭა მას სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

დიმიტრი ჯანელიძე

# წარმატებას გისურვებთ, თანამოკალმევ!



ოცდაათი წელი მთელი ეპოქაა არა მარტო ერთი ადამიანის ცხოვრებაში, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიისთვისაც. და აი, ეს დრო, ეს ოცდაათი წელიწადი ადამიანმა შეალია მხოლოდ ერთ საქმეს, თავის საყვარელ პროფესიას — ჟურნალისტიკას, რომელსაც დღესაც ისეთივე გატაცებით ემსახურება, როგორც პრესაში გამოსვლის პირველ დღეებში.

როცა ამ ჭკვიან, ჭაღარა ქალს ესაუბრებით, ისეთი გრძნობა გეუფლებათ, თითქოს მრავალი წლის უნახავ მეგობარს შეხვდით. არ შეიძლება არ მოგხიბლოთ მისმა ალერსიანმა ღიმილმა და დახვეწილმა იუმორმა, არ გაგიტაცოთ მისმა ნაამბობმა, არ გაგაოცოთ მისმა უჩვეულო მეხსიერებამ.

არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც მირცა კალანდაძე არ გამოხმაურებოდეს, გულთან ახლოს არ მიეტანოს, არ მიეღოს მასში მონაწილეობა. ოცდაათი წელია, რაც ჟურნალისტი ქალი ფანქრითა და უბისწიგნაკით ხელში უვლის მშობლიური ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებს, ოცდაათი წელია, რაც იგი სიახლისათვის, პროგრესისათვის მებრძოლთა წინა რიგებში დგას და არ ყოფილა არც ერთი წამი, არც ერთი წუთი, რომ მას საქმისათვის ან საკუთარი თავისათვის ეღალატოს.

მისი ჟურნალისტური ბიოგრაფია თვალში არ ეცემა კაცს. ჟურნალ „მშრომელი ქალის" პასუხისმგებელი მდივანი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" განყოფილების გამგე, გაზეთ „კომუნისტის" ლიტმუშაკი და განყოფილების გამგე, ისევ პასუხისმგებელი მდივანი, ამჟამად უკვე ჟურნალ „საქართველოს ქალისა" — ერთი შეხედვით, მეტად უბრალო და უხიფათო გზაა, მაგრამ რამდენი თეთრად გატეხილი ღამით, რამდენი მარცხით და გამარჯვებით, რამდენი ტკივილითა და სიხარულითაა ეს გზა მოკირწყლული!

პრესაში გამოქვეყნებული ყოველი წერილი ბევრი მკითხველისათვის, უპირველეს ყოვლისა, მეტ-ნაკლებად საინტერესო წერილია, საიდანაც იგი გებულობს ჩვენს წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე. ცოტამ თუ იცის, რომ ამ წერილის უკან იმალება მრავალი დაძაბული დღე, იმალება ფარული ჭიდილი და მომავალი შეტაკებები, რადგან ძველი და დრომოჭმული აგრე იოლად არ იძირკვება ჩვენი ცხოვრებიდან. მის წინააღმდეგ შეუდრეკელი, თავდაუზოგავი ბრძოლაა გაჩაღებული, და ჟურნალისტები ამ ბრძოლის მეწინავე ბაირახტარნი არიან. ამიტომაა, რომ თანამოკალმეთა შორის ისინი ყველაზე მოუსვენარ და დაუბერებელ ადამიანებად ითვლებიან, ამიტომაა, რომ მირცა კალანდაძის სულშიც ვერც ერთ ნაოჭსა და ჭაღარას ვერ იპოვით.

ჟურნალისტი ჯარისკაცივითაა. დღისით თუ ღამით, დარსა თუ ავდარში იგი უსიტყვოდ, ერთგულად აკეთებს თავის დიდსა და საჭირო საქმეს. რედაქციის ყოველ დავალებას, ყოველ მივლინებაში გამგზავრებას მირცა კალანდაძეც განიცდის მთელი გულით; ეს მივლინებები აღსავსეა ამაღელვებელი შეხვედრებით, საოცარი სიახლეებით, მოულოდნელი შერკინებებით. და ჟურნალისტი ქალი, მიუხედავად თავის ხანდაზმულობისა, ახალგაზრდულად შემართებული მიეშურება მათ შესახვედრად.

მირცას უყვარს ახალგაზრდები. რედაქციაში გაუბედავად შესულ ყოველ ჭაბუკში, ყოველ ქალიშვილში იგი ხედავს ლამაზი და კეთილშობილური ცხოვრებისათვის ანთებულ გულს. რა ვუყოთ, რომ ჯერ ოსტატის რიხი არ მოსდევთ, რომ მათ კალამს ჯერ დაღად ადევს ახალბედას გამოუცდელობა. მაგარი მუხა ნელა იზრდება. გაიზრდებიან ეს ყმაწვილებიც, გამაგრდებიან და მის კვალდაკვალ გაუდგებიან ჟურნალისტის ძნელად სავალ გზას.

განა ცოტანი ამოუდგნენ უკვე მას მხარში? ჟურნალისტების მთელი თაობა, კიდევ უფრო მოუსვენარი, კიდევ უფრო მებრძოლი და მაძიებელი, მისდევს გვერდით საბჭოთა პრესის ძველ ვეტერანებს. სასიხარულოა მათ მხარდამხარ შრომა და ბრძოლა.

აი ახლაც სიხარულით მიიჩქარის მივლინებაში მირცა კალანდაძე. ოდნავ ირიბად ჩაჭრილ, იუმორით სავსე თვალებში ახალგაზრდული ნაპერწკლები უკიაფობენ.

წარმატებას გისურვებთ, თანამოკალმევ!

— ბიჭო, შენც რაღა იმ გზით წამოხვედი? ხევ ხევ გამოჰყვებოდი, აქაც უფრო ადრე მოხვიდოდი და საწყენიც აღარ შეგხვდებოდა. ახლა მე რა გიყო?

— შენ რა უნდა მიყო?

— ჰოდა, არაფერი. თუ გულში რამე ჩაგრჩა და გული გერჩის, ადექი და სამაგიერო გადაუხადე, თუ არა და... ადექი. ეს ტომარა ამაწევინე. ამ ტყუილა ლაპარაკს ისევ ეს სჯობია.

გიგილო წამოდგა და ტომრის აწევაში მომეხმარა. მერე ისევ წისქვილის კარებში ჩაჯდა დაღონებული და გულხელი დაიკრიფა.

მეზობლის ბიჭი იყო, მამით ობოლი. ამ გაზაფხულზე ოცის შესრულდა. სანამ წამოიზრდებოდა, ვპატრონობდი — საწყალი მამამისი გარე ბიძაშვილად მერგებოდა და ერთმანეთში კარგი მეგობრობაც გვქონდა. გიგილოს ბავშვობიდანვე ვუყვარდი. მერე სივაქკაცეში რომ შევიდა და ოჯახი მხრებზე დააწვა, შედარებით იშვიათად ვხვდებოდით. ის ტრაქტორისტებს ეხმარებოდა, მე კი, როგორც ხანდაზმულს წისქვილი ჩამაბარეს

ამ გაზაფხულზე ხმა გავრცელდა, გიგილო დათიკ გოჩელაშვილის იამზეს ჰყვარობსო. თუმცა, რაღა ხმა



# თქვენ კი მართლები ხართ?

რამაზ კობიძე

მოთხრობა

მხატვარი თ. სამსონაძე

გავრცელდა, გოგოს ფეხმძიმობა შეამჩნიეს. დათია მძიმე კაცი იყო. ქვა აიგდო და თავი შეუშვირა. გოგოზე მოსაკლავად მიიწია, მაგრამ გააკავეს, მაინც ყვიროდა, გამიშვით, უნდა მოვკლაო. ვინღა გაუშვებდა, იამზე კი მეზობლებთან გადამალეს.

არადა, მთელი უბედურება ის იყო, რომ დათიას, თურმე იამზესთვის საქმრო ჰყოლია შერჩეული. ერთ გალმელ ბიჭს ქალაქში, რომელიღაც ტექნიკუმში უსწავლია. საზაფხულოდ მამასთან ჩამოსულა, კლუბში თუ ლელოგატანიაზე იამზესთვის თვალი დაუდგამს და დატრიალებულა. მამამისს ღონიერი ოჯახი ჰქონია, დათიაც სცნობია და შეთანხმებულან კიდეც.

რაღა თქმა უნდა, ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ, იამზესთვისაც უნდა ეკითხათ. დათია მერე ყვიროდა, იცოდა, მაგ მამაძაღლმა, იცოდა, თანახმა იყო და სიტყვა პირზე შემატეხაო. იამზე კი თურმე, ცრემლად იღვრებოდა— არაფერი არ ვიცოდი, ის ბიჭი ერთხელ დამანახვეს და ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამთ, თორემ მაშინვე უარს ვიტყოდი და მამაჩემს თავს არ მოვჭრიდიო.

რაც ეს ამბავი დატრიალდა, გიგილო ყოველ საღამოს ჩემთან მოდიოდა. შემოვიდოდა, კუთხეში ჯორკოს დაიდგამდა და იჯდა დაღონებული. იამზეს აღარ ანახვებდნენ, სოფელში თავი მოეჭრა და, დანა კრიჭას აღარ უხსნიდა. ძილი და მოსვენებაც დაჰკარგა. მინდვრიდან ნამუშევარი რომ მოვიდოდა, მეტყოდა, შენ წაიძინე, წისქვილს მე მივხედავო. ჯერ არ ვუთმობდი, მერე კი დამიყოლია და, გათენებამდე რომ მძინებოდა, ის თვალსაც არ მოხუჭავდა. იჯდა ცეცხლის პირას, წისქვილის ხმაურს ყურს უგდებდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა.

ერთხელ ველარ მოვითმინე და ვუსაყვედურე:

— დიდი თავშეუკავებელი კი ხართ ეს ახლანდელი ახალგაზრდები! გულისთქმას არ უნდა აჰყვე. ან რომელი ცოლის მთხოვნელი შენ ხარ, საკუთარი ფულით ჯერ შარვალიც არ გამოგიცვლია!...

— რა ვიცოდი, თუ ეს ამბავი დატრიალდებოდა?!

— რომელი ამბავი?

— რომელი და ის... ე...

— ჩემთვის გეკითხა, დალოცვილო, და გეტყოდი. მაგას ყველა გეტყოდა.

— დათია მტყუანია მაგ საქმეში, ბიძია ილარიონ!

— თქვენ კი მართლები ხართ?

— ვისი რა საქმეა, ცოლად ვინ ვის გაჰყვება?!..

— მოიცა! შენც გეყოლება შვილები და ნახავ. მამის გული რა ცეცხლია. პირველი შვილი ხომ სულ ძალე გეყოლება. იმ დღეს ვნახე შენი იამზე, მუცელი აგერ, ცხვირთანა აქვს.

— იამზეს მეც ვნახულობ.

— სად, ბიჭო?!

— სადაც არის. ონისიმესთან. შენ რომ იძინებ, ავირბენ ხოლმე.

— ჰმ!... არ გამიკვირდა?!.. წუხელის გამომეღვიძა და კარგა ნახევარ საათს არსად ჩანდი მე უნამუსო, ეს წისქვილი რომ უპატრონობით გამიფუჭო, ხომ ჩაგქოლე!

— უნამუსოს ტყუილა მეძახი, ბიძია ილარიონ! ონისიმესთან სახლში კი არ შევდივარ. იამზე კიბეზე გამოირბენს, ორ სიტყვას ვეტყვი, და ისევ უკან მოვრბივარ.

— წისქვილი?!

— წისქვილს რა უჭირს, ხვიმირას ავსებულს ვტოვებ.

— ოჰ, თქვენ გადაგაშენათ ჭირმა! რას ელაპარაკები იმ შენს იამზეს? ტომარა, ტომარა მომიწიე.

— ფეხი აუშვი. როგორ ხარ-თქვა, ვეკითხები.

— აჰა! ის რაღას გეუბნება?

— მე კარგად და შენ როგორ ხარო.

— შენ?

— მეც კარგად ვარ-მეთქი.

— ასე! დაგიშვენდათ ცხვირები, ორივე თქვენ კარგად ბრძანდებით! სინათლეს ნუ ეფარები, დაფქვილი ველარ გამისინჯავს.

— ჩვენი რა ბრალია?!...

— არა, ჩემი ბრალია! ღვთისმშობელია ის შენი იამზე! გეყურება? ამაღამ რომ წასვლა დააპირო, უსათუოდ გამაღვიძე. ამხელა სოფელს ეს ერთი წისქვილი გააჩნია. მერე?

— რა მერე?

— მერე რაღას შვებით შენა და შენი იამზე?

— არაფერს. ვეთხოვებით და მე უკანვე მოვრბივარ.

— ჰმ! ან კი მეტს რაღას იზამთ, რას! ეკლესიაში თქვენ ჯვარი არ დაგიწერიათ, საბჭოში თქვენ არ წასულხართ და ბავშვს კი ისე გულდაგულ ელოდებით, ვითომ დაბარებული გყავდეთ.

— ახლა... დაბარებული...

— კარგი, კარგი, თუ ღმერთი გწამს... წადი, ღარში წყალი გადაუგდე, მე სამხარს მოვამზადებ.

ეს ჩვენი ლაპარაკი მაშინ ასე გათავდა.

იმ დღეს გიგილო რაღაც ეშმაკად მინდვრებიდან შარაგზით წამოსულიყო. ალბათ, ონისიმეს სახლთან გამოვლა და იამზესთვის თვალის შევლება უნდოდა. ანაზდად ცივ-წყალზე დათიას კი შეჩეხებია. უფიქრია, გამარჯობას ვეტყვი, სალამს მაინც, რას მემართლებაო. პასუხად დათიას თვალები ბოროტად დაუკვესავს და ქამრიდან წალდი გაუძვრია. გულგახეთქილი გიგილო გამოქცეულა, სულ ეკალ-ბარდებში უხტუნავია, და უკან ერთხელაც არ მიუხედავს.

წისქვილში ერთიანად დაკაწრული, დაქანცული და დაძმარებული მოეხეტა. იმედი გადაეწყვიტა— დათია არც მაპატიებს და არც შემირიგდებაო. საჭმელს პირიც არ დააკარა და გაქვავებული იჯდა წისქვილის კარებში.

რითი უნდა მეშველა?

ნასამხრობევს დედამისმა მართამ მოგვაკითხა. ძლივს ჩამოფორთხდა ფერდობზე, და წისქვილში თავისებური შემპარავი ნაბიჯით შემოვიდა.

— შვილო, გიგილო, სახლში შემოსვლას აღარ აპირებ?! გამარჯობა, ჩემო ილარიონ! ბიჭო, ეს წელკავიანი დედაბერი მესამე დღეა, დაგეძებ. მთელი სოფელი შემოვიარე და როდის-როდის, აგერ, ახლა მომასწავლეს, წისქვილში იქნებაო. გზარდე, შვილო, გიარე, ცივ ნიავს არ გაკარებდი და ამდენ ამაგს ასე მიხდი? სოფელშია და, აღარ გამევლება. თვითონ მე ვარ და...

— მოეშვი შენ ახლა მაგას, მართა, მოეშვი! მაგას თავისი დარდიც ეყოფა.

— დარდი, იცოცხლე, ჩემო ილარიონ, დარდმა მეც გამათავა. რა ვიცი, ჩემო კარგო, ახლა თავისუფლებააო, ვისაც ვინ უნდა, იმას შეიყვარებსო და, ეს არის? ესენი, ჩემო ილარიონ, ახალგაზრდებია და რა უჭირთ, თავისას კიდევ ეწევიან. მე, ამ მოხუცებულმა რაღა ვქნა? გუშინ რომ ქარი გამიდგა წელსა და მუხლებში, დღემდე საძრაობა აღარა მაქვს. არადა, რაც ამ ბიჭის წინაშე ამაგი მიმიძღვის, რაც მე ჯაფა და შრომა...

— ჩამოჯექი, დედა, ჩამოჯექი, დაიღლებოდი.

— გმადლობ, შვილო... მადლობელი ვარ. რა ვიცი, თუ ამდენ ამაგს წყალში არ გადამიყრი და ხანდახან ალერსიან სიტყვას მაინც მეტყვი, მაგაზეც დიდი კმაყოფილი ვიქნები. ა, შვილო, ჩამოვჯექი, შენი სიტყვა შევასრულე. საქმე ყურადღება და ტკბილი სიტყვაა, თორემ ულუკმაპუროდ იქნება არც კი დამტოვო ამ სიბერეში. ვაი, გვერდი, გვერდი... რას მეტყვი, ბატონო ილარიონ, ამათ საქმეს ეშველება რამე?

— რა მოგახსენო, ჩემო მართა...

— აბა, შენ რა გეთქმის... ისე, რაღა დაგიმალო, ჩემო ილარიონ და, დათია სწორედ დიდ შეცდომას სჩადის ამ საქმეში. ჭკვიანი ხალხისაგან მე ასე გამიგონია: ქალიშვილი რომ დაგიდის ეზო-გარემოში, იმას მიხედვა უნდა. არადა, აბა, ეს ჩემი გიგილო ვისი სწორი გზიდან გადამცდენელი და ვისი გამაუბედურებელია? ჩემი ნაზარდი არ არის? რაც მე ამაზე ამაგი და ჯაფა მიმიძღვის, იმდენი ზღვაში კენჭი არ იქნება. ამისგან სხვის გაუბედურებას ვერა და ვერ დავიჯერებ!

ეს მართა ცოტა უცნაური ქალი იყო. ახალგაზრდობიდანვე ხშირად ავადმყოფობდა. სიბერეში ხომ სულ მოიშალა და თან შიშმაც შეიპყრო — ვაი თუ შვილმა ბედის ანაბარა მიმაგდოსო. თუმცა, ღმერთია მოწამე, გიგილო ისე არ ფიქრობდა იმის მიტოვებას, როგორც მე რა ვიცი...

ამას გარდა, მართას ერთი ჩვეულებაც ჰქონდა; სასოფლო თუ საკოლმეურნეო კრებას არ დააკლდებოდა, თუ გინდ მომაკვდავიც ყოფილიყო!... ბევრჯერ სიცხიანი და შუბლზე ფხალის ფოთოლაფარებულიც მოსულა. იჯდა წინა რიგში, განაპირა სკამზე და ფეხს არ მოიცვლიდა, კრება გათენებამდეც რომ აღარ გათავებულიყო. ეს ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკიც, ალბათ იქ ისწავლა.

იმ დღესაც ბევრი იბოდიალა. სული კინაღამ ამომიღო! თან გიგილოს სულ თვალებში შესციცინებდა, ხომ არ მიჯავრდებაო. ბოლოს კი, თავისდა უნებლიეთ, ისეთი რამ წამოცდა, რომ მე იმედის ნაპერწკალი გამიჩნდა, იქნებ, ამ ჩახლართულ საქმეს რამე ეშველოს-მეთქი.

— ყველა ქალსაც ქალობა არ ეთქმის, ჩემო ილარიონ, — თქვა მართამ, თან წასასვლელად შეემზადა და გიგილოს ლოყაზე ხელი მოუცაცუნა. — შენ, თუ

გინდა, იყავი აქ, შვილო გიგილო, იყავი ბიძია ილარიონთან. მე არაფერი მიჭირს. იყავი... ყველა ქალსაც ქალობა არ ეთქმის, ჩემო ილარიონ! მე მზე და მთვარე ამ ბიჭზე ამომდის, ამის გლახად ყოფნა ჩემს გლახად ყოფნად მიმიჩნევია. ის ბატივით ჩასუქებული ეპრაქსია კი — შენც არ მომიკვდე! არაფრად იმას თავისი ქალიშვილის ამბავი არ აწუხებს. აბა, ის ერთი დათია რა გახდა, იმ ერთ ბერიკაცს აქამდე როგორ ვერ დავიყაბულებდი. მაგრამ ყველა დედა დედა კი არაა. აბა! შენ იყავი აქ, შვილო გიგილო. თუ მოგეხასიათოს, ამოდი, შეშა დამიჩეხე და წყალიც მომიხაზირე. როცა იქნება, სახლში ხომ მოხვალ და საჭმელი ისევ შენ დაგჭირდება. ყველა დედას, დედა არ ეთქმის, ჩემო ილარიონ!

— შენ ეპრაქსიას ელაპარაკე?

— რაი მერე?

— მაინც?

— არაფერი, ბრძანებს, მე დათიას ვამტყუნებო. ამას ბრძანებს და ცრემლადაც კი იღვრება, მაგრამ საქმეს ცრემლი უშველის?

— ეპრაქსია გლახა ქალი არ უნდა იყოს!

— აჰ! რა ღმერთი გამიწყრება და ჩემი მეზობლის ცუდს ვიტყვი, მაგრამ...

— მიდიხარ, მართა? თუ არ მიდიხარ?

— მივდივარ, ჩემო ილარიონ, მივდივარ. თავი შეგაწყინე. დამნაშავე ვარ, მაგრამ შვილი, ძნელია მაინც. აბა! წავედი მე, შვილო გიგილო. გვირისტინე-ექიმმა მითხრა, საჭმელი არ მოიკლოო. მე თუ რამე დამემართა, შენ უდედოდ დარჩები, თორემ მე მიწა რომ მომელის, კარგა ხანია ვიცი. ამოირბინე მერე და წყალი მომიხაზირე. უჭმელი არც შენ ვარგიხარ, შვილო!

მართა დამემშვიდობა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ გიგილომაც ამოიოხრა, ავალ, დედაჩემს მივხედავ, ცოდვააო, და წავიდა. მე კი წისქვილი დავკეტე და სოფელში ასასვლელად მოვემზადე.

დათიას ცოლი, ეპრაქსია, გულკეთილი ქალი იყო. იამზე მეზობელთანაც იმან გადამალა და როგორც ამბობდნენ, ქმარს ყოველდღე ეჩხუბებოდა, ცოდვას ნუ სჩადიხარ, ის ქალაქელი ჭირსაც წაუღია, სიძექალიშვილი აგერ გვეყოლებაო. მართას ნაამბობმა საბოლოოდ დამარწმუნა ამაში. გადავწყვიტე, ამ საქმეს ისევ ეპრაქსიას მოვავლევინებ-მეთქი.

დათია ეზო-გარემოში არსად ჩახდა. ეპრაქსია სახლის კიბეზე იჯდა და მგონი, ტიროდა. ღობესთან მივედი და ვანიშნე, შენთან ლაპარაკი მინდა-მეთქი. იმწამსვე წამოდგა და წამოვიდა. მართლაც თვალები დაწითლებული ჰქონდა. ეზოში შევედი, სახლისუკან გავედით და ჩამოვჯექით.

— უხასიათოდ ჩანხარ, ჩემო ეპრაქსია.

— ეჰ, ჩემო ილარიონ!..

— რა გატირებს, ქალო, შვილიშვილს მოელი და... ტირიხარ?

— ვაი, ბებია ენაცვალოს იმას! — ეპრაქსიას თვალებიდან მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა და თვალები მუშტით ამოიწმინდა.

— გიყვარს?

— ასე მგონია, უკვე კალთაში მეჯდეს!

— მერე?

— რა გავახერხო, ჩემო ილარიონ?

— მაგ ერთი დათიასთვის ველარ მოგვივლია?

— ის დღე რატომ გათენდა, მე რომ მაგას ცოლად გავყევი.

— კარგი ახლა! არც ისე ცუდი კაცია. არ ვიცნობ, თუ?

— არ იცნობ!

— კარგი ახლა, ეპრაქსია!

— მაგ ვეშაპს ჩემს მეტი არავინ იცნობს! —ეპრაქსიას ისევ მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა თვალებიდან, — მაგან შემჭამა! მაგან მოინელა ჩემი ქალობა!..

— აბა, ასე ვიჯდეთ?

— ეჰ!..

— იმ ქალაქელმა რაო?

— ჭირი და სნება იმას!..

—ახლა აღარ წაიყვანს.

— ნეტავი, სულაც არ გამოჩენილიყო...

— დამნაშავე არც ისაა.

— დამნაშავე მე ვარ, ამ ქვეყანაზე რომ გავჩნდი.

— იამზეს ნახულობ?

— დედა ენაცვალოს იმას! რას ერჩით? ვის რა გესაქმებათ? ეს ცა და მიწა ღვთის გაჩენილია, თქვენი ხომ არა?! სახლიც ჩვენია, ტყეც და მინდორველიც. აბა!.. დაუდექით წინ ჩემს იამზეს! რომელი ხართ, აბა! დაუდექით! ჭირი გადაგაშენებთ ყველას!

— მე რას მერჩი!

— შენც იმისთანა ხარ! ყველა! გიგილოს არ ვიცნობ, თუ? ყველაფერი გამზადებული რომელ ცოლქმარს დახვედრია? ამ ჩემმა მგელმა რა დამახვედრა? სამი ხის კედელი და მეოთხე — წნელით მოწნული... ახალო მიწა სიპა-ღელიდან ზურგით ამოგვქონდა და ის მეოთხე კედელი იმით გავლესეთ. გიგილოს ცოლი ბედნიერი იქნება. თავის გამობენტერებულ დედას ისე უვლის და ცოლს რაღას უზამს? იმას ადამიანი გზაზე გადაუდგება?

— სულით და გულით შენთანა ვარ, ჩემო ეპრაქსია.

— ახლა კი! გოგოს თავი მოეჭრა მთელ სოფელში... დედა მოგიკვდეს, შვილო, დედა მოგიკვდეს შენ! — ეპრაქსიამ შუბლში მუშტი მიირტყა და თვალებიდან მსხვილ-მსხვილი ცრემლები ღაპალუპით წამოუვიდა, — მხეცია... მხეცია ჩემი ქმარი... თქვენც... ყველანი მხეცები ხართ!..

— ეპრაქსია!

— გამშორდი!

— მე...

— გამშორდი... — ეპრაქსია ზეწამოიჭრა და...

რაღა ბევრი გავაგრძელო — იმავე საღამოს ასეთ სურათს შევესწარი: დათიას ეზოში ხარებშებმული ურემი იდგა. ეპრაქსიას სახლიდან ბარგი გამოჰქონდა — ბალიშები, საბნები, რაღაც ჭურჭლეულობა, და ლოგინზე აწყობდა. ისე გალომებული ტრიალებდა, თითქოს ოჯახის გამოცალიერება სწადიაო. შორიახლო, ნიგვზის ძირში, გიგილო და იამზე იდგნენ. იამზეს ცალი ხელი გიგილოს მხარზე დაედო, მეორეთი კი რატომღაც შუბლს იზელდა. ჭიშკართან მართა ატუზულიყო, და ყველაფერ ამას ისე გულგრილად და არხეინად მიჩერებოდა, თითქოს ამდენი ბარგეულობა მისას არ მიჰქონდათ. ცოტა მოშორებით კი, ბალახებში პერანგისამარა დათია ჩამჯდარიყო. გაუნძრევლად, თავჩაქინდრული იჯდა, და თავის წალდს ხანდახან ყოვლად უაზროდ, ყუით მიწას ურტყამდა. დაარტყამს და მიაჩერდება, თითქოს, თვითონვე უკვირს, ამას რას ვშვრებიო. ცოტა ხნის შემდეგ — კიდევ...

აღარ ჩავერიე და გამოვტრიალდი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

პრინც ჰამლეტსაც
ხელში წიგნი აქვს,
როცა ლაპარაკობს
თავის გრძელ მონოლოგს.
უწიგნო ფაუსტი
წარმოუდგენელია.
— ხოლო ამ წიგნებში
სულ სხვა ეწერა.
ერთმანეთს ებრძვის
აზრების წყება...
ერთი მეორეს არ ეთანხმება,
როგორც ზაფხულში
გამშრალი ძერა
წყალს ეხარბება
და ველარ ძლება.
წყალი ნისკარტზე
მიწად ახმება.
მაგრამ სხვა არის
წიგნებში წიგნი,
რომელსაც ლენინი
პარიზში კითხულობდა.
აქ არ არის აზრის
დაბნევა,
არც ერთი სტრიქონი
არ არის ზედმეტი,
ისე მოჭრილია
და მოკვეთილი —
პირველად მშრომელისთვის
გამოცემული
„კომუნისტური
მანიფესტი“.

---

ტიციან ტაბიძეს დაუმთავრებელი დარჩა პოემა „უდაბნოს აჯანყება“. პოეტის მეუღლემ ნინო ტაბიძემ რედაქციას გადმოსცა მცირე ნაწყვეტი ამ პოემიდან.

---

საინტერესო თემაზე

## ს ი ზ მ რ ე ბ ი...

— ძილი სიზმრების გარეშე ისეთივე ბოროტებაა, როგორც უძილობა! — ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა ამერიკელმა მეცნიერმა დოქტორმა კლეიტმანმა ამას წინათ გამართულ ფსიქიატრთა საზოგადოების სხდომაზე.

კლეიტმანისა და მისი ასისტენტის ხელმძღვანელობით დამზადდა სპეციალური აპარატი, რომელიც შეუცდომლად აღნუსხავს თვალის უმნიშვნელო მოძრაობას. აპარატის მეოხებით დადგინდა, რომ მძინარე ადამიანის თვალი ღამის განმავლობაში რამდენჯერმე იწყებს მოძრაობას. ეს მოძრაობა ოციოდე წუთი გრძელდება.

მეცნიერმა წამოაყენა მოსაზრება, რომ თვალის კაკლის ამოძრავება სიზმრის ნახვასთან არის დაკავშირებული. ეს მოსაზრება მალე დადასტურდა: ყოველი ადამიანი, რომელსაც თვალის ამოძრავების მომენტში აღვიძებდნენ, ერთხმად აღიარებდა, რომ იგი ნამდვილად ხედავდა სიზმარს.

როგორც გამოირკვა, ადამიანთა უმრავლესობა მეტად ხშირად ნახულობს სიზმრებს. ახლად ჩაძინებულ ადამიანს ჯერ ღრმა და უშფოთველი ძილი ეუფლება, ორიოდე საათის შემდეგ კი იწყება პირველი სიზმარი, რომლის „სეანსები“ პერიოდულად გრძელდება დილამდე.

ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ნათელი გახდა ისიც, რომ ადამიანები, რომლებსაც სიზმრის ნახვის მომენტში აღვიძებენ, თავს მეტად მოთენთილად გრძნობენ. ის ადამიანები კი, რომლებსაც სიზმრის ნახვა აცალეს და ისე გამოაღვიძეს, უფრო მხნედ გამოიყურებიან.





# საყვირიდან საყვირამდე

მაისის პირმცინარი დილა თენდებოდა. მზეს ჯერ ცალი თვალითაც არ ამ-ხედა მთებიდან, რომ ქალაქი უჩვეულო გუგუნმა შეძრა. აგუგუნდა ვეებერთე-ლა, უცნაური ძალის საყვირი და ჩაკეტილ დარაბებს უკან მონებივრე თბილი-სელ სოვდაგრებს ძილი და მოსვენება დაუკარგა. სოლოლაკსა და ვერაზე მე-თულუხჩეთა ჩამოვლამდე ჯერ კიდევ კარგა დრო იყო დარჩენილი, რომ ნაძა-ლადევის ოკრობოკრო ქუჩაბანდები ლურჯხალათიანების ზღვამ აავსო. მოდი-ოდნენ „რკინა-მაზუთის ადამიანები", მოდიოდნენ მტკიცე, ფართო ნაბიჯით და საყვირის მძლავრი, მბრძანებლური გუგუნი ქვეყანას ამცნობდა მათი გმირუ-ლი ბრძოლითა და შრომით აღსავსე ისტორიის თავფურცლის გადაშლას.

ეს იყო ოთხმოცი წლის წინათ, 1888 წლის 1 მაისს.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთა-ვარი სახელოსნოების ცხოვრებაში. დღიდან დღემდე, საყვირიდან საყვირამდე ძალას იკრებდა ქართველი პროლეტარის ეს რკინის აკვანი, თაობიდან თაობამ-დე ძლიერდებოდა, მტკიცდებოდა მისი მქუხარე ამოძახილი, რომელიც მოური-დებლად შეეჭიდა დახავსებულ ყოფას და ახალი დროის მძლავრი სუნთქვა და მაჯისცემა დაამკვიდრა.

ბევრს ახლაც ახსოვს ამ გიგანტის ძველი, ჩაყამებული კორპუსები, ახსოვს პირველი გაფიცვები და არალეგალური მაისობანი, ცხრაას ხუთი წლის ცეცხ-ლოვანი დღეები და ნაძალადევის სისხლიანი შტურმი, რეაქციის მბეცური თა-რეში და საყოველთაო-სახალხო აჯანყება, რომელმაც საქართველოში კარი გა-უხსნა თავისუფალ და სვებედნიერ ცხოვრებას.

და არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ ქალაქს არ მოჰფენოდა მთავარი სა-ხელოსნოების საყვირის ხმა, ხან მოგანგაშე, შემმართველი, ხან მწუხარე და დაგუდული, ხან კი მოზეიმე, ძლევამოსილი, ნიადაგ დიდი განთიადის მახარო-ბელი. ეს ხმა ქუხდა მაშინაც, როცა მის უზარმაზარ ჭიშკრიდან გამოგრიალდა პირველი საბჭოურად შეკეთებული ორთქლმავალი, მაშინაც როცა მტრის ურ-დოები მომდგარნი იყვნენ ჩვენი ქვეყნის გულს და ამ საამქროებშიც დღიდა-ღამ ჭედდენ გამარჯვების სიხარულს. ეს ხმა ქუხს ახლაც, როცა ჩვენს წი-ნაშე თანდათან იშლება ვარსკვლავთა სამყაროს იდუმალებანი და როცა ჩვენი დაუდგრომელი ადამიანი უკვე მიადგა ნათელი მომავლის სანუკვარ კარიბჭეს.

დგანდგარით, ღრჭიალით, რაკუნითა და ზუზუნით ხვდება ყოველ მზის ამო-სვლას თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ვეება კორპუსები, ისევე, როგორც ოთხმოცი წლის წინათ, გათენებისას საყვირის ხმაზე მიემარ-თება მათკენ ადამიანების ულევი ნაკადი, მაგრამ ქარხანა აღარა ჰგავს იმ ძველ, გამურულ სახელოსნოებს და არც ადამიანები წააგვანან მაშინდელ და-ბეჩავებულ სულიერ არსებებს. ქარხანა გაიზარდა, გადიდდა, მხრებში გაიშალა, მხრებში გაიშალნენ, გაიზარდნენ ადამიანებიც. ახლა ისინი, დიადი ცხოვრების შემქმნელნი და ბატონ-პატრონნი, დაუოკებლად ისწრაფვიან სიახლისაკენ, უკე-თესისაკენ, რასაც კი ძალუძს ადამიანთა შრომის შემსუბუქება, უფრო მეტი დოვლათისა და სიმდიდრის შექმნა.

ქარხანას დროდადრო დაბედავენ ხოლმე პენსიაში გასული ძველი მუშები, რომლებმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ამ ფოლადის გოლიათს შეალიეს, დაბედავენ ხოლმე და კმაყოფილნი, აღელვებულნი მერე დიდხანს იგონებენ სიდუხჭირისა და დიდი ბრძოლების განვლილ გზას.

აი, ახლაც საქარხნო გაზეთის ვიტრინასთან ჩამწკრივებულა ოთხი მოხუცი, ცხვირზე სათვალეები წამოუსკუპებიათ და კისერწაყოფილნი გაფაციცებით ეც-ნობიან ქარხნის ახალ ამბებს. მერე ერთი მათგანი, ძველი ზეინკალი გრიგოლ ჩაზმაძე ვიტრინას შორდება, სათვალეს კეცავს და ბუტბუტებს:

— როგორ გარბის დრო, ეს ოხერი!

— როგორ გარბის, აბა! — კვერს უკრავენ დანარჩენებიც.

სულ ახლახან გავიდა პენსიაში ძია გრიგოლი. დიდი პატივითა და სიყვარუ-ლით გააცილა მთელმა ქარხანამ. ბევრი კარგი სიტყვა უთხრეს, ბევრი კარგი საჩუქარიც მიართვეს, მერე ბიჭებმა ხუფრაც გაუშალეს, სიბერე დაულოცეს და კარგა შექეიფიანებული ოსტატი სახლში ლხინით მიიყვანეს.

ორიოდე თვის წინათ კი სწორედ ამ ორთქლმავლების ამწყობი საამქროს წინ შეეყარა გრიგოლი თანატოლებს. ქარხანაში მოსულ ბერიკაცებს მასთანაც დაეპირებინათ სტუმრობა. იმ ხანებში ზეინკლობის გარდა მეორე ხელობას — ჩამომსხმელობასაც დაუფლებოდა ძია გრიგოლი, მერე იმავე საამქროს ახალგაზ-რდა მბურღავ გოგი მგელაძესთვისაც ესწავლებინა ეს საქმე და თავისი შეგირ-დის მუყაითობით გახარებული მხიარულად მიეშურებოდა ხელ-პირის დასაბა-ნად. მეგობრების დანახვაზე ნაბიჯს მოუკლო, ხელის საწმენდი ჩვარი ჯიბეში ჩაიჩურთა და ომახიანად შეუძახა მოსულებს:

— რაო, ბებრებო, მოგენატრათ ქანჩი და საზეთი?

ოთხმოცდახუთ წელს გადაცილებულმა გიორგი ანთაძემ დაწკურული თვა-ლებით გამოიხედა და დაქადნებით ჩაიქნია თავი:

— მოიცა, გრიგოლავ, შენცა გნახავ, წელათრეული მზეს ეფიცხებოდე!

— ეჰ, ჩემო გიორგი! — გადახვია ხელი მეგობარს ძია გრიგოლმა, — ვითომ გულს ვიკეთებ, თორემ... მეც შენსავით მემძვლელება აქედან წასვლა, განა არ ვიცი, რომ სიჭაბუკე თავისას მოითხოვს და ჩვენც გზა უნდა ვუტიოთ ბედ-ნიერ ვარსკვლავზე დაბადებულებს.

ვუტიოთო? კარგია, ღმერთმანი! სიტყვამ მოიტანა, თორემ ეგრე ადვილად ვერ დათმობს ძია გრიგოლი! პენსიაში გასვლის მეორე დღესვე შვილიშვილით ეწვია ქარხანას. პატარა კუკური აღტაცებული შესცქეროდა მუცელგამოფატ-რულ ორთქლმავლებს, მაღალ ორჩოფებზე შემდგარ ვაგონებს, რომლებსაც ჭიანჭველებივით დახვეოდნენ ადამიანები, მერე კი ჩურჩულით განდო პაპას — რომ გავიზრდები, შენ ადგილს დავიჭერო. სიხარულით ცას ეწია მოხუცი ოსტატი, მაგრამ გულმა მაინც ვეღარ გაუძლო. ერთ მშვენიერ დღეს რამდენი-მე თანატოლი აიყოლია, განცხადება გააშანშალა და ქარხნის დირექტორის კა-ბინეტის კარი შეაღო.

— ორმოცდაოთხი წელია ამ ქარხანაში ვმუშაობ, ჩემო გაბრიელ, — უთხრა მაცაბერიძეს ძია გრიგოლმა,—ოცდარვა წლიდან კომუნისტური პარტიის წევ-რი ვარ. ეს ქარხანა იყო ჩემი ოჯახიც, სკოლაც და თეატრიც. სამოცი წლისა ვარ, მაგრამ ბევრ ძარღვიან ბიჭს ჯერ კიდევ არ ჩამოუვარდები. ხანდახან იქნებ მეც გამრიოთ ძველებურად თქვენს მარაქაში. ქარხანას ჩამომსხმელები სჭირ-დება და გამოგადგებათ ჩემი ხელობა.

და როცა ერთხელ ანზორ ნიკოლაიშვილის ბრიგადის ბიჭებმა რაღაც საქ-მეზე რჩევისათვის მიაკითხეს მოხუც ზეინკალს, დარწმუნდა გრიგოლი, კვლა-ვინდებურად კვალში რომ ედგა და ფეხდაფეხ მისდევდა ქარხნის მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრებას.

მოუსვენარი, დაუდგრომელი ყმაწვილია ეს ანზორი. სიტყვა-პასუხი ხანდაზ-მული კაცივით დარბაისლური აქვს, თვალის კუთხეებში კი კვიმატი ღიმილი ჩა-მალვია და თავისი ნათელი, გულალალი გამოხედვით ლამის სულში უძვრება ადამიანს. პროფესიით ისიც ზეინკალია. ბრიგადაში ყველა ზეინკალია. სულ ცხრანი არიან, მაგრამ ცხრაასი კაცის საქმეს აკეთებენ. ან რატომ არ გააკეთე-ბენ, შვილოსა. ცხრავე კომკავშირელია, ცხრავე საქმეზე თავგადაგებული. ძალა აქლიათ მაჯაში თუ გული არ ერჩით! მათი ბრიგადა ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოში, კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება რომ მოი-პოვა. ძმებივით არიან შეზრდილნი ბრიგადის წევრები. ერთმანეთს რომ თვალ-ში ჩაუვარდნენ, თითსაც არ ამოისვამენ. უყვართ შრომა. თვიურ გეგმას წლი-დან წლამდე ას სამოცი—ას სამოცდაათი პროცენტით ასრულებენ. „დრონი მე-ფობენო", — რამდენჯერ სხვისგანაც გაუგია და თვითონაც უთქვამს ძია გრი-გოლს, მაგრამ ეს ბიჭები დროსაც მისწვდნენ ქეჩოში, უკან მოიტოვეს და მის უკითხავად 1966 წლის ანგარიშში გადააბიჯეს. მაინც სადა აქვთ ამდენი ძალა, რომ ასეთ ჯაფაში სწავლასაც არ ანებებენ თავს! როცა ანდრეი ხვიატენკო რკინიგზის ტექნიკუმში შევიდა, ბრიგადაში დაეჭვდნენ, დროს ვერ იშოვი, თავს ვერ გაართმევო, მერე კი ოლივერ ავალიშვილიც ჩაირიცხა საკავშირო პროფსაბჭოს უმაღლესი სკოლის ეკონომიურ ფაკულტეტზე. ახლა სხვებიც აპი-რებენ სწავლის გაგრძელებას და არის ბრიგადაში სჯა-ბაასი ინსტიტუტისა და ტექნიკუმის არჩევაზე. ბრიგადის ხუთი წევრი ცოლშვილიანია, ოთხ მათგანს, რა დასამალია და, გოგოები ჰყავთ. ამას წინათ მეხუთეს, ოლივერ ავალიშვილ-საც გოგო შეეძინა და იყო ერთი სიცილ-ქილიკობა მოტორ-ვაგონების სექციე-ბის შემკეთებელ საამქროში.

იმავე დღეს ქარხნის პარტკომის მდივანმა სერაპიონ თოხაძემ თავისთან დაი-ბარა ავალიშვილი — ოთხ საათზე პარტიული კრებაა, შენი საკითხი გაგვაქვს და არ დააგვიანოო.

მუშაობის შემდეგ ბიჭები ქარხნის ეზოში ელოდნენ კრების დამთავრებას. ბოლოს, როგორც იქნა, სახეგაბრწყინებული ოლივერიც გამოჩნდა და მთელმა ბრიგადამ დიდის ამბით მოულოცა პარტიის წევრობის კანდიდატად გახდომა. იმ საღამოს ავალიშვილმა სადილზე მიიპატიჟა მეგობრები. გვიანობამდე ილ-ხინდნენ, ოხუნჯობდნენ, კამათობდნენ. ანზორსაც მაშინ მოუნდა ხელსაწყოების გაუმჯობესებაზე ლაპარაკი. იმდენი იკამათეს, კინაღამ შინ წასვლა გადაავიწყ-დათ.

ნიკოლაიშვილის წინადადებით ქარხანაში უკვე დაინერგა მათ მიერ შექმნი-ლი თუნუქის საჭრელი ვიბრაციული მანქანა. მანამდე თუნუქს ხელით ჭრიდნენ და წიბურებსაც ხელით უქლიბავდნენ. ახლა ამ სიახლემ სამუშაოც გააადვილა და ქარხანასაც წელიწადში სამას მანეთზე მეტი დაუზოგა.

— ეს ჯერ კიდევ ზღვაში წვეთია, ახლა ჩვენთან უკვე შეიქმნა საზოგადო-ებრივი საკონსტრუქტორო ბიურო და საწარმოო კომიტეტები. ეს კი, ნახავთ, როგორ გაამლევინებს ფრთებს ჩვენს ბიჭებს! — ამბობს ანზორი.

— ჰაი დედასა, რა დროს დავბერდი! — დანანებით იქნევს თავს ძია გრი-გოლი და ფარული შურითა და აღტაცებით შეჰყურებს ამ ახალგაზრდების გარ-ჯასა და მეცადინეობას.

ჰოდა, ასეთი ბრიგადა ერთი და ორი როდია ქარხანაში. ორი ათასზე მეტი მუშის ერთ მძლავრ ძალად შეკრული ნება ის მტკიცე ბალავარია, რომელზეც შენდება ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა აწმყოც და მომავალიც.

ბობოქარი და ხმაურიანია ქარხნის დღევანდელი ცხოვრება, კიდევ უფრო სისხლსავსე და მჩქეფარე იქნება მისი ხვალინდელი დღე.

აქ ახლა არემონტებენ ორთქლმავლებს, სამგზავრო ვაგონებსა და მოტორ-ვაგონების სექციებს. აქ შეკეთებული ორთქლმავლები და ვაგონები მიმოქ-რიან ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთისა და კუიბიშე-ვის თვალუწვდენელ ფოლადის გზებზე, აქვე მზადდება სათადარიგო ნაწილები ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზების მოძრავი შემადგენლო-ბებისათვის. მაგრამ სულ მალე ორთქლმავლები „სიძველეთა მუზეუმებს" ჩა-ბარდება და მათ ადგილს, ელმავლებთან ერთად, მძლავრი თბომავლები დაიკა-ვებენ. ქარხანაშიც ბევრი სიახლე დაინერგება. გაგრძელდება მოტორ-ვაგონების სექციების და მთლიან ლითონგარცმიანი ვაგონების გარემონტება, შეიქმნება ელმავლებისა და თბომავლების წევის ძრავების შემკეთებელი საამქრო. ჩამო-ყალიბდება ბურთულა-საკისრების შემკეთებელი სპეციალური განყოფილება. მთელი ქარხანა მექანიზებული იქნება და აღიჭურვება თანამედროვე ტექნი-კის უახლესი მიღწევებით. ვაგონების შეღებვა იწარმოებს ავტომატურად მა-ღალხარისხიანი სწრაფშრობადი საღებავებით, შეკეთება კი მოეწყობა არა ისე, როგორც ახლაა — ჩიხური წესით, არამედ ნაკადურად, ისე რომ ორ ხაზზე ერთდროულად ოთხ-ოთხი ვაგონი რემონტდებოდეს.

ახლახანს დამთავრდა სამჭედლო საამქროს გაზიფიკაცია, წლის ბოლოსთვის კი ცისფერი ალი ყველა საამქროდან განდევნის ქვარტლსა და ნახშირს. მალე ამუშავდება ჟანგბადის სადგურიც, რომელიც არა მარტო ორთქლმავალ-ვაგონ-შემკეთებელ ქარხანას, არამედ თბილისის ბევრ საწარმოსაც მოემსახურება. საამქროების რეკონსტრუქცია დაიწყება მომავალ წლიდან. ამ რეკონსტრუქ-ციას აპროექტებს ხარკოვის სატრანსპორტო ქარხნების სახელმწიფო საპროექ-ტო ორგანიზაცია. მაგრამ არც თვითონ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები სხე-დან გულხელდაკრეფილნი. ყველას სურს თავისი წვლილი შეიტანოს ამ საშ-ვილიშვილო საქმეში. ქარხანას ჰყავს თავის ინჟინერ-ტექნიკოსთა საუცხოო კადრი. ორმოცდაორი წლის წინათ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირ-ველ წელს, აქ მხოლოდ ერთი ინჟინერი დაჩალიჩობდა. ახლა ათობით ინჟინერი-სა და ოთხმოცამდე ტექნიკოსის გაერთიანებული ცოდნა და ენერგია ქმნის იმ დიდებულ და შეუცდომელ მექანიზმს, რომელსაც ქარხნის ტექნიკური ტვინი ეწოდება, და ამ ტვინს კვებავს არა მარტო ცალკეული ინჟინერ-ტექნიკოსის საქმე და აზრი, არამედ ყოველი მუშის, ყოველი შეგირდის ფიქრიც და დაკ-ვირვებაც.

ქარხანაში შექმნილია საერთო საქარხნო საწარმოო კომიტეტი, ასეთი სა-წარმოო კომიტეტები შექმნილია ყველა საამქროში, ჩამოყალიბებულია საზო-გადოებრივი საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც ასე აღფრთოვანებით შეხ-ვდნენ ანზორ ნიკოლაიშვილი და მისი მეგობრები. დიდსა და კარგ საქმეს უძღ-ვება ეს ბიურო. ქარხნის მუშების რაციონალიზატორული წინადადებების მი-ხედვით იგი ამუშავებს საჭირო ტექნოლოგიურ საქმეებსა და ნახაზებს, ქმნის მათთვის ინსტრუქციებსა და ტექნიკურ დოკუმენტაციას, ამზადებს და გააქვს ცალკეული საკითხები საწარმოო კომიტეტების თათბირებზე. წყვეტს ტექნიკურ ამოცანებს, რომლებიც არ შედის ორგტექნიკურ ღონისძიებათა გეგმაში.

ბიურო ჩვიდმეტი კაცისგან შესდგება. მასში შედიან ქარხნის ტექნოლოგიუ-რი განყოფილების უფროსის მოადგილე ა. კვირიკაშვილი, ამავე განყოფილე-ბის უფროსი ინჟინერი ლ. მამულოვა, მექანიკის განყოფილების ინჟინერი ა. ერიომინა, ზეინკალ-მემონტაჟე ა. როსტიაშვილი და სხვები. მაგრამ თუ ბიუროს საქმიანობაზე ცოტა რამის შეტყობა გსურთ, ჯობია ისევ მის ხელმძღვანელს მიხეილ შლაპაკს გაესაუბროთ.

ამ თავაზიან, მოკრძალებულ ყმაწვილკაცს ჯიბეები ნიადაგ ციფრებით, სქე-მებით, ანგარიშებითა და ცნობებით აქვს გამოტენილი. ტექნიკური პროგრესის რა საკითხს უნდა შეეხოთ, რომ მისგან ამომწურავი პასუხი არ მიიღოთ! იგი ვატაცებით მოგიყვებათ მუშა-რაციონალიზატორთა გამოგონებებზე, მათი წი-ნადადებების გონებამახვილურ გადაწყვეტაზე, იმაზე, რომ ბიუროს წევრებმა მარტო გასულ წელს დაამუშავეს 20 რაციონალიზატორული წინადადების ნა-ხაზები, რომელთაგან 12 უკვე დაინერგა და ქარხანას 8000 მანეთის წლიური ეკონომია მისცა.

და თუ დრო დაგრჩებათ, იმასაც შეიტყობთ, რომ საზოგადოებრივმა საკონ-სტრუქტორო ბიურომ აქტიური მონაწილეობა მიიღო ქარხნის რეკონსტრუქ-ციისათვის მთლიან ლითონგარცმიანი ვაგონებისა და მოტორ-ვაგონების სექ-ციების შეკეთების ყველაზე უფრო მისაღები ტექნოლოგიური ვარიანტების მომზადებასა და დამუშავებაში, რომ ბიურო კვლავ განაგრძობს მუშაობას მთე-ლი დატვირთვით და რომ ქარხნის მომავალ ცხოვრებაში იგი კიდევ უფრო დიდსა და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ასეთია ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა საქმეები და მისწრაფებები, იმ ადამიანების საქმეები და მისწრაფებები, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით წლიდან წლამდე, დღიდან დღემდე, საყვირიდან საყვირამდე ქმნიან ერთი ლამაზი და გმირული ცხოვრების თვალწარმტაც ისტორიას.

ა. ქუსრაშვილი

ფოტო ო. თურქიასი.



დამშლელ-დამაკომპლექტებელი საამქროს ხარატი ალექსანდრე მარ-გველაშვილი ბრიგადის წევრებს აცნობს ორთქლმავლის ერთ-ერთი დე-ტალის დამუშავების ახალ ტექნოლოგიას.



როცა ორთქლმავლის გულს მკურნალობენ.



ძია გრიგოლს და გოგი მგელაძეს მუდამ აქვთ საკამათო და სალაპა-რაკო.

# გზა პლანტაციებისაკენ მიემართება

ქოხტა ოდა-სახლებსა და კოინდრით დამშვენებულ ეზოებს შორის ფართო შარაგზა მიემართება, მხარმარცხნივ, სადაც ღელეზე საცალფეხო ხიდად აკაციის რამდენიმე სარია გადებული, საურმე გზა უხვევს. ხუთასიოდე მეტრს რომ გაივლით, ნაძვებისა და კვიპაროსების ხეივანი იწყება. თქვენ უკვე გურიანთის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში ხართ.

რამდენიმე წელია ლამზირა ზოიძე ყოველ დილით ამ გზით მიდის თავის ნაკვეთში. ნათლად ახსოვს ლამზირას, პირველად რომ დაადგა პლანტაციისაკენ მიმავალ გზას. ხუთი-ექვსი წლისა თუ იქნებოდა მაშინ.:. დედა ყოველ დილით ჩაის პლანტაციაში მიდიოდა სამუშაოდ. გოგონას მოხუც მეზობელთან ტოვებდა. მამა სამამულო ომში დაეღუპა ლამზირას, და-ძმა არ ჰყავდა. დილიდან საღამომდე უდედოდ მოწყენილი იყო პატარა. შესვენების დროს ზოგჯერ ბავშვის სანახავად მოირბენდა დედა; როცა გახურებული კრეფა იყო, პლანტაციიდან წამოსვლას ვეღარ ახერხებდა.

იმ დღეს ლამზირა ჭიშკართან იჯდა ჩრდილში და დედის მოლოდინში მოუთმენლად გასცქეროდა გზას.

გზაზე მეზობლის გოგომ ჩაიარა. სკოლიდან დაბრუნებულიყო და ახლა პლანტაციაში მიდიოდა დედის დასახმარებლად.

— ნათო, სად მიდიხარ?

— ჩაიში.

— წამიყვანე.

— რა დროს შენი ჩაია, პატარა ხარ.

— არ მოვკრეფ, დედასთან წამიყვანე.

— მართა ბებია, წავიყვანო ლამზირა დედამისთან ჩაიში? — შეეკითხა მოხუცს ნათელა.

— წაიყვანე, ოღონდ არაფერი მომიწიო გზაში, — დაეთანხმა მოხუცი.

ლამზირამ თავისი პაწია კალანჩხა წითელი ვაშლებით აავსო და პლანტაციისკენ გაჰყვა ნათელას.

დედას არ დაუტუქსავს, გაუხარდა კიდეც. აწი რა მიჭირს, ქალიშვილი მომესწრო, იცინოდა იგი.

ასე დაისწავლა ლამზირამ გზა პლანტაციისაკენ. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი უკვე მარტო მოდიოდა ნაკვეთში. ხილსა და დოქით ცივ წყალს წაუღებდა ხოლმე, ხოლო როცა წამოიზარდა და იდაყვით ჩაის ბუჩქის თალს მისწვდა, ფოთლის კრეფაშიც ეხმარებოდა დედას. მოსწავლეობის დროს, თუ ამრეშუმი არ ჰყავდა მოსავლელი, სკოლიდან დაბრუნებისთანავე პლანტაციას მიაშურებდა. თორმეტი წლისა უკვე ბევრ გამოცდილ მეჩაიეს სჯობნიდა ჩაის ფოთლის კრეფაში.

ახლა ლამზირა სახელოვანი მეჩაიეა. შარშან ოთხი ათას ორასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა! გურიანთის კოლმეურნეობაში ეს სარეკორდო მოსავალია, ლამზირას კი მაინც ეცოტავება, — ტატიანა ჩხაიძესა და ტატიანა ტუებუჩავას უფრო მეტი მოჰყავთ, ჰოდა, ჩვენც უფრო მეტის გაკეთება უნდა შევძლოთ.

ასეც ჩაწერა ვალდებულებაში: წელს მიჩენილ ნაკვეთზე ექვსი ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი უნდა მოვკრიფოო.

ყველას, ვინც ლამზირა ზოიძეს იცნობს და მისი პლანტაცია უნახავს, მტკიცედ სჯერა, რომ ქალიშვილი დაპირებას პირნათლად შეასრულებს.

პლანტაცია მართლაც რომ საგანგებოდ აქვს მოვლილი. ბუჩქების განიერ თალებზე სწრაფად იზრდება დუყები.

ლამზირა, როგორც წესი, ჩვეულებრივ მკრეფავზე ყოველდღე ოცი-ოცდაათი კილოგრამით მეტ ფოთოლს კრეფს. ეს მარტო იმით როდი აიხსნება, რომ იგი კარგად არის დაუფლებული კრეფის ტექნიკას, არამედ იმითაც, რომ მისი პლანტაცია სხვებზე უკეთ არის მოვლილი.

— როგორ კრეფ ასე ხვავიანად? — ხშირად ეკითხებიან ლამზირას მისი უმცროსი ამხანაგები.

წინათ ლამზირა ამავე კითხვით მიმართავდა სხვებს და როგორც მათ უძნელდებოდათ პასუხის გაცემა გოგონასათვის, გამოცდილ მეჩაიეს ახლა ასევე უჭირს ამ თემაზე საუბარი.

— არათუ ახსნა-განმარტება, — გვითხრა მან, — პრაქტიკულადაც მიძნელდება ამის ჩვენება. ერთი შეხედვით, თითქოს იოლი საქმეა: აიღებ და მოწყვეტ შემოსულ დუყს. რაც უფრო სწრაფად კრეფ, მით უფრო დიდია წარმატება. მაგრამ ისმება კითხვა, როგორ უნდა მოკრიფო უფრო სწრაფად? აქაც რაღაც მეთოდი, წესი და რიგი უნდა დაიცვა. უამისოდ როგორ სწრაფადაც არ უნდა ამოძრაოს მკრეფავმა თითები, რამდენი ოფლიც არ უნდა ღვაროს, არაფერი გამოვა, ამაოდ დაშვრება. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ზუსტი, გამოზომილი და ეკონომიური იყოს მკრეფავის მოძრაობა, რომ უქმად არ დახარჯოს დრო და ენერგია. კრეფის საერთო მეთოდის გამომუშავება მგონი არ შეიძლება: მე ჩემებურად ვკრეფ, ტატიანა ჩხაიძეს კრეფის თავისი წესი აქვს და ასე... მთავარი მაინც თვალისა და ხელის გაწვევაა. მაინც ვერ აგიხსენით, ხომ?... რა ვქნა, ძნელია, — ბოდიში მოიხადა ქალიშვილმა.

ლამზირა ორივე ხელით კრეფს, ხუთივე თითს სავარცხელივით შეაცურებს შემოსულ დუყებში, და სწრაფად წყვეტს, ისე რომ, ხელის ზურგი ბუჩქის თალს ეხება, ხოლო მოწყვეტილი დუყები ხელის გულში ექცევა.

— დუყების ერთ ჯგუფს რომ ვწყვეტ, — აგვიხსნა მან, — მეორე ჯგუფს უკვე ვინიშნავ ბუჩქზე, რომ სწრაფადვე წავეტანო, ხოლო ბუჩქებზე განლაგებულ მესამე და მეოთხე წყებას წინასწარვე ვზვერავ და ვუთვალთვალებ... ეს ისე გამოდის, როგორც ზღაპარშია ნათქვამი, სოკოს მკრეფავი გოგონას შესახებ: ერთს ვკრეფ, მეორეს ვინიშნავ, ხოლო მესამე და მეოთხე მეჩვენებაო. რა თქმა უნდა, გაუწაფავი ხელისათვის ადვილი არ არის ამის სწრაფად და თავისუფლად გაკეთება. პირველად მეც მიძნელდებოდა...

...პირველად მასაც უძნელდებოდა. ახლა კი უყურებთ როგორ კრეფს, უყურებთ და ასე გგონიათ, მუსიკის ტაქტზე თავისთავად, რიტმულად მოძრაობენ მისი თითები და არასგზით არ შეგიძლიათ დაიჯეროთ, რომ ეს მძიმე და დამქანცველი შრომაა — არა, ეს ნამდვილი სილამაზეა!

მიხეილ მიქაძე

# ცისფერი ეკრანის მკურნალი

გადაცემა კარგა ხანია დაიწყო. დიდი თუ პატარა ტელევიზორის წინ არიან ჩამომსხდარი, რაღაც საქმეზე შემოსული მეზობელიც გვერდით მისჯდომია ოჯახის წევრებს და გატაცებით შესცქერის ცისფერ ეკრანს.

ანაზდად რაღაც გატკაცუნდა, რაღაც აშრიალდა. ტელევიზორს ხმა ჩაუწყდა, ეკრანიც ჩაქრა.

მაყურებლები ჯერ გარინდებული ისხდნენ, მერე უკმაყოფილოდ აჩოჩქოლდნენ. ზოგი ელექტროჩამრთველს ეცა, ზოგი ხმისა და სინათლის რეგულატორს, მაგრამ საქმეს ვერა უშველესრა.

ბოლოს მასპინძელი რეკავს საქართველოს სატელევიზიო-რადიომიმღებთა ქსელის დირექციაში. მალე ოთახში პატარა ჩემოდნიანი კაცი შემოდის. მას აქ იმედით და სიხარულით ხვდებიან, როგორც ხვდებიან ხოლმე ავადმყოფის განსაკურნავად მოსულ დასტაქარს. და აი, ისევ ამუშავდა ტელევიზორი. მოსული დინჯად ალაგებს ხელსაწყოებს ჩემოდანში და მასპინძლების გულწრფელი სიხარულით ღიმმორეული თავაზიანად ემშვიდობება მათ.

ვინ იცის რამდენჯერ განუცდია ადამიანთა სიხარული ტელევიზორის სამკურნალოდ ოჯახში მისულ თვითეულ ტექნიკოსს, განუცდია ალექსანდრე პამბუხჩიანსაც, რომლისთვისაც ადამიანთა ეს სიამოვნება მის პირად სიხარულად გადაქცეულა.

ექვს წელზე მეტია, რაც ალექსანდრე თბილისის სატელევიზიო-რადიო ქსელის დირექციაში მუშაობს მექანიკოსად. მას ბავშვობიდანვე იტაცებდა რადიოტექნიკა. დაამთავრა მერვე კლასი და რადიოტექნიკურ სკოლაში შევიდა. მუშაობა რომ დაიწყო, ოჯახს მოეკიდა. სამკერვალო სკოლის თვალცქრიალა მოსწავლე გოგონა ასია გულისხმიერი მეუღლე და მოსიყვარულე დედა გამოდგა. პამბუხჩიანების პატარა ბიჭუნა ჯერ ორი წლისაც არ არის და თვალი უკვე მამის ხელსაწყოებიან ჩემოდნისაკენ გაურბის.

— პირწავარდნილი მექანიკოსია! — იცინის ალექსანდრე.

ინჟინერ-ტექნიკოსობა, როგორც ეტყობა, დაეკვება მამამისის — ახალქალაქელი პედაგოგის — ოჯახს. უმცროსი ძმა სოსოც ხომ ერევნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ამთავრებს! ახლა ალექსანდრეც ემზადება ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე შესასვლელად.

მუდამ დინჯი, აუღელვებელი და დაკვირვებულია საქმეში ალექსანდრე. მთელი დღე დილიდან შეღამებამდე ასე უვლის თბილის-ქალაქს პამბუხჩიანი, აქ დაიბადა, აქ გაიზარდა იგი, და აქვე ჰკურნავს ანაზდად სიცოცხლეჩამქრალ ტელევიზორებს.

ყოველ დილით, შედგამს თუ არა ფეხს დირექციის სადისპეტჩეროში ალექსანდრე, სახაზო სამსახურის უფროსი იური ჭანტურია წინ განრიგების მთელ დასტას დაუწყობს და წყნარად ეუბნება:

— ამათ შენ უნდა მოუარო, საშა, ეს საქმე ყველაზე საჩქაროა!

და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ალექსანდრეს უარი ეთქვას ან დაზარებოდეს დავალების შესრულება.

— ჭკვიანი, საქმის მცოდნე სპეციალისტია! — ამბობს ხოლმე პამბუხჩიანზე დირექციის მმართველი ალექსანდრე სათაშვილიც. ამხანაგებიც პატივს სცემენ და აფასებენ ამ თავმდაბალ, მოკრძალებულ ახალგაზრდას. ისინი: ოთარ მშვენიერაძე, ალექსანდრე სკოგარევი, ალიოშა გოგოხია, სერგო ოგანოვი და მათი მეგობრები ხომ ამ თითქოს უბრალო, მაგრამ მეტად საჭირო და კეთილშობილური საქმის ჯარისკაცები არიან.

გ. გიორგაძე



ალექსანდრე პამბუხჩიანი „მკურნავს" ტელევიზორს.



# დიდი ქიმიის

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში საბჭოთა ქიმიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ქიმია მძლავრი, მუდმივმოქმედი ფაქტორია. იგი აჩქარებს კომუნიზმის საწარმოო ძალების განვითარებას, ახდენს თვისებრივ ცვლილებებს ტექნიკურ პროგრესში. თანამედროვე ქიმია ქმნის მეორე ბუნებას, ადამიანისათვის საჭირო საწარმოო და პირადი მოხმარების საგნებს. ქიმიამ ღრმად გაიდგა ფესვი სოციალისტური სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგში. იგი არა მარტო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საწარმოო ძალების განვითარებაში და მძლავრ ზემოქმედებას ახდენს ტექნიკურ პროგრესზე, არამედ თვითონაც წარმოადგენს საწარმოო ძალების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს. იგი ქმნის მატერიის ახალ სახეებს, რომელიც ბუნებაში უშუალოდ არ გვხვდება. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა პოლიმერების ქიმიას.

პოლიმერების ქიმია გადაიქცა საბჭოთა ქიმიის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად, რომელიც ქმნის მასალებს წინასწარ განსაზღვრული თვისებებით. იგი ქმნის მხურვალგამძლე, ადვილად აალებად, ფოლადივით მყარ და ღრუბელივით რბილ ელასტიკურ მასალებს. მიღებული იქნა ახალი სახეობის სინთეზური კაუჩუკი, რომელიც კარგად უძლებს ძლიერ ყინვას და დიდი თბოგამძლეობის უნარი აქვს. სუმგაითის სინთეზური კაუჩუკის ქარხანამ პირველად მსოფლიოში მიიღო კაუჩუკი უშუალოდ გაზიდან — ბუტანიდან, ისე რომ გვერდი აუარა მის სპირტად გარდაქმნის სტადიას. უახლოეს პერიოდში უნდა შეიქმნას ისეთი ავტომანქანები, რომლებსაც მოტორის გარდა თითქმის ყველაფერი პლასტიკატებისაგან ექნებათ გაკეთებული. სინთეზური პოლიმერებისაგან დამზადებულ სალტეებს შეეძლებათ გაიარონ 400-500 ათასი კილომეტრი და მხოლოდ მაშინ გამოვლენ მწყობრიდან, როცა მანქანა გაცვდება. იაროსლავლისა და ომსკის ქარხნები გამოუშვებენ ახალი კონსტრუქციების საბურავებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომობილების გარბენას 120-150 ათას კილომეტრზე. ახლა სინთეზურ სპირტს მარცვლეულის ნაცვლად ნავთობიდან იღებენ. ამ სიახლემ უამრავი მარცვალი დაზოგა, რადგან წინათ, მაგალითად, 26 მილიონი დეკალიტრი სინთეზური სპირტის მისაღებად საჭირო იყო 50 მილიონი ფუთი მარცვლის დახარჯვა. პოლიმერები ფართოდ დაინერგება აგრეთვე ადამიანის საყოფაცხოვრებო საგნების წარმოებაში. პოლიმერებისაგან დამზადებული სახლები 25-30 ჯერ უფრო მსუბუქი იქნება აგურისაგან დამზადებულ შენობებზე.

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით გადაწყდა ლავსანის შექმნის პრობლემა. ლავსანი ქათქათა აბრეშუმისებრი ბოჭკოა, რომელიც მატყლს წააგავს, მაგრამ მასზე რამდენჯერმე მაგარია. ლავსანისაგან გაკეთებული ქსოვილი გამოირჩევა არაჩვეულებრივი გამძლეობით, არ იკლებს ზომაში, არ იჭმუჭნება, არ სველდება, არ ხუნდება მზეზე. მას ვერ აზიანებს ჩრჩილი. ლავსანისაგან ამზადებენ არა მარტო საკოსტიუმე და საკაბე ქსოვილებს, ხელოვნურ ბეწვს, არამედ მტკიცე სასალტე კორდს, სათევზაო ბადეებს, ამძრავ ღვედებს, ელექტრო-საიზოლაციო მასალებს და ა. შ. ლავსანი მტკიცე და წყალგაუვალი მასალაა. ლავსანის ნართი რამდენჯერმე იაფია მატყლზე, თანაც უფრო გამძლე და მაგარია. ერთი ტონა ლავსანის მისაღებად ოთხჯერ უფრო ნაკლები შრომა იხარჯება, ვიდრე ტონა ბამბის წარმოებაზე და ექვსჯერ-შვიდჯერ ნაკლები, ვიდრე ტონა გარეცხილი მატყლის წარმოებაზე. ბუნებაში ლავსანის ბოჭკო არ არსებობს, ის ხელოვნური გზით შექმნა ადამიანმა. იგი პირველად იქნა მიღებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალმოლეკულური ნაერთების ლაბორატორიაში.

თუ მეფის რუსეთში წარმოებდა ოცი ქიმიური ელემენტის მოპოვება, სსრ კავშირმა ელემენტთა გამოყენებაში დიდი ნახტომი გააკეთა წინ. ახლა ჩვენში წარმოებს ოთხმოცდაათამდე ელემენტის მოპოვება და გამოყენება. მატერიის ახალი სახეები, რომელიც შექმნილია სინთეზური ქიმიის მეშვეობით, დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ერთი ტონა პლასტმასა საშუალოდ ცვლის სამ ტონა ფერად ლითონს. პლასტმასებით ლითონების თანდათანობით შეცვლა გამოიწვევს ნამდვილ ტექნიკურ რევოლუციას მანქანათმშენებლობაში. სილიკოორგანული შენაერთი—ორთოსილიციუმის მჟავის ეთილის ეთერი მანქანის ნაწილის ჩამოსხმის ისეთ საშუალებას იძლევა, რომ საჭირო აღარ იქნება მისი შემდგომი მექანიკური დამუშავება. ერთი ტონა სხმულის ჩამოსხმა ამ წესით მოგვცემს ორ ტონა ნაგლინის ეკონომიას, შრომის ტევადობა კი შემცირდება 600-700 ნორმასაათამდე. სილიკოორგანული ფისი, როგორც ელექტროიზოლატორი, საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ელექტროძრავების სიმძლავრე 30-40 პროცენტით მათი წონის შეუცვლელად, საექსპლოატაციო დრო კი გავადიდოთ 2-5 ჯერ. ეპოქსიდის ფისის გამოყენება ტრანსფორმატორების წარმოებაში იძლევა თვითეულ ტონა ფისზე 4 ტონა სპილენძის ეკონომიას და ოთხჯერ ამცირებს ტრანსფორმატორების წონას. წარმოებაში ფართოდ ინერგება სილიციუმი, ფტორი, ფოსფორი, ტიტანი და სხვა ქიმიური ელემენტები, რომლებსაც წინათ თითქმის არ იყენებდნენ ორგანულ ქიმიაში.

განსაკუთრებით დიდ გარდატეხას ახდენს მეტალურგიულ წარმოებაში ჟანგბადის გამოყენება. მაგალითად, ბრძმედში მიმდინარე პროცესის დროს ჟანგბადის კონცენტრაცია მიაღწევს 30-35 პროცენტს, რის გამოც ღუმელების წარმადობა გაიზრდება 20-35 პროცენტით, ხოლო კოქსის დანახარჯი თითქმის ერთიორად შემცირდება. თუ წინათ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული ის დებულება, რომ ტემპერატურის დაწევა ქიმიური რეაქციის პროცესს ანელებს, ახლა დამტკიცდა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ძალზე დაბალი ტემპერატურის (—100° და კიდევ უფრო დაბალი) პირობებში ზოგიერთი რეაქციები სწრაფად მიმდინარეობს მყარ სხეულებში. ეს კი დროის ერთეულში მეტი მზა პროდუქციის დამზადების საშუალებას მოგვცემს.

საბჭოთა ქიმია უდიდეს როლს ას-



რულებს კოსმოსის დაპყრობის საქმეშიც. კოსმოსური ხომალდების მძლავრი რაკეტული ძრავებისათვის აუცილებელი იყო ახალი სახის ქიმიური სათბობი, რომელიც უზრუნველყოფდა მათ სიმძლავრეს, რაც რამდენიმე მილიონი კილოვატით განისაზღვრებოდა. ასეთი სინთეზური სათბობი კი შექმნა ორგანულმა და სინთეზურმა ქიმიამ. მაგალითად, მატარებელი რაკეტის რეაქტიული ძრავების წევის ძალა აღწევს რამდენიმე ათას ტონას. წევის ეს ძალა შეესაბამება „ტუ-104" მარკის რამდენიმე ასეული თვითმფრინავის ყველა ძრავის ძალას. კოსმოსურ ხომალდში ისეა მოწყობილი პილოტის კაბინა, რომ კონდიცირების სისტემა იცავს ნორმალურ წნევას, ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ნორმალურ კონცენტრაციას. ჰაერის შედგენილობის რეგენერაცია ხორციელდება მაღალაქტიური ქიმიური შენაერთების გამოყენების გზით. რეგენერაციის პროცესი ავტომატურია. ჟანგბადის საჭირო რაოდენობის გამოყოფა და ან შემცირება ზუსტად რეგულირდება. თუ კაბინაში მავნე ნივთიერებები გამოიყო, მას მაშინვე სწმენდს სპეციალური იონიტებისაგან დამზადებული ფილტრები. კონდიცირების სისტემის [illegible] ობას რომ შეეხო, კოსმონავტმა გ. ტიტოვმა აღნიშნა: „მთელი ფრენის დროს კაბინაში ნორმალური პირობები იყო: თანაბარი წნევა, ნორმალური ტემპერატურა, ჰაერის [illegible] შემადგენლობა, [illegible] სიტყვით კონდიცირების სისტემა ფრენის დროს [illegible]". ამ საქმეში კი საბჭოთა ქიმიამ დიდი როლი შეასრულა.

საბჭოთა ქიმიამ წარმატებით გადასწყვიტა ვ. ი. ლენინის მიერ დაყენებული პრობლემა ყარა-ბუღაზის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისების შესახებ. ვ. ი. ლენინის აზრით, ქიმიური მრეწველობის ნედლეულის მარაგის დიდი ბაზის ყარა-ბუღაზის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება უახლესი ტექნიკის საშუალებით მოგვცემდა საწარმოო ძალთა უნახავი პროგრესის საფუძველს. ვ. ი. ლენინის მითითებით ყარა-ბუღაზის ქიმიური სიმდიდრის შესწავლისათვის დიდი მუშაობა ჩატარდა. აღმოჩენილი იქნა მარილების დიდი მარაგი. იქ თავს იყრის მილიარდობით ტონა სხვადასხვა სახის მარილები. ახლა ამოცანა ის არის, რომ ყარა-ბუღაზის ქიმიური სიმდიდრე კომპლექსურად იქნეს გამოყენებული. ყარა-ბუღაზი უნდა გახდეს დიდი ქიმიის მძლავრ მოქმედ ბაზად.

კომუნისტური პარტია ითვალისწინებს საბჭოთა ქიმიის უდიდეს მნიშვნელობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულ საქმეში და ქმედით ზომებს იღებს მისი დაჩქარებული განვითარებისათვის. შვიდწლედის მეხუთე წელი ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების წელია. 1963 წელს 628 განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობიდან 103 დიდი ქიმიის ობიექტია.

ქართველ ქიმიკოსებს თავიანთი წვლილი შეაქვთ დიდი ქიმიის შექმნაში. წარმატებით მთავრდება რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანასთან კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობა, რომელიც მალე მოგვცემს თავის პირველ პროდუქციას. გამოყენებითი და ელექტროქიმიის ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანას. ქარხნის კოლექტივმა პირველმა საბჭოთა კავშირში განახორციელა მეთანის კონვერსიის ავტომატიზებული პროცესი, აითვისა კალიუმის პერმანგანატის წარმოება ფერომანგანუმის ანოდური მეთოდის გამოყენების საფუძველზე. გადაიჭრა



მანგანუმის ორჟანგის მიღების საკითხი. თბილისის პლასტმასების ქარხანაში მოახდინეს მნიშვნელოვანი ცდები ტყიბულში აღმოჩენილი საპლასტმასე ნედლეულის, ეგრეთ წოდებული რაბდოპისტის (ფისოვანი ჩხირების) გამოყენებისათვის პლასტმასის წარმოებაში. რაბდოპისტის გამოყენება საშუალებას მისცემდა ქარხანას განთავისუფლებულიყო რამდენიმე ასეული ტონა საპლასტმასე წნეხფხვნილის შემოტანისაგან. მიღებულია ახალი ქი-



მიური პრეპარატები ვაზისა და სხვა მცენარეთა ქლოროზის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამუშავებულია და დანერგილია მრეწველობაში დეფექტოლის მიღების მეთოდი, რომელიც მანქანათმშენებლობაში გამოიყენება. რკინის ნაკეთობებში უხილავი ბზარების აღმოჩენისათვის საჭიროა ამ ნაკეთობების მიკროსკოპით გასინჯვა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ბზარებს მიკროსკოპითაც ვერ ამჩნევენ. ნ. ზელინსკის სახელობის ორგანული ქიმიის ინსტიტუტისა და პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების მიერ ნ. შუიკინისა და ნ. ბექაურის ხელმძღვანელობით კატალიზური სინთეზის საფუძველზე მიღებული იქნა ახალი სახის დეფექტოლი-შუბეკოლი. იგი შეიცავს ლუმინესცენციურ თვისებებს, რაც აადვილებს მიკროსკოპით სარგებლობას და რკინის ნაკეთობებში უხილავი ბზარების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. შუბეკოლის გამოყენებამ ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხანას დიდი ეკონომია მისცა. ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შ. შალამბერიძემ და პ. ბერიძემ ურავის სამთომეტალურგიულ კომბინატის კოლექტივთან მჭიდრო ურთიერთობით მიიღეს პრეპარატები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო და სავეტერინარო პრაქტიკაში. საბჭოთა ქიმია ადამიანის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი საშუალებაა. იგი ეხმარება მედიცინას, აძლიერებს მის შეტევას ისეთ ავადმყოფობებზე, რომლებიც წინათ დაუძლეველი იყო.

ადამიანი სწავლობს ბუნებისაგან. დ. ი. მენდელეევის გამოთქმით, ადამიანი ბუნებაზე დაკვირვებით და მასთან მეგობრობით წინ უსწრებს მას, ქმნის მასში დღემდე უშუალოდ არარსებულ ნივთიერებებს. აზოტბაქტერიები ჰაერიდან იღებენ აზოტს ფიქსაციის გზით ოთახის ტემპერატურისა და ჩვეულებრივი წნევის დროს. ადამიანები კი ამიაკის სინთეზს ანხორციელებენ შედარებით მაღალი ტემპერატურისა და მაღალი წნევების დროს, რადგან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ისეთი კატალიზატორები, რომელნიც ამ პროცესს დაბალ ტემპერატურაზე წარმართავენ. ხელოვნური კატალიზატორების შექმნა დაბალ ტემპერატურასა და დაბალი წნევის დროს ბმული აზოტის მიღების შესაძლებლობას მოგვცემს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ჰაერიდან აზოტის მიღების ნამდვილი ფაბრიკაა პარკოსანი კულტურები. სხვა კულტურები მოსავლის მისაღებად მხოლოდ ნიადაგის აზოტს ხარჯავენ. პარკოსანი კულტურები კი ამდიდრებენ ნიადაგს აზოტით. საკვები პარკოსნები 20 ცენტნერი მოსავლის დროს ჰაერიდან იღებენ 142 კილოგრამ აზოტს, მოსავლის აღების შემდეგ კი ნიადაგში ტოვებენ 63 კილოგრამამდე აზოტს ჰექტარზე. პარკოსანი კულტურების განვითარება ნიადაგში აზოტის დაგროვების ერთ-ერთი საშუალებაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარკოსანი კულტურები გადაწყვეტს სასუქების პრობლემას. ამასთან აუცილებელია დაჩქარებული ტემპით განვითარდეს მინერალური და ორგანული სასუქების წარმოება. შვიდწლედის სამი წლის განმავლობაში ქიმიურმა მრეწველობამ 1,7 მილიონი ტონით მეტი მინერალური სასუქი გამოუშვა, ვიდრე ეს საკონტროლო ციფრებით იყო გათვალისწინებული.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა განვითარებას. სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლაში დიდ შედეგებს იძლევა პრეპარატი „დდტ". მაგრამ გამოირკვა, რომ მცენარის ზოგიერთი მავნებელი ეგუება ამ შხამქიმიკატს, რაც დაბლა სწევს მის ეფექტურობას. ამიტომ ორგანულმა ქიმიამ შექმნა ისეთი პრეპარატები — ფოსფორორგანული შხამქიმიკატები, რომლებიც „დდტ"-ზე უფრო ძლიერმოქმედი საშუალებებია. მაგალითად, ერთი კილოგრამი შხამქიმიკატი „მერკაფტოფოს" ბამბის ნათესების ერთ ჰექტარზე მთლიანად სპობს მცენარეთა მავნებლებს, რის დროსაც შრომის დანახარჯი თითქმის თექვსმეტჯერ მცირდება. ამ პრეპარატის გამოყენებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ბამბის კულტურას მისდევენ, წლიურად დამატებით 300-400 ათას ტონა ნედლ ბამბას მიიღებენ. განსაკუთრებით დიდ შედეგებს იძლევა ახალი ჰერბიციდები. 2 კილოგრამი პრეპარატი „სიმაზინი", რომელიც გამოყენებული უნდა იქნას სიმინდის სარეველებთან ბრძოლაში, ნიადაგში შეტანისას სპობს ყველა სხვა მცენარეებს მთელი ვეგეტაციის პერიოდში. ჰერბიციდები „ჭკვიანი" ქიმიკატებია. სათანადო პირობებში ისინი სასარგებლო მცენარეებს არ ეხებიან, სარეველებს კი სპობენ.

აზერბაიჯანისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში დანერგილია და კარგ შედეგებს იძლევა დ. ჰუსეინოვის მიერ მიღებული ახალი სასუქი — ნავთობური წარმოშობის საზრდელი ნივთიერება. იგი არც ხანძარსაშიშია, არც შენახვის დროს კარგავს თვისებებს. ეს სასუქი დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა: როცა ჰექტარზე შეიტანეს 50-დან 60 გრამამდე საზრდელი ნივთიერება, ბამბის მოსავალი გადიდდა 3,5-დან 5,1 ცენტნერამდე, კომბოსტოსი 38-დან 65 ცენტნერამდე, პამიდორისა — 3,5 ცენტნერამდე, ჩაის მწვანე ფოთლისა 4 ცენტნერამდე.

ქიმია ახდენს სასწაულებს, და ეს სასწაულები სწორ მეცნიერულ გააზრებას ემყარება. ახლა არ არსებობს სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც ქიმიას არ შეეღწიოს და არ მოეხდინოს მასზე კეთილშობილური ზემოქმედება. კიდევ უფრო კეთილშობილურ ზეგავლენას მოახდენს იგი ჩვენს ცხოვრებაზე მომავალში, როცა საბოლოოდ შეისხამს ხორცს პარტიის



პროგრამით გათვალისწინებული მისი განვითარების ამოცანები. ეს ისტორიული დოკუმენტები სწორუპოვარი მეგზურებია საბჭოთა ხალხისა, რომელიც თამამად ავიდა დიდი ქიმიის ხარაჩოებზე.

დოც. მიხეილ კუბლაშვილი

ცნობილ მწერალსა და თეატრალურ მოღვაწეს შალვა დადიანს 1924 წლის 14 მაისს მოსკოვის საზოგადოებრიობამ და ვახტანგ მჭედლიშვილის თეატრალურმა სტუდიამ სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის შენობაში გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 80 წლისთავი. საიუბილეო საღამოს, ავადმყოფობის გამო, ვერ დაესწრო მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის დირექტორი ა. სუმბათაშვილი. მაგრამ მას იუბილარისათვის მისალოცად წერილი დაუწერია, რომლის წაკითხვა დაუვალებია მსახიობ ალექსანდრა იაბლოჩკინასათვის. წერილში, როგორც მკითხველი დაინახავს, ავტორი გულთბილად ლაპარაკობს შალვა დადიანის დიდ ღვაწლზე ქართული თეატრალური ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის წინაშე.

ამას გარდა, სუმბათაშვილის წერილი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ავტორი შალვა დადიანის დიდ ღვაწლს უკავშირებს ქართული კულტურის მძლავრ აღორძინებას, რომელიც თან მოჰყვა რევოლუციური მოძრაობის დაწყებასა და შემდეგ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. აქვე იგი ლაპარაკობს რუსი და ქართველი მსახიობების შემოქმედებითს თანამეგობრობაზე.

ალ. სუმბათაშვილის წერილის დედანი ინახება საქართველოს თეატრალურ მუზეუმში.

# ფურცლები წარსულიდან

დიდად პატივცემულო და გულით
საყვარელო შალვა ნიკოლოზის-ძევ!

რარიგ მტკივა გული, რარიგ ვწუხვარ როგორც ხელოვანი და როგორც ქართველი, რომ თქვენთან არ ვარ დღეს, როცა მოსკოვი და ჩვენი ქართული სათვისტომო აღნიშნავენ თქვენს უაღრესად დიდ ღვაწლს როგორც ჩვენი ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო კულტურის წინაშე.

სულაც არ იქნება გაზვიადება, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვეულებრივი იუბილეებისათვის, რომ თქვენს იუბილეს ვუწოდოთ ფართო და უაღრესად ნიჭიერი მუშაობის დიდი შედეგების დღე. ამ მუშაობის დასაწყისი დაემთხვა ქართული თვითშეგნების იმ ეპოქას, როცა თქვენი წინამორბედების — ილიასა და აკაკის მცნებებით ხალხის გენიის ყველა დარგში — ლიტერატურის, სცენის, სახვითი ხელოვნების დარგებში სარბიელზე გამოვიდა ქართული აზრისა და ქართული შემოქმედების რაინდთა ბრწყინვალე არმია. მრავალტანჯული ქართველი ხალხის საუკუნოვანი ტრაგიკული ცხოვრების გამო თისმა თითქოსდა მიმქრალმა მხატვრულ-შემოქმედებითმა ძალამ, მანამდე რომ მხოლოდ სპორადული გამობრწყინებით ვლინდებოდა, ახლა სულერთიანად გააცისკროვნა მშობლიური საქართველოს ცა. მისი ლიტერატურული, სცენური და მხატვრული შემოქმედება მძლავრად აგიზგიზდა და ამ დროის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ალება არის თქვენი შემოქმედება, ძვირფასო და დიდად პატივცემულო შალვა ნიკოლოზის-ძევ.

როგორც პოეტი და ჟამთაალმწერელი, როგორც დრამატურგი და მსახიობი, როგორც შემქმნელი და ორგანიზატორი ქართული თეატრისა — საერთო და სპეციალურად ხალხური თეატრისა, თქვენ ქართული ეროვნულ-შემოქმედებითი მოძრაობის მებაირახტრეთა პირველ რიგებში ხართ. ყოველმხრივ რომ დავახასიათოთ თქვენი მრავალფეროვანი მოღვაწეობა, რა თქმა უნდა, საჭიროა არა მოკლე მეგობრული მისალმება, არამედ თქვენი შესანიშნავი შრომების მრავალტომიანი ისტორიულ-მეცნიერული, კრიტიკული გაშუქება, მშობლიური ქართული კულტურის ისტორია მოვალეა ერთ-ერთი უპირველესი ადგილი დაუთმოს თქვენს მოღვაწეობას.

როგორც ქართველი, მადლიერებითა და აღტაცებით ვცემ თაყვანს თქვენს უდიდეს ღვაწლს ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში, ხოლო როგორც ხელოვანს არ შემიძლია არ გამოვთქვა გულწრფელი აღტაცება თქვენი ბრწყინვალე ტალანტისა და თქვენთა შთანაფიქრთა შემოქმედებითი წარმოსახვის ძალის გამო.

ვამაყობ და ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ამხანაგებმა — რუსული სცენის საუკეთესო საუნჯეთა საცავის — მცირე თეატრის მუშაკებმა — დამავალეს გამომეთქვა თქვენი დიდი დამსახურების პატივისცემისა და სრული აღიარების გრძნობა, რაც ვეცადე ჩამექსოვა ამ მოკლე მიმართვაში. ჩემი ამხანაგები, რომლებსაც უყვართ ძვირფასი საქართველო და დაკავშირებული არიან მასთან დაუვიწყარი მოგონებებით, ძმური სიყვარულით მიესალმებიან მას თქვენი სახით, კალმისა და სცენის შესანიშნავო ოსტატო, და ვფიქრობ, რომ აზრისა და ტალანტის დიადი თანამეგობრობის საუკეთესო დადასტურებაა ის, რომ ამ მისალმების წაკითხვა იკისრა ჩვენი მცირე თეატრის მსახიობთა კორპორაციის თავმჯდომარემ, დამსახურებულმა არტისტმა ალექსანდრა ალექსანდრეს ასულმა იაბლოჩკინამ, რომელიც ბოლომდე იტყვის ყოველივეს, რაც მე, ლოგინად ჩავარდნილმა, ვერ ვთქვი.

იცოცხლე საქართველოვ!
იცოცხლე შალვა!

ა. სუმბათაშვილი-იუჟინი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ ქვლივიძე

## ...და მაინც მინდა მისი გაცნობა

ვინ გაიტაცა ჩემი ხიმდიდრე,
ვინ მოაბნია ქვეყნად ყოველი,
რაც მე მეკუთვნის: თუნდ ის ღიმილი
ქალის, რომელიც ამ წუთას, სადღაც,
უცხო ქალაქის ქუჩაში მიდის...

მე გაგიჟებით მიყვარს ის ქალი...

ის იყო, როცა მე არ ვიყავი,
ის არი ახლა, როცა მე ვცხოვრობ,
იქნება, როცა მე არ ვიქნები...
მე გაგიჟებით მიყვარს ის ქალი...
მე მინდა მასთან საუბრით დავტკბე.

მინდა დილიდან დაღამებამდე
მის სახლთან ვიდგე ყვავილით ხელში,
და მინდა ვიყო მის გვერდით, როცა
გულს მწუხარება გაუნახევრებს...

მე მინდა მასთან მივიდე, როცა
თეთრი წინსაფრით, მოხწავლის ჩანთით,
ამაყი, ცივი, მიუკარება,
იგი სკოლიდან სახლისკენ წავა,
მივუახლოვდე, რაიმე ვკითხო,
და მოვისმინო: „რა გნებავთ ძია?“...

მე მინდა იგი კაფეში შემხვდეს,
ან ძველი ტაძრის კედელზე ვნახო,
ხავსმოდებული, გარდასულ დროთა
ოსტატის ხელით გამოსახული...

ან მინდა,
            ხოფლის შარაზე მავალს,
შემომეფეთოს ნაზი, ვით შველი,
გულგაღეღილი, ჩითის კაბაში,
მზით გარუჯული და ფეხშიშველი,
და ჩემს წინ მორცხვად დახაროს თავი...

მე იმ ქალს ვიცნობ დიდი ხანია.
და მაინც მინდა მისი გაცნობა...
ხან ეკრანიდან მიღიმის იგი,
ხან ჩემთან ერთად მეტროში მგზავრობს,
ხან კი სიზმრებში შემოდის ჩემთან
და ჩემთან ერთად ღამეებს ათევს.

ის იყო, როცა მე არ ვიყავი,
ის არი ახლა, როცა მე ვცხოვრობ,
და ის იქნება, ვიცი იქნება,
იქნება, როცა მე არ ვიქნები...

მე გაგიჟებით მიყვარს ის ქალი...

გ. რაზმაძე

ზღვის პეიზაჟი



თ. ფურცხვანიძე

მთაში


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. დადვაძე

ტბაზე



# პურ-მარილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ლაკერბაი მოთხრობა მხატვარი ო. ჯიშკარიანი

სოხუმში ხშირად ჩავდივარ. მიყვარს ზღვა და მშობლიური ქალაქი. სტუმრობა ცოტა რომ შემიგვიანდება, ზოგ ადგილს ველარც კი ვცნობ. გაიხედავ იქით, ისეთი სახლი წამოუჭიმავთ, თვალს ვერ მოსწყვეტ. გაიხედავ აქეთ და...

— დედა! ეს რა ჩუქურთმებია! — წამოგცდება ხმამაღლა. ზღვა და ცა ერთმანეთს სილურჯეს ახარბებენ, ქალაქი ათასფერად ლივლივებს.

— ეს რა მალე აშენებენ, კაცო! გარეუბნებს გასცდა ქალაქი! — ეტყვი ვიღაც უცნობს და ისიც მაშინვე ცქერს დაგიკრავს.

— აბა, აბა! გონებამ გააღონიერა მკლავი და მკლავმა გააღონიერა ჭკუა, ახლა კაცს სახლის აშენება აღარ უჭირს. ესეც რომ არ იყოს, ხალხმა სული მოითქვა, ამ ბოლო დროს უკეთ ცხოვრობს და...

მართლაც, აქ მარტო დაწესებულებები კი არ შენდება, ხალხს შეძლება აქვს და თავისი დანაზოგით ბევრი ახალ ბინას იკეთებს. ჰო, თავისი პატიოსანი შრომით, თუმცა ზოგიერთი...

ამ გახსენებაზე ერთი ჩემი მეგობრის ამბავს მოგიყვებით.

სოხუმის მახლობლად, სოფლის განაპირას დაიწყეს დიდი სანატორიუმის მშენებლობა. მიზიდეს და მიზიდეს ხე-ტყე, ცემენტი, რკინა, ფიქალი და ათასი სხვა რამ. მშენებლობის უფროსად ყოფილი მფრინავი დანიშნეს, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ზაქაიძე.

ჯერ საძირკველიც არ ჰქონდათ ჩაყრილი, აქ რამდენჯერმე მოვიდა და დავითს ქუდის მოხდით მიესალმა ერთი ჭარმაგი კაცი. ზაქაიძემაც ზრდილობიანად მოუხადა ქუდი და გაშორდა. იმ კაცმა უფრო გაახშირა სტუმრობა. დავითს შორიდანვე უხდიდა ქუდს და გამარჯობას რომ ეუბნებოდა, სულ ღიმილად დნებოდა.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ გაწუხებთ, — უთხრა ერთ დღეს სტუმარმა მშენებლობის უფროსს. — აქვე ვცხოვრობ და მიხარია, თქვენ რომ გიყურებთ... ახლა ჩვენ თითქმის მეზობლები ვართ, თუ რამე დაგჭირდეთ, არ მომერიდოთ... მე სილოვანი მქვია, სოფელში ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველა მიცნობს... მართალია, მე თქვენი ტოლი არა ვარ, დავით ზაქაიძესთანა ღირსეული კაცი ორი არ დადის ქვეყანაზე, ომშიც ისახელეთ თავი და ახლა ამხელა მშენებლობის უფროსიც ბრძანდებით, მაგრამ, თუ პატივს დამდებთ და ოჯახში მეწვევით, დიდად გამაბედნიერებთ, სულ საამაყოდ დამრჩება ეს ამბავი.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ! — მიუგო დავითმა, — იმდენი საქმე მაქვს, რომ...

— საქმეს ქვეყანაზე რა გამოლევს! ახლა თქვენ მთელი ჩვენი სოფლის საპატიო სტუმარი ბრძანდებით, მაგრამ რატომღაც გვერიდებით... ასე არ ვარგა, შვილო! გატეხეთ ნავსი და ერთხელ მაინც მეწვიეთ ოჯახში! ჩვენებური პურ-მარილიც გასინჯეთ, პირს კი არ დაგწვავთ! სტუმარი ღვთისაა! გვეცით პატივი! შორს კი არ ვცხოვრობ, ეგერ, ლურჯშუშაბანდიანი სახლი რომ მოჩანს, ის არის ჩემი.

— დღეს არ მცალია და... ხვალ ვნახოთ! — თქვა დავითმა.

— კაი, ბატონო, ხვალ იყოს! პური ჩამარხულია მიწაში, ვერსად გაგვექცევა.

მეორე დღეს კვლავ მიადგა სილოვანი მშენებლობის უფროსს.

— ბატონო სილოვან, ისევ ბოდიში უნდა მოგიხადოთ, დღესაც იმდენი საქმე გამომიჩნდა... — უარი უთხრა დავითმა, — ხვალ გეწვევით... პური ხომ ჩამარხულია მიწაში და სად გაგვექცევა?

— აჰ, ასე არ ივარგებს! ვატყობ, შენ არასოდეს არ გეცლება, თუ საქმეს ძალით არავინ მოგწყვიტა! დღეს უარი უკვე აღარ გაგივა! — შინაურულად დაუწყო საუბარი სილოვანმა, — მთაში გაზრდილ კაცს ეგ არ გეპატიება. მე ვყოფილვარ თქვენში, ვიცი იქაური ადათები: კაცი რომ კაცს დაპატიჟებს, უარი არ ეთქმის, პურ-მარილს არ დაუწიხლავს, ხოლო რაკი მის ოჯახში პურს გატეხავს, დაუმეგობრდება კიდეც. დავიჯერო, ახლა შენ ამ კარგ ადათ-ჩვეულებას უღალატებ? ნუ გამაწბილებ, შენი ჭირიმე, და შინ მარტო ნუ გამიშვებ, ჩვენები ალბათ უკვე სუფრას შლიან... პურ-მარილის მადლიმც გწყალობდეს, წამომყევი!

დავითი ახლა ქეიფობის გუნებაზე სულაც არ იყო, დროც არ ჰქონდა, მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის მამა-პაპურ ჩვეულებას ვერ გადაუხვია, სილოვანს პურ-მარილის მადლი არ შეუგინა და მასპინძლის პატიჟით თავგაბეზრებული კაცი ლურჯშუშაბანდიანი სახლისკენ მიმავალ გზას ულიმღამოდ გაუყვა.

სილოვანი ისე შეუძღვა სტუმარს ეზოში, გეგონებოდათ ცეკვავსო. ხელების გაშლაღა აკლდა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემს ოჯახში!

სტუმარს მაშინვე შეეგებენ სილოვანის მეუღლე და ქალიშვილი. უხაროდათ, იღიმებოდნენ. კარგი თვალტანადი იყო ქალიშვილი და ღიმილი უფრო ალამაზებდა.

თვალის დახამხამებაში გაიშალა სუფრა. მაგიდაზე უცებ გაჩნდა საცივი და ყველჩართული ღომი, მწვადი და მწვანილი. ქალიშვილმა ცივ-ცივი ღვინო ლამაზი სურებით მოარბენინა.

ნასადილევს ძვირფასი სტუმარი მასპინძელმა მშენებლობის ჭიშკრამდე მიაცილა:

— დიდად გმადლობთ, ბატონო დავით, ამხელა კაცი ჩემს პატარა ოჯახში რომ მობრძანდით და გემრიელად რომ იპურმარილეთ. ამიერიდან, იმედია, დროს გამონახავთ თუ არა, შინაურულად მეწვევით. გზა იცით და ყველაფერი. თქვენს სახლად იგულეთ ჩემი კარმიდამო. რაკი ჩემს კერასთან პური გატეხეთ, უცხო კი აღარა ხართ. პურ-მარილი მტრებსაც კი აახლოვებს, ჩვენ კი ერთმანეთისთვის სიკეთის მეტი რა გაგვიკეთებია? თქვენი სტუმრობა ყოველთვის გაგვიხარდება, მამის სული არ წამიწყდება. მიყვარს მთაში გაზრდილი კაცი, წესიც კარგი აქვს და ადათიც. მთიელი კაცის დაწიხლული პურ-მარილი არ მინახავს მე ჯერ! იცით, რატომ? პურ-მარილის მადლი ლოცვასავით წმინდაა, აბა!

— გმადლობთ, ბატონო სილოვან, ყველაფრისათვის გმადლობთ! — დავითი დაემშვიდობა მასპინძელს და მარტო რომ დარჩა, შვებით ამოისუნთქა: ღმერთო, ეს კაცი ძლივს არ მოვიშორეო?!

მაგრამ სილოვანი არც ასე ადვილად მოსაშორებელი კაცი იყო. იმ დღიდან მშენებლობაზე სიარულს უფრო მოუხშირა. სულ კუდში დასდევდა დავითს.

— ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო? ნამეტანი მიხარია, კარგად რომ ხართ! ჩემმა პატარა ოჯახმა დიდი სალამი დამაბარა! ცოტა გულიც კი სწყდებათ, რატომ არ გვნახულობსო? მართალია, მაშინ საკადრისი პატივი ვერ ვეცით, მაგრამ... მოსაძულებელი ხალხი არა ვართო. გვეწვიეთ, ბატონო, ჩამოჯექით კაკლისქვეშ, დაისვენეთ ჩრდილში, დალიეთ ორიოდე ჭიქა ღვინო და ვილაპარაკოთ შინაურულად. ამ წუთისოფელს მეტს რას გამოვრჩებით? მიფრინავს, ეე!

სილოვანი თანდათან გაუშინაურდა მშენებლობის უფროსს და ძველი მეგობარივით დაუწყო მასლაათი. ზოგჯერ ზედმეტ მამაშვილურ მზრუნველობასაც კი იჩენდა: ამდენს ნუ მუშაობ, დაიღლებიო.

აბეზარი კაცი მშენებლობის უფროსს საქმიანობისას ხელს უშლიდა, მაგრამ რა ექნა? რაკი მის ოჯახში პური ჰქონდა გატეხილი, მამა-პაპურ ადათ-წესს იცავდა და სილოვანს მუდამ თავაზიანად ეპყრობოდა...

აი დავითს მშენებლობის კანტორისკენ მიეჩქარება. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, სილოვანმა გადაუჭრა გზა:

— დავით, საქმე მაქვს შენთან!

— საქმე? რა საქმე?

— ძალიან მნიშვნელოვანი ჩემთვისაც და შენთვისაც.

— აღარ იტყვი?

მარტო იყვნენ, სილოვანმა დავითი მაინც რატომღაც განზე გაიყვანა და ისე აჩურჩულდა, გეგონებოდათ, რაღაც დიდ საიდუმლოს ამჟღავნებსო:

— ეთერი მინდა გავათხოვო... ეგ ერთი გოგო მყავს, მეტი კი არა. ჰოდა, დიდი სახლი უნდა ავუშენო, სამსართულიანი, ლამაზი და კოხტა, ისეთი, ყველა საცოლე ბიჭს ზედ დარჩეს თვალი.

— აჰაა! კარგად გიფიქრია! — უთხრა დავითმა, — ალბათ სასიძოც გეყოლება შერჩეული.

— სახლი რომ დაიდგმება, სასიძო თავათ გამოჩნდება! — სილოვანს ორჭოფულად გაეღიმა და დავითს ახედ-დახედა: — ჩვენში დარჩეს და, რაღა შორს წავიდე, აგერ არ ხარ შენ? მთაში გაზრდილ კაცს, მით უმეტეს გმირს, ჩემი ეთერი, ვიცი, არ დაიწუნებს. ჰოდა, იმ სახლსაც შენ დაეპატრონები, აბა! სხვისთვის ნამდვილად ვერ გავიმეტებ! მაგარი ბიჭი ხარ, მაგარი! — სილოვანმა დავითს მკლავზე მუჯლუგუნი გაჰკრა: აქაოდა შინაურები ვართო.

სილოვანის ლაყბობამ გააბრაზა დავითი, მაგრამ მამის ტოლ კაცს საყვედურიც არ აკადრა. მაშინდელი პურ-მარილი უბორკავდა ენას.

სილოვანი კი თავისას არ იშლიდა:

— ნუ გეშინია, ქვასა და ქვიშას იმდენს მოვიტან, რომ... ქვიშის მეტი რა ყრია აგერ, ა, ზღვის პირას... ქვიშაა ღმერთივით. ოღონდ სხვა მასალა კი შენ უნდა მომაშველო... ბევრი კი არაფერი: ხე-ტყე, ცემენტი, რკინა, ფიქალი და სხვა იმისთანა რაღაცეები. მე არა მაქვს, თორემ, მამაჩემის სული არ წამიწყდება, არ შეგაწუხებდი. მერე, ისევ შენი არ გახდება? კი არ დაგეკარგება, პურ-მარილის მადლმა!

დავითს გაეღიმა:

— უკრაინელები ამბობენ, ქორწილის სუფრას შლიდნენ, საპატარძლო კი უარზე იდგაო. შენ რომ ჭრი და შენვე კერავ, ცოტა სხვასაც დაეკითხე. მე ის მიკვირს, სამსართულიანი სახლის აშენებას როგორ ბედავ, როცა მასალა არსად გიჩანს? ვისი იმედი გაქვს?

სილოვანმა მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვიგდებს ყურსო და დავითს ყურში ჩასჩურჩულა:

— აკი გითხარი, შენი-მეთქი?

— კი, მაგრამ, მე სად მაქვს მასალა?

— შენ რომ აქ მასალა გაქვს, მეორე სოხუმს ააშენებს.

— აჰაა! მივხვდი, მივხვდი...

დავითმა გაიფიქრა: ამ გაიძვერას ახლავე კინწის კვრით გავაგდებ აქედანო, მაგრამ რისხვა დაიოკა: მამიჩემის ტოლი კაცია... ესეც რომ არ იყოს, მაგის სუფრაზე მიპურმარილებია და... უხერხულია უხეშად რომ მოვექცეო.

ერთ ხანს დაფიქრებული იდგა, მერე სილოვანს მშვიდად შეხედა და წყნარად უთხრა:

— ეს მასალა სახელმწიფოსია, ჩემი კი არა. მე...

სილოვანმა გააწყვეტინა სიტყვა:





— მერე, რა! აქ იმდენია, ცოტ-ცოტა რომ გამოაკლო, ეშმაკიც ვერაფერს მიხვდება, პურ-მარილის მადლმა! ნუ დაწიხლავ მამა-პაპის ადათ-წესს და ამ უბრალო რამისთვის ჩვენს მეგობრობას ნუ მოშლი, გეხვეწები ძალიან! ნუ გეშინია, არ გაზარალებ!

დავითმა თავი მოიფხინა. საგონებელში ჩავარდა. რალაც უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ რა? ისევ იმდღეგანდელი პურ-მარილი ახრჩობდა. სუფრის მადლი ვერ შეუგინებს მასპინძელს, ვერა! არა და, სხვა რა ილონოს?

— სილოვან, იცი რას გეტყვი? ახლა არ მცალია და ხვალ ამ დროს მოდი... მანამდე დავფიქრდები და მოგიხერხებ რალაცას.

სილოვანი ცას ეწია სიხარულით:

— მომიხერხებ? ასეც ვიცოდი, არ გამაწბილებდი! კარგი, ახლა თავს აღარ შეგაწყენ, ხვალ ამ დროს კი აქა ვარ, იცოდე! — სილოვანი შინისკენ სულ ცეკვა-ცეკვით წავიდა.

ქმრის სიხარული ცოლსაც გადაედო. მთელი ღამე ოცნებობდნენ.

— გმირი სიძე გვეყოლება, მტერს თვალები დაუდგება! — წამდაუწუმ იძახდა სილოვანი.

— სამსართულიანი სახლის აივანზე რომ გადავდგები, დედა, რა დასანახავი ვიქნები! დიდი კაცების ცოლები გულზე გასკდებიან! ამისთანა მზითვიან ქალს, გმირი კი არა, მინისტრიც არ დაიწუნებს! დავითი არ ითხოვს და, ჩემს ეთერის უკეთეს ბედსა ეწევ! ამისთანა მზითვიან ქალს...

მეორე დღეს სილოვანი ზუსტად დანიშნულ დროს გამოეჭიმა მშენებლობის უფროსს:

— მოვედი, დავით!

— ოო, ძალიან გამახარე! გამომყევი!

მშენებლობის უფროსმა სილოვანი მანქანაში ჩასვა და მდიდრულ რესტორანში წაიყვანა. იმ დროს იქ არავინ იყო.

— აქ რა მინდა? — გაუკვირდა სილოვანს.

— დაჯექი! ხომ ხედავ, რა სიმყუდროვეა? მარტო ვიქნებით და... დაჯექი, დაჯექი! ცოტას წავისადილებთ, ორიოდე ჭიქა ღვინოსაც გადავკრავთ და საქმეზეც მოვითათბირებთ. ასე არ სჯობია?

— ჰოო, თუ საქმეზე მოვითათბირებთ, კი, ბატონო! მიყვარს სუფრაზე ლაპარაკი, უფრო ტკბილია რატომლაც!

დავითმა ოფიციანტს მოუხმო და რალაც წასჩურჩულა.

მალე სუფრაზე გაჩნდა საცივი, სულგუნი, მწვანილი, ლობიო, მწვადი და, რა თქმა უნდა, ცივი ღვინო, მაგიდა აივსო ხორაგით.

— აბა, მიირთვი, სილოვან! — საცივი მიაწოდა დავითმა სტუმარს.

გასინჯეს: ყველაფერი გემრიელი იყო. აქაური ღვინო სილოვანის ღვინოს კიდეც სჯობდა.

სილოვანს სმა-ჭამა ფრიად უყვარდა და ახლაც მადიანად მოულხინა სუფრას...

კარგა ხანს ისხდნენ, მართლაც ვაჟკაცურად იპურმარილეს და შეთვრენ კიდეც. საქმეზე კი კრინტიც არ დაუძრავთ.

ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. სილოვანს საქმე უკვე მოთავებულად მიაჩნდა. ორიოდე პატარა რამეს დავაზუსტებთ, და ყველაფერი მოგვარებული გვექნება, ფიქრობდა ტკბილი ოცნებებითა და უფრო ტკბილი სადღეგრძელოებით გაბრუებული კაცი. საქმეს ბევრი ლაქლაქი არ უყვარს! დალიე და იყავი შენთვის!

ჰოდა, სილოვანიც სვამდა, ხოლო რაკი სვამდა, დათვრა კიდეც. მთვრალს ლაპარაკის სალერღელი აეშალა და თანამოინახეს სიტყვას პირიდან აცლიდა:

— დათიკო, ძალიან მომწონხარ, შე ღმერთძაღლო! ღმერთივით ვაჟკაცი ხარ, ღმერთივით, გენაცვალე სულში! — სილოვანმა დავითს ბეჭზე ძმაკაცურად შემოჰკრა ხელი. — შენ არ დაიკარგები ამ ქვეყანაზე. შენც იცხოვრებ და სხვასაც აცხოვრებ! მე და შენ, თუ მოვინდომებთ, დიდ საქმეებს გავჩარხავთ, დიდ საქმეებს, ერთი სახლის აშენება რა ჩემი ფეხებია! კარგი ვაჟკაცის სახელი გაქვს და ამიტომაც მინდიხარ სიძედ. აბა! მოდი, გაკოცო!

— სიძედ? ჰმ!.. — დავითს ცალყბად გაეცინა.

— რა გაცინებს, ბიჭო? — ჩაეკითხა დაეჭვებულმა სილოვანმა.

— ისე, უბრალოდ... სიძე რომ ახსენე, ერთი ჩინური ანდაზა მომაგონდა და...

— მაინც რომელი? — დაინტერესდა სილოვანი.

— გაიძვერა კაცის შვილი შეიძლება პატიოსნების გზას დაადგეს, სიძე კი — არასოდესო.

სილოვანი დაიჭყანა. აშკარად შეეტყო, არ მოეწონა ანდაზა. მაგრამ, კამათის გამწვავებას მოერიდა და თავშეკავებულად წაიბურდღუნა:

— თავი დაანებე ამ სულელურ ძველ ანდაზას. ეგ ანდაზა კუჭს ვერ გაგიძღებს, სახლს ხომ სულ ვერ აგიშენებს! უმჯობესია, საქმეზე ვილაპარაკოთ. როდისთვის ფიქრობ მასალის მოცემას? ისიც ახლავე გავარკვიოთ, რამდენს გაიმეტებ, სად და როგორ? ამ საქმეს ნეკი თითით ვერ ასწევ, გამოცდილი ხელით უნდა ჩარხის დატრიალება. არა, შენ მშვიდად იყავი, ნუ აღელდები, ოღონდ მასალის წაღების თანხმობა მომეცი და დანარჩენი მე ვიცოდე! ყველაფერს ისე მოვაგვარებ, ვერც მზე დაინახავს რამეს და ვერც მთვარე. ყაბულსა ხარ? მაძლევ მასალას თუ არა?

— ხომ მოგეცი, კიდევ მთხოვ? — დინჯად მიუგო დავითმა.

— როდის, კაცო? სად? — პირი დააღო სილოვანმა.

— დღეს, აგერ! — მტკიცედ უპასუხა დავითმა და სუფრას გადახედა: — ეს ფიქალია! — სულგუნიანი თეფში გააცურა სილოვანისკენ, — ეს ხე-ტყეა! — მწვანილი მისწია გვერდზე. — ეს რკინააა! — ჭიქები ააწკარუნა — ესეც ცემენტია! — მწვადიანი თეფში ასწია მაღლა. — სხვა რაღა გინდა? ყველაფერ ამას ერთად ჰქვია პურ-მარილი. ეს მმართებდა შენი და, ა, ბატონო, ბარი-ბარსა ვართ ახლა. თუ რამე დაგაკლდა, ნუ მომერიდები, მითხარი და უმალვე მოვატანინებ, პურ-მარილის მადლმა!

სილოვანი აცახცახდა და ცივმა ოფლმა დაასხა. მოეჩვენა, რომ ფეხქვეშ მიწა ჩაუსკდა და სადღაც ბნელ უფსკრულში ვარდება, ხელის მოსაჭიდი კი ირგვლივ არაფერი ჩანს. თვალები გადმოკაკლა და გაშტერდა. არც თვალს უჯერებდა, არც ყურს, თავი ცუდ სიზმარში ეგონა.

— ახლა წადი შინ! — მკაცრად უთხრა დავითმა, — წადი და ამიერიდან აღარ განახონ ჩემმა თვალებმა! მე სტუმარ-მასპინძლობის წეს-ჩვეულებაც კარგად ვიცი და პურ-მარილის ყადრიც, მაგრამ ვინც ამას უკულმართად გამოიყენებს, ის ჩემი მტერია, იცოდე, და მიფრთხილდი! წადი ახლა!

სილოვანი შინ ისე წავიდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა. არა, მთვრალი აღარ იყო, ღვინო უცებ გამონელდა. ღელეზე რომ გადადიოდა, ფეხი ვერ მოზომა და ლორების ნაწუმპალევ გუბეში ჩავარდა. ის გუბე დიდი რომ ყოფილიყო, დაახრჩობდა კიდეც.

ეს ამბავი გამოგონილი არ გეგონოთ; მე მხოლოდ სახელები და გვარები გამოვუცვალე მოქმედ პირებს. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. სილოვანისთანა კაცს ჯერ კიდევ არც ისე იშვიათად შეხვდებით ქვეყანაზე, მაგრამ ისე ბრუნავს ეს წუთისოფელი, მალე არც ერთი აღარ დარჩება.

თარგმნა აკაკი გეწაძემ

# საჭირო წიგნი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა პროფესორ ლ. კარბელაშვილის ნაშრომი — „საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფია". ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტ ახალგაზრდობას, პარტიულ და სამეურნეო აქტივს, ყველას, ვინც ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების შესწავლით არის დაინტერესებული.

წიგნი ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში განხილულია საქართველოს სსრ ტერიტორია და მისი ადმინისტრაციულ-ეკონომიური დაყოფა, მოცემულია ბუნებრივი პირობებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა სამეურნეო შეფასება, სახალხო მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა და მისი ცალკეული დარგების გეოგრაფია.

მეორე განყოფილება მოიცავს საქართველოს რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიმოხილვას. ავტორი თანმიმდევრულად და ფართოდ იხილავს მათ ბუნებრივ და სამეურნეო-ეკონომიურ პირობებს და იძლევა თვითეული მათგანის ვრცელ დახასიათებას. წიგნში მოცემულია საქართველოს რესპუბლიკის სამხარეთაშორისო ეკონომიური კავშირების ზოგადი მიმოხილვა.

მარჯვედ იყენებს რა მარქსისტულ-ლენინურ მეთოდს, ავტორი თემის საკვანძო საკითხებს იხილავს ისტორიულ ასპექტში, იძლევა შედარებებსა და სათანადო პარალელებს ავლებს ცალკეულ პერიოდებსა და ეპოქებს შორის. რეგიონალური ეკონომიური გეოგრაფია ავტორის მიერ მოცემულია რესპუბლიკის ახალი ეკონომიური დარაიონების ბადის მიხედვით. ნაშრომს თან ახლავს ავტორის მიერ კარგად შესრულებული რუკები, კარტოგრამები და კარტოდიაგრამები, შედგენილი როგორც სახალხო მეურნეობის დარგების, ისე ცალკეული ადმინისტრაციულ-ეკონომიური რაიონების მიხედვით.

პროფესორ ლ. კარბელაშვილის წიგნი დაწერილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „საქართველოს სსრ ეკონომიურ გეოგრაფიაში" ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, მათ სპეციალიზაციას, ურთიერთ დაკავშირებას, კომპლექსურ განვითარებას და ა. შ.

პროფესორი ლ. კარბელაშვილი რესპუბლიკის ეკონომიურ და გეოგრაფიულ საკითხებს განიხილავს მოძმე რესპუბლიკების მონაცემებთან მჭიდრო კავშირში, იძლევა ამ ცნობების შედარებას კაპიტალისტური ქვეყნების მონაცემებთან და ამის საფუძველზე ასაბუთებს წარმოების სოციალისტური წესის უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით. ყოველივე ეს დიდად ამაღლებს წიგნის ღირსებას.

წიგნი დაწერილია კარგი ქართული ენით და ინტერესით იკითხება.

პროფ. ნ. პაიჭაძე,
პროფ. ზ. მეხრელიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ანანიაშვილი

# ნინო ჩხეიძე

მე ახალგაზრდობის სურათებს ვახსენებ. მოულოდნელად ნინო დგება, მეორე ოთახისაკენ მიემართება. მიდის ნელი-ნელ, სვენებ-სვენებით, სკამებზე ხელებდაყრდნობით... მოხმარებასაც კი ვერა ვბედავ...

...აი ბრუნდება, სურათები მოაქვს თავისი, მოაქვს სათუთად, გულთან ახლოს მიტანილი ხელით.

არის რაღაც დიადი და ტრაგიკული ამ სურათების გამოტანაში! თითქოს წლებით დაზამთრულ დიდ ხელოვანს თავისი ნაზი, დაღლილი ხელებით მოაქვსო გაზაფხული, აყვავებული გაზაფხული თავისი დიდი ცხოვრებისა.

სულგანაბული შევცქერი ამ უჩვეულო სანახაობას, თან სევდიანს, თანაც მშვენიერს, რომლის ალბეჭდვაც მხატვარს უკვდავებას მიანიჭებდა.

სურათები კი, ფერწასული წელიწადები, ვერ ასახავენ ნინოს მეტყველ მშვენიერებას, ხალხის გულს — ამ უდიდეს მხატვარს, ხალხის გულს — ამ უდიდეს მწერალს, ასე ცხოვლად რომ შემოუნახავს.

ოთახში წამიერად სიჩუმე ისადგურებს.

ვით განაჩენი მსახიობის დუხჭირი წარსულისა, ისე გაისმის მდუმარებაში ნინოს სიტყვები:

—მხუუტავ ნათურებზე ვთამაშობდით, სანამ ლაღიძემ თეატრს სინათლე არ გამოუყვანა. ცას ვეწიეთ სიხარულით. ყოველი წარმოდგენის დროს კულისებში სულ ლაღიძის სამადლობელოს გავიძახოდით: აი, აგაშენა ღმერთმა ლაღიძეო.

სევდანარევი ღიმილით მიამბობს ერთ ეპიზოდსაც თავისი თეატრალური ცხოვრებიდან, როგორ ემზადებოდა სპექტაკლისათვის და როლისათვის შესაფერი კაბა კი არა ჰქონდა. ამხანაგს თურმე თავისი დისთვის მოუპარავს კაბა და ნინოსთვის მოუტანია. კაბის პატრონს სცენაზე ეს კაბა რომ დაუნახავს, საყვედური უთქვამს მკერავისათვის: რადა ნუცა ჩხეიძეს შეუკერეთ ჩემნაირი კაბაო.

— ეს ამბავი მაშინაც გამახსენდა, — განაგრძობს იგი,— როცა კოტე მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა“ ვნახე. ფარდა რომ ასწიეს, ყველაფერი იყო სპექტაკლისათვის: მშვენიერი დეკორაციები, მუსიკა, მშვენივრად თმადავარცხნილი მონაწილენი. მე ვთქვი, აქ სიტყვაც კი აღარ არის-მეთქი საჭირო.

— თქვენი იუბილე ახლოვდება, ხომ არ ღელავთ? — ვეკითხები.

— არა, არ ვღელავ! აი, პირველი იუბილეს დროს ძალზე ვღელავდი, გულიც კი შემიღონდა. ახლა კი... სადღა არიან ჩემი მეგობრები და მაყურებელსაც განა ვახსოვარ?!

— თქვენ ყველა გიცნობთ, ყველას ახსოვხართ!

და მე ვიცი, რომ ქარიშხლის წინ სიმშვიდე იცის. და, როდესაც საზეიმოდ მორთულ, გაჩირაღდნებულ, ხალხით სავსე დარბაზში ის დაინახავს ყველა იმათ, ვისაც თავისი ნიჭის სხივით გულში ჩახედა, ახალ მეგობრებს დაინახავს —ახალგაზრდობას, როცა სამშობლო ეტყვის მადლობას და აღუთქვამს, რომ მის სახელს შეუნახავს შთამომავლობას, — ის აღელდება!

ვემშვიდობები ძვირფას ხელოვანს, ვტოვებ ფიქრიან მოგონებათა მყუდრო სავანეს.

ვინ იცის, რამდენი შედარება მიტრიალებდა გონებაში მე აქ მოსვლამდე, რამდენი სცენის გენიის სახელით ვაპირებდი მე მის შემკობას... დუზე, სარა ბერნარი, ერმოლოვა, კომისარჟევსკაია... და არ ვიცი კიდევ რამდენი სახელი მსდევდა თან.

სად გამიფრინდნენ შედარებები, როცა მე ვნახე ნინო ჩხეიძე, — ქართული სცენის უჩრდილო ვარსკვლავი, ხალასი, თავისთავადი, ნათელი, მართალი, განუმეორებელი, როგორც დედა.

და როგორც ქართველი ახალგაზრდები ნინო ჩხეიძის ერთი წარმოდგენის შემდეგ ავგაროზივით ინახავდნენ ნინო ჩხეიძე-ვარვარას კაბის ნაფლეთებს, მეც შევინახავ ჩემს ცხოვრებაში დიდ ხელოვანთან შეხვედრის ამ ძვირფას დღეს, ვით ცოცხალ რელიქვიას.



ნინო ჩხეიძე ზეინაბის როლში
(ა. სუმბათაშვილის „ღალატი“).

მე მას კამელიები მივართვი, მარგარიტა გოტიეს საყვარელი თეთრი ყვავილები, გარდასულ დღეთა მღელვარების მოსაგონებლად...

ის სავარძელში ზის, თეთრი თმებით დამშვენებული, თეთრ წამოსასხამში გახვეული, უსაზღვროდ მშვენიერი, და თვითონაც იმ ჩუმი სილამაზის ფერმკრთალ ყვავილად წარმომიდგება, ათრთოლებულ ხელში რომ უჭირავს ასე სათუთად.

თვალს ვერ ვაშორებ შარავანდედით მოსილ ამ განსაცვიფრებლად მშვიდ სახეს, მაღალ შუბლს, სევდით დანისლულ ოდნავ მილულულ თვალებს, იდუმალებით ალსავსე ღიმილს და გულში ვამბობ, რომ „...უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობს“.

„თეატრი, სცენა, სიწმინდის ტაძარია, საკურთხეველი, სადაც შენ მიგაქვს შენი გულისთქმა, საუკეთესო ზრახვანი შენი გულისა... შენ ხარ ქურუმი ამ ტაძრისა და გმართებს მტკიცედ დაიცვა მისი სიფაქიზე. თეატრის ზღურბლთან დასტოვე, დაივიწყე შენი პირადი ცხოვრება და შედი შიგ სულ სხვა ადამიანად“.

ეფემია მესხის ამ მაღალი აზრის საოცნებო ხორცშესხმა ნინო ჩხეიძეა! ის ქურუმია, რომელმაც ხელოვნების ტაძრის საკურთხეველზე მიიტანა უძვირფასესი რამ, — მიიტანა თავისი ბავშვობა, კეთილშობილი მთრთოლვარე გული, ქართველი ქალის შეუბღალავი სახელი... და თავისი გმირების ცხოვრებით მეტი იცხოვრა, თავისი გმირების ბედ-იღბლით უფრო იდაგა, ვიდრე თავისი საკუთარით. დღესაც იგი ამ გმირების ცხოვრებით ცხოვრობს.

ახლა მისი თვალები მე მიყურებენ, მუდამ შეკითხვით, მუდამ ლოდინით სავსე წყნარი თვალები, — თვალები, რომლებითაც იყურებოდა კაეშნით სავსე კოლხი მედეა, წრფელი სიყვარულით ჩაფერფლილი მარგარიტა, კეთილშობილი, ამაყი მაგდა, სამშობლოს ტრფიალით აგზნებული ზეინაბი და ვინ იცის კიდევ რამდენი ნაზი თუ მშფოთვარე ქალის სული.

— თქვენ, ალბათ, ხშირად იგონებთ წარსულს? — ვეკითხები მორიდებულად.

პასუხად ჩუმი ამოოხვრა მესმის.

შორეული სინათლეებივით ინთებიან მოგონებები, წლები გზას უთმობენ გულის სახსოვარს...

...ქუთაისი... ქართული თეატრი, სავსე გულანთებული მამულიშვილებით. კოტე მესხი და ლადო მესხიშვილი, ეს ორი ლომი ქართული თეატრისა... სცენა და პარტერი, დიდი ოცნებით შედუღებული ერთი ოჯახი.

ნინო ამ ოჯახის ნაზი, მაგრამ მგზნებარე, თავგანწირული გმირია, — თავისი ნიჭის ჩაუქრობელი ცისკრით, ქალური და სულიერი მომხიბლაობით ათეული წლების მანძილზე რომ აელვარებს ქართულ სცენას.

ნინო ლაპარაკობს ცოტას, ლაპარაკობს ჩუმად, მაგრამ მის სულის სიღრმემდე ამაღელვებელ ხმას, ხმას ჯადოქარს, ისეთი რომანტიკული, ისეთი პოეტური ჟღერადობა აქვს, რომ სინამდვილის ძლიერებით აღანთებს წარსულს, დიდი სინათლით რომ შემოსულა ბინდის პირბადეაფარებულ მყუდრო ოთახში.

და მე ვკვირვობ, გაოგნებული, თუ რა თილისმით მოხდა, რომ ხელოვანმა, თავისი ცხოვრების ზარის მეოთხმოცე ჩამორეკვაზე, მარტოოდენ თავისი გარეგნობით, მარტოოდენ თავისი ხმით, რაღაც გამოუცნობი ზეგარდმო ნიჭით, მე — მის უნახავს, განმაცდევინა, მაგრძნობინა, დღიურ სიცხადით გამიცოცხლა თავის მიერ შექმნილი გმირების სულიერი პორტრეტები...

და მე ვხედავ, როგორ გრიგალივით შემოიჭრება სცენაზე შვილების მკვლელი სულაშფოთებული მედეა, როგორ იტანჯება იგი, და მასთან ერთად იტანჯება მთელი დარბაზი!

მე მესმის, როგორის განწირულებით შეჰკივლებს არმანის დაბრუნებაზე სიცოცხლეს მოწყურებული სნეული მარგარიტა, ფრთადალეწილი ფრინველივით როგორ ებრძვის სიკვდილს, და როგორ ქვითინებს გულამოსკვნით მთელი დარბაზი!

და მე მჯერა, როს ზეინაბი თავის პირმშოსა და საკუთარ სიცოცხლეს სამშობლოს სახელს ანაცვალებდა, — მღელვარებდა, ფეხზე დგებოდა მთელი დარბაზი.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა!
— რა გინდა, ჩემო ბიჭუნი!
— რამდენჯერ გითხარი, ბიჭუნას ნუ მიძახი. ოცდათხუთმეტი წლის კაცი ვარ.

— ოცდათხუთმეტის რაფერა ხარ, რას ლაპარაკობ. მე ჯერ ოცდაცხრამეტი არ შემსრულებია და აბა ოთხი წლის ვყოფილვარ რომ გავთხოვილვარ. შენ ხარ ახლა ოცდასამი წლისა...

— ოცდასამის? კი მარა თორმეტი წლის წინ რომ დავამთავრე ინსტიტუტი? მაშინ თერთმეტი წლის ვიყავი ვითამ?

— შენ შემოგევლე, ანგარიშებს ნუ მირევ, მე არაფერი შემეშლება. რა გინდა ახლა მითხარი.

— ორასი მანეთი.

— როდემდის უნდა გინახოთ, გამაგებიე, როდემდის.

— ჩემი რა ბრალია. რატომ დამამთავრებიეთ კბილის საექიმო. თორმეტი წელიწადია უსაქმოდ დავეხეტები ამ პროსპექტზე. რაიონში არ წავედი, აქ კი თითო მოსახლეზე სამი სტომატოლოგი ექიმი მოდის. ახლა თქვენს მეტი არავინ დამრჩენია

— მამაშენი, ბიჭო, ცოლშვილისთვის ქურდობს... ფუი, რა წამომაცდენიე ეს?.. „ქურდობს" რა შუაშია? დღედაღამე გასწორებული აქვს, რომ რამეფერად მოგვიაროს, არაფერი დაგვაკლოს... რო მიმალავს ფულს, ამისთვის მიმალავს, თორემ შენთვის იმას დაენანება? მაინც არაფერს გაკლებს, მაგრამ რომ მოდგე ახლა და დაუზოგავად ფლანგო ეს ფულები, ქვეყანა გაიგებს და...

— ჰო და იმიტომაცაა, რომ ზომიერად ვხარჯავ. ახლა აგერ ბიჭებმა გადავწყვიტეთ ოქრომეტასთან გასეირნება და ნუ მაღრიჯინებ ამდენს, დროზე მომეცი. მერე, რო იცოდე, რა ბიჭებმა მოვიყარეთ თავი.

— ვინ არიან?

— პროფესორ მოლტკე კრიკინაიშვილის ვაჟი ჰამლეტი.

— დედაია, რომელი? შექსპირის?..

— რას ლაპარაკობ. შექსპირის ჰამლეტი ხობიდანაა, ეს ჩოხატაურელია.

— ქურდობისთვის რო იყო დაჭერილი, ის?

— ქურდობისთვის კი არა. ერთი გოგო უავდა, იმან ჩააგდო...

— კიდევ?

— კიდევ ართელ „უფაქტურო სა-

— მერე ბიჭიკოს გაყვა.

— დიდი ამბავი...

— მერე კოწიას აეკონწიალა.

— რის აეკონწიალა, კანონიერად დაიწერა ჯვარი.

— მერე ვაჟიკოსთან ქონდა საქმე.

— არ მოეშვა, თავს იკლავდა და აბა რა ექნა. უარს ხომ არ ეტყოდა?

— მერე ნიკიფორ ყარამანიჩს ჩაუსახლდა და ცოლი გააშვებია.

— აბა, აბა მაგისთანა პროვოკაციები არ იყოს. ყარამანიჩმა თვითონ გაუშვა ცოლი, ეგ მერე მივიდა მასთან.

— ჟორასთან რო ცხოვრობდა?

— რას ლაპარაკობ, რას, ჟორასთან მაგ კი არ ცხოვრობდა, თვითონ ჟორა ცხოვრობდა მაგასთან, მარა აუკრა გუდა-ნაბადი და სახლიდან გააგდო.

— ახლა შენ გადაგეკიდა?

— მე გადამეკიდა თუ მე გადავეკიდე, რა დროს მაგის რკვევაა. ორასი მანეთი მომეცი, თორემ ახლავე გავალ ტრამვაი-ტროლეიბუსის სისტემაში სამუშაოდ!

— დედა, დედა, რა მესმის ეს. ტრამვაის კონდუქტორობას აპირებ, გინდა თავი მომჭრა...



# დედა ნახე, მამა ნახე...

## აკაკი ბელიაშვილი

იუმორისტული მოთხრობა

კბილდასაძრობი, შენ და მამაჩემი. ისე, რო თქვას კაცმა, ღირსი კი ხართ, რომ ორთავეს დაგაძროთ კაცმა კბილები. მომეცი ახლა ორასი მანეთი, ბევრს ნუ ლაპარაკობ...

— ბიჭო, ველარ ვპარავ მამაშენს ამ ფულებს, ველარ... აქამდე მოქონდა სახლში, მაგრამ მას შემდეგ რაც უბედურ ანდუყაფარ ანდუყაფარიჩს სახლში პიტხოტ ტიშჩი უნახეს და ვერაფერი ქრთამით თავი ველარ დაიხსნა, მამაშენი სახლში კაპეიკს აღარ აყენებს. სად მიაქვს, არაფერი არ ვიცი.

— რა არ იცი, რა?! შესანიშნავად იცი და როცა გჭირდება ბლუჯა-ბლუჯა მოგაქვს.

— შენი გულისთვის ჩავდივარ მაგას. ამხნის ქალი ქურდად გადამაქციე.

— რა ვიცი, ახალგაზრდა ვარო, ქვეყანას აყრუებ და ახლა გახდი „ამხნის" ქალი? ქურდად გადამაქციეო! ქურდის ქურდი ცხონდაო, არ გაგიგონია? მერე და მამაჩემი თუ კადრულობს ქურდობას, ვითომ შენ რა წითელი კოჭი ხარ. შენ უფრო დაგშვენდება.

ქონლის" გამგის ვაჟი გასმაჰა თეთლოკაშვილი.

— გასმაჰა რა სახელია?

— მამამისს დაურქმევია. სამი სიტყვის თავხართი ახოებისაგან შეუდგენია: გაუმარჯოს ხმა-ჰამას — გასმაჰა.

— გვარიც კარგი ჰქონია, თათილოკაშვილი. კიდევ ვინაა?

— კიდევ ჩვენი წიწკვი გოგო ლამზირა...

— ბიჭო, კიდევ მაგ გოგოს დასდევ?

— დავსდევ რომელია, საცოლეა ჩემი.

— რამდენის საცოლეა და რამდენის ცოლი ის ღმერთგამწყრალი, ეს გამაგებია ნეტავი.

— რანაირი ხართ ეს ქალები. გშურთ ახლა, ყველას რო მოწონს ის გოგო და აღარ ზოგავთ.

— ბიჭო, ის ხომ ბიჭიკოს ცოლი იყო.

— ცოლი არა, ფლავი!

— ორას მანეთს თუ მომცემ, არ მოგჭრი თავს, თუ არ მომცემ, თავის მოჭრა მაშინ ნახე შენ...

— რა ვქნა ახლა მე უბედურმა, სად ვეძებო ორასი მანეთი...

— ძებნით მე კარგა ხანია ვეძებე და რომ რამე მეპოვნა ამ ჩვენს სახლში, შენი შეხახვეწი რა მქონდა. გამოიტანე შემნახველ სალაროდან.

— მე აღარაფერი მაქვს. მამაშენს უთხარი.

— მამაჩემს რა პირით ვთხოვო. გუშინ მომცა ასი თუმანი.

— მერე სად გააქრე ასე ერთ წუთში?

— ამას უყურეთ ახლა. ასი თუმნის გაქრობა რაა. გინდა ნაძლევი დავდოთ, მომეცი ასი ათასი მანეთი და სანამ შენ იმას დაითვლი, მე დახარჯვას მოვასწრებ.

— ბიჭო, შოვნაში უნდა იყო მარჯვე, შოვნაში.

— შოვნაში მამაჩემია მარჯვე, დახარჯვაში მე. თუ დახარჯვა არ შეგიძლია, ისე რათ გინდა რამე რო იშოვო ქვეყანაზე. ჯერ დახარჯვა უნდა ისწავლო, მერე შოვნა. მე ხარჯვას ვსწავლობ და ჯერ მარტო პირველ კურსზე ვარ... ორას მანეთს გჭირდები. შენ ნახე მეხუთეზე რო გადავალ.

— ამას უყურეთ ახლა! ბიჭო, ხარჯვა მე შენზე ნაკლები ვიცი? ჟერ ვბედავ, ხალხმა არ გამიგოს, სად იშოვა ამდენი ფულიო, თორემ ხარჯვას შენ მასწავლი? მაგის გულობიზა აგერ ვიხუხოლის შუბა იყიდება თლა ტყვილა, სოროკ ტიშჩათ და ვერ გამიბედია. ვინმემ რო გეიგოს, უბედურ მამაშენს მაშინვე რევიზიას დაასხავენ თავზე.

— ჰოდა, იმიტომ გეუბნები, ასე წვრილ-წვრილად, ორას-სამას მანეთობით ვჭამოთ ეს ფული-თქო, უნდა დამიჯერო, დედაჩემო, მე ჭკვიანი ბიჭი ვარ. სულერთია, მაგას არავინ შეგარჩენთ. მამაჩემს მაინც ჩააყუდებენ და ეგ ფულები სულ ქრთამებში...

— ძიმწარე შენს ენას. გაჩუმდი, შე სახიკვდილე, ენამ არ გიყივლოს... ჰა, ორასი მანეთი, წადი, წაეთრიე სადაც გინდა, ოღონდ მომშორდი, არ განახოს ჩემმა თვალებმა.

— ორასი კიდევ დაადევი ამას, თორემ იმისთანა რაცხას გეტყვი, სულ თმები დაიგლიჯო.

— დედაია, იცი რამე?

— ორასი მგონია ცოტა ვუთხარი, ამ ორასს სამასი მოუხდება. სამასს გჭირდები, მომეცი.

— ბიჭო, ნუ გამტკვლიცე გულზე, თქვი თუ რამე იცი.

— მაძლევ თუ არა ხუთას მანეთს?!

— ჯერ მითხარი.

— ამას უყურე ახლა. მართალია სულელს კი მიძახი, მარა არც ისე თლა სულელი ვარ, ამაში მომატყუო. კაის რო გეუბნებოდე რამეს, მაშინ ქე ვენდობოდი შენს სიტყვას და მართლა კი მომცემდი კიდე სამას მანეთს. შენ რომ თმების გლეჯას შეუდგები, მერე მომცემ რამეს? მეტი არაა შენი მტერი. მოიტა კიდევ სამასი და...

— არ მინდა არც შენი ამბავი, არც შენი დანახვა. წადი, მომშორდი...

— ახლა ხასწრაფოდ მჭირდება ფული, თორემ მამაჩემმა, მართალია, გუშინ ასი თუმანი მომცა, მაგრამ დღეს რომ მეთქვა, ორას თუმანსაც არ დაიშურებდა...

— ვითომ რატომაო?

— ერთი იმისთანა რამე ვიცი...

— დედაია, რა? რა? რა? ჰა, სამასიც. რა? რა? რა? თქვი ჩქარა, თორემ ამოვიდა სული. ჩქარა თქვი, თორემ გადავირიე. თქვი-მეთქი...

— დამაცა...

— თქვი, თქვი, თქვი...

— თუ არ მაცლი...

— თქვი ჩქარა, არ გესმის... თქვი...

— თუ არ მათქმევიე, რაფერ ვთქვა.

— ჰოდა თქვი. ჩქარა, ამ წუთში, რას გაჩუმებულხარ, თქვი... დედაია, რას ჩაგივარდა მაგ სამიწე ენა, ამოიღე ხმა. რას დაგება მაგ ენა.

— ჩუმაათ! გაჩუმდი? აგრე. ახლა ყური დამიგდე და გეტყვი. მამაჩემმა თავის ხოფია ნაბუქოდონოსოროვნას ორმოცდათასიანი ვიხუხოლის შუბა...

— აააჰ! ააააააჰ! მიშ... მიშველეთ. წყალი... წყალი...

— კაი, გაჩერდი ახლა დედაჩემო. საიდან მოგიტანო ახლა წყალი. ჯერ ბულაჩაური კიდო არაა მოთავებული. ღვინო თუ გინდა...

— მივდივარ. მე იმას ვაჩვენებ...

— სად მიხვალ?

— გოსკანტროლში... მე იმას ვაჩვენებ, როგორც უნდა საზოგადოებრივი ქონების ფლანგვა... იქ აგოს იმ უმაწვილმა პასუხი. უზიდოს მერე პეროდაჩა მისმა სოფოჩკამ.

განსვენებული მწერლის აკაკი ბელიაშვილის ეს მოთხრობა რედაქციას გადმოსცა მისმა ქალიშვილმა მანანა ბელიაშვილმა.

# შილერის დაბრუნება

დიდი გერმანელი პოეტის ფრიდრიხ შილერის გარდაცვალების შემდეგ მისი სახიდან ორი ნიღაბი გადაიღეს (თაბაშირისა და ტერაკოტის), რომლებიც დღესაც ინახება ვაიმარის ბიბლიოთეკაში.

შილერი ქალაქის აკლდამაში დაკრძალეს. ოცდაერთი წლის შემდეგ ვაიმარის ბურგომისტრმა შვაბემ გადაწყვიტა პოეტის ნეშთი სხვა ადგილზე გადაეტანა. ეს არც ისე ადვილი საქმე გამოდგა. ამ დროისათვის აკლდამაში უკვე სამოცდაათზე მეტი ადამიანი იყო დასაფლავებული. გარდაცვლილთა სხეული და ტანსაცმელი წლების განმავლობაში გაიხრწნა. როგორღა უნდა გამოეცნოთ პოეტის ნეშთი უამრავ ჩონჩხებს შორის?

შვაბე მოთმინებით განაგრძობდა ძებნას. ბოლოს შილერის ჩონჩხი და თავისქალა იპოვეს. დიდმა გოეთემ მისთვის გადაცემულ ოცდასამ თავისქალადან ამოარჩია სწორედ ის, რომელსაც შვაბე შილერის თავისქალად თვლიდა.

შილერის თავისქალიდან აღებულ იქნა თაბაშირის ასლი. გოეთეს თხოვნით შილერის ნეშთი მალე გადაიტანეს ჰერცოგ კარლ-ავგუსტის აკლდამაში, სადაც ხუთი წლის შემდეგ დამარხული იქნა გოეთეც.

1883 წელს ანატომმა ველკერმა საჯაროდ განაცხადა, რომ შილერის თავისქალის ასლი, რომელიც ვაიმარის ბიბლიოთეკაში ინახება, არ შეეფარდება პოეტის სიკვდილის შემდეგ მისი სახიდან აღებულ ნიღაბს. მაშასადამე, შვაბემ და გოეთემ შეცდომა დაუშვესო.

დაიწყო ხანგრძლივი დისკუსია, რომელშიც გერმანიის უდიდესმა ანატომებმა და ანთროპოლოგებმა მიიღეს მონაწილეობა.

ოცდარვა წლის შემდეგ გერმანელმა მეცნიერმა ფრორეპმა, რომელიც ველკერის აზრის სისწორეში ღრმად იყო დარწმუნებული, განაცხადა, რომ შილერის სახის თაბაშირის ნიღაბი არ შეესაბამება ორიგინალს: იგი ნატურაზე დიდია, რადგან დროთა განმავლობაში თაბაშირი ფართოვდება. ფრორეპმა ამ ნიღაბს „გიგანტური" უწოდა. იგი თვლიდა, რომ ტერაკოტის ნიღაბი უფრო შეეფარდებოდა შილერის თავის სიდიდეს.

მეცნიერები კვლავ შეუდგნენ იმ დროისათვის უკვე დანგრეული აკლდამის გათხრას. იქ ნაპოვნ სამოცდაჩვიდმეტ თავისქალას შორის ამოარჩიეს ერთი, რომელიც ზომით ყველაზე მეტად უახლოვდებოდა პოეტის ტერაკოტის ნიღაბს.

1912 წელს ანატომთა მიუნხენის კონგრესზე ფრორეპმა მოახერხა დაერწმუნებინა კონგრესის მონაწილეთა უმრავლესობა, რომ მის მიერ ნაპოვნი თავისქალა ნამდვილად შილერის იყო.

ეს თავისქალა და ჩონჩხი შილერისა და გოეთეს აკლდამაში მოათავსეს, მაგრამ დისკუსია ამით არ შეწყვეტილა. პირიქით, ერთი წლის შემდეგ იგი ახალი ძალით გაჩაღდა. ეს გარემოება იმან გამოიწვია, რომ ფრორეპის მოწინააღმდეგეებმა განაცხადეს, ნაპოვნი თავისქალა ქალისა არისო...

შილერის ირგვლივ ატეხილი კამათი სამოცდათვრამეტი წლის განმავლობაში გრძელდებოდა უშედეგოდ.

იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს გადაეწყვიტათ იგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ კონსულტაციისათვის მოიწვია საბჭოთა სკულპტორი-ანთროპოლოგი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მიხეილის-ძე გერასიმოვი.

1961 წლის 7 სექტემბერს მ. გერასიმოვის მონაწილეობით აკლდამაში გახსნეს ორივე სარკოფაგი: პირველში იყო 1826 წელს ნაპოვნი ნეშთი, მეორეში —1911 წელს ნაპოვნი ჩონჩხის ძვლები. პირველ სარკოფაგში იდო ორმოც წელს გადაცილებული მაღალი ტანის მამაკაცის ჩონჩხი. მეორეში—ახალგაზრდა ქალის თავისქალა, — ქვედა ყბა და გრძელი ძვლები კი, როგორც ჩანდა, რამდენიმე მამაკაცს ეკუთვნოდა.

და მაინც, ერთხელ და სამუდამოდ რომ გამოერიცხათ ეს თავისქალა, გერასიმოვმა მის მიხედვით გააკეთა პროფილის გრაფიკული რესტავრაცია. აღდგენილი სახე იმდენად შორს აღმოჩნდა პოეტის პროფილისაგან, — ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ეს ქალა შილერს არ ეკუთვნოდა.

მაგრამ ხომ შეიძლება შვაბეს და გოეთესაც დაეშვათ შეცდომა? მაშინ არც ერთ თავისქალას საერთო აღარ ექნება შილერთან.

გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო: მ. გერასიმოვის მიერ თავისქალიდან აღდგენილ სახეს უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი.

მაშ ასე, შილერისაა ეს თავისქალა თუ არა?

სკულპტორი-ანთროპოლოგი მ. გერასიმოვი თავისქალას პროფილზე აღებს ცვილის ნაჭერს და მასზე ხაზავს ცხვირის გამოშვერის კუთხეს. თითქოს და უბრალო ტექნიკური საქმიანობაა, მაგრამ იმისათვის, რომ ზუსტად გააკეთო ყველაფერი, საჭიროა თავისქალის აღნაგობის უმცირესი ნაწილების ზედმიწევნით შესწავლა, საჭიროა ცოდნა იმ დეტალებისა, რომლებიც სახეს აძლევს დამახასიათებელ განუმეორებელ გამოსახულებას, საჭიროა ახალი, ადრე უცნობი თანაფარდობების მოძებნა.

ანთროპოლოგის ხელი მოძრაობს ცვილის ნაჭერის გასწვრივ. მაგიდაზე ეცემა ცვილის მოჭრილი ნაჭრები, ჩნდება პროფილი: მაღალი შუბლი, ოდნავ ჩაწეული ზედა ტუჩი, ნიკაპის დამახასიათებელი ფორმა...

როგორ ძგერს გული! რა დაძაბული ყურადღებაა აღბეჭდილი ყველას სახეზე, ვინც თვალს ადევნებს ცოცხლისა და მკვდრის ამ უჩვეულო ორთაბრძოლას

ადამიანი, რომელსაც ბუნებამ მიანდო თავისი საიდუმლოება, ასწავლა ძველად გარდაცვლილთათვის მათი გარეგნობის დაბრუნება, ამთავრებს მუშაობას.

დიახ, ეს შილერია! გერასიმოვის ხელში დიდი პოეტის ნამდვილი თავისქალაა. გოეთე არ შემცდარა! ბრძენი მოხუცის გამჭრიახმა თვალმა მუნჯ თავისქალაში კარგად დაინახა თავისი მეგობრის სახე.

ახლა გასაგებია მეცნიერთა კამათის მიზეზიც. ოსტატმა, რომელიც პოეტის სიკვდილის შემდეგ მისი სახიდან ნიღაბს იღებდა, მრავალი მცირე შეცდომა და არასიზუსტე დაუშვა.

მაშ ასე, მიზანი მიღწეულია, მრავალწლიანი დავა რამდენიმე საათში გადაწყდა. მაგრამ შექმნილი იქნა მხოლოდ შილერის სახის სქემა, რომელიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა პორტრეტს.

შილერის პორტრეტულ რეკონსტრუქციაზე მ. გერასიმოვი მოსკოვში განაგრძობდა მუშაობას. დიდი დრო და ენერგია იქნა დახარჯული სანამ მეცნიერი მუშაობას დაამთავრებდა.

მეცნიერის ნიჭმა, შერწყმულმა მხატვრის შინაგან მდიდარ სამყაროსთან, შეძლო შილერის აღდგენილ სახეზე ოსტატურად გაეხსნა დიდი პოეტის სულიერი სიმდიდრე, მისი ხასიათი და ბუნება.

ა. ქავთარაძე

# ვახტანგ თულაშვილი

„ვინ არის ვ. თულაშვილი?" — ასე ეწოდებოდა გ. ზარდალიშვილის წერილს, რომელიც ჟურნალ „დროშას" (№ 2, 1968 წ.) ფურცლებზე გამოქვეყნდა. ავტორს, როგორც მისი წერილიდან ჩანს, არ ჰქონია საკმაო ცნობები ვ. თულაშვილზე და მხოლოდ მის კარტოგრაფიულ საქმიანობას შეხებია.

ვახტანგ თულაშვილი იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საკმაოდ სახელმოხვეჭილი მოღვაწე, ღრმად განათლებული პიროვნება, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, „საქართველოს მოამბის" თანამშრომელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, სახალხო განათლების დიდი ენთუზიასტი.

ვახტანგ თულაშვილის კალამს ეკუთვნის ნაშრომი — „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება" (1904 წ.), დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის მასალები (1895 წ.), ცნობილი ისტორიკოსის სულხან ბარათაშვილის შესახებ წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა (1866 წ.), სახელმძღვანელოები საშუალო და სპეციალური სასწავლებლებისათვის და ა. შ.

ვახტანგ თულაშვილმა უდიდესი ღვაწლი დასდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; ეს საზოგადოება 1879 წელს დაარსდა. ვახტანგ თულაშვილთან ერთად მისი წესდების დამტკიცებისათვის დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილსა და ნიკო ცხვედაძეს.

შემთხვევითი როდი იყო, რომ იაკობ გოგებაშვილმა თავის „ბუნების კარს" ვახტანგ თულაშვილის მიერ შესრულებული ამიერკავკასიისა და საქართველოს რუკები დაურთო. ვ. თულაშვილი იყო მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის მეგობარი და, რაც მთავარია, შესანიშნავი გეოდეზისტი-ტოპოგრაფი.

ვახტანგ თულაშვილი დაიბადა 1884 წელს სოფელ ზირბითში. განათლება მიიღო კავკასიის სამიჯნო სკოლაში („მეჟევაია შკოლა"), რომელიც წარჩინებით დაამთავრა. შემდეგ ვ. თულაშვილი და მიხ. ყიფიანი ამავე სკოლაში ასწავლიდნენ, ამასთან უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ იქვე დაარსებულ საკვირაო სკოლის მოსწავლეებსაც. ვ. თულაშვილი კარგად უთანხმებდა ერთმანეთს სამსახურსა და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მუშაობას. იგი გარდაიცვალა 1910 წელს თბილისში.

ვახტანგ თულაშვილს მიუძღვნა ანტონ ფურცელაძემ თავისი მოგონებები: „ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები და მათში ვახტანგ თულაშვილის მონაწილეობა", რომელიც გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1911 წელს.

ს. ხუციშვილი

# სიმონ ჯიქიანი
# ვაზი გერმანიაში

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ეთმობა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას. ზვრების ფართობების ზრდასთან ერთად ყოველწლიურად უმჯობესდება ყურძნის დამუშავების ტექნოლოგია, მაღლდება ღვინოების ხარისხი. მომხმარებელთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობს „თეთრი ბურგუნდული", „ტრამინერი", „რულენდერი" და სხვა მარკების მაღალხარისხოვანი ღვინოები.

გერმანიაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. უძველეს არქივებში შემონახულია ორი მეტად საყურადღებო დოკუმენტი, რომლებიც გერმანიაში პირველი ზვრების გაშენებაზე მოგვითხრობს.

პირველი დოკუმენტის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანიაში ვაზი დასავლეთის ქვეყნებიდან შეიტანეს მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

მეორე უძველესი დოკუმენტით მტკიცდება, რომ გერმანიაში ვაზი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, კერძოდ ამიერკავკასიიდან გავრცელდა მეშვიდემერვე საუკუნეებში.

მეორე დოკუმენტი რომ უფრო სანდო და სარწმუნოა, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ოტო მეორისა და საბერძნეთის პრინცესას თეოფანის ცხრაას სამოცდათორმეტი წლის საქორწინო ხელშეკრულებაში მოხსენებულია ოტო მეორის მფლობელობაში მყოფი „ვენახები".

გერმანიის არქივებში შემონახული უძველესი დოკუმენტი ერთხელ კიდევ ნათელს ჰფენს იმ მოსაზრებას, რომ ევროპის ქვეყნებში ვაზი ამიერკავკასიიდან, კერძოდ კი საქართველოდან უნდა იყოს გავრცელებული.

# ღიმილის კუთხე

## პოლონელი პოეტის იულიან ტუვიმის აფორიზმებიდან

ეგოისტია ის, ვინც თავის თავზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე ჩემზე.

რადიო საუცხოო გამოგონებაა, ხელის ერთი გაქნევა და... არაფერი აღარ ისმის.

იცხოვრე ისე, რომ შენი სიკვდილის შემდეგ მეგობრებმა მოიწყინონ.

ორთქლი წყალია ზეშთაგონების წუთებში.

აქლემს შეუძლია მთელი კვირა იმუშაოს და არ სვას, ადამიანს კი — მთელი კვირა სვას და არ იმუშაოს.

მე ის კი არ მიკვირს, ასტრონომები ახალ პლანეტებს რომ აღმოაჩენენ ხოლმე, არამედ ის, თუ საიდან იგებენ მათ სახელწოდებას.

ბედნიერი კაცი რომ წყალში გადააგდო, იქიდან კბილებში თევზებგარჭობილი გამოვა.

ივლისი ის თვეა, როცა ვერ შეძლებთ ტრამვაის იმ ფანჯრების გაღებას, რომლის დაკეტვა შეუძლებელია იანვარში.

თუ სპილოს უკანა ფეხში სწვდი და მან ამ ფეხის გამოგლეჯა დააპირა, წინააღმდეგობას ნუ გაუწევ.

პროგრესი: ჩიტები, რომლებიც წინათ ტელეფონის მავთულებზე ისხდნენ, ახლა ტელევიზორის ანტენებზე გადაბარგდნენ.

ერთ ქალს: ოხ, ნეტა ოცი კილოგრამის წინათ გამეცანით!



აბსტრაქციონისტი მხატვრის სახელოსნოში.

ნახატი ი. დოიაშვილისა.



# კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 4. ქართული ბალეტი; 8. პატარა ზღვის თევზი; 9. ხე ტირიფისებრთა ოჯახისა; 11. მწვერვალი კავკასიონზე; 13. ცნობილი ქართველი ალპინისტი ქალი; 14. ზოგიერთი ხილის მომჟავო წვენი, საწებლად მოდუღებული; 16. საფრანგეთის მეფეთა დინასტია XIV-XV საუკუნეში; 17. დესპოტიზმი; 18. საგრილებელი; 21. საცალფეხო გზა; 23. ქინქლა, ერთგვარი წვრილი მწერი; 25. ვისიმე მოქმედების, მოღვაწეობის ჩვეული, კარგად ცნობილი გარემო; 28. იალქანი; 29. დედაკაცი, ქალი; 30. საზედას ძაფის დასახვევი მოკლე ჯოხი მაქოში ჩასადები; 31. მდინარე გერმანიაში; 33. თავდავიწყებით გატაცება; 36. სახელმწიფო აზიაში; 37. ფიცრის დასაკეცი საკეცი, ასაფარებელი ფანჯარაზე ან კარზე; 40. ცუდის მანიშნებელი; 41. ჭოტი; 44. საშუალო სიმაღლის ხე; 47. უმწეო, საწყალი, ბეჩავი; 48. საგანგებოდ მოწყობილი მოედანი ცხენების საჭენებლად; 49. ერთწლოვანი კულტურული მცენარე პარკოსანთა ოჯახისა; 51. სითხის ან გაზის სადენი მილის საკეტი; 52. ქვემეხის დაზგა, რომელზედაც მაგრდება ლულა; 53. ძირითადი მოსახლეობა ერთ-ერთი ავტონომიური ოლქისა.

ვერტიკალურად: 1. მუსიკალური ნაწარმოები ერთი ხმისათვის; 2. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე შროშანისებრთა გვარისა; 3. ზრდადაუმთავრებელი ქათამი; 4. ფისიანი ქვანახშირის სახეობა, რომლისგანაც აკეთებენ მძივებს და სხვა სამკაულებს; 5. გასამრჯელოს მისაღები თანხის აღებული ნაწილი; 6. მთის ჯიშის ნამსხვრევები წვრილი ქვების სახით; 7. ქუჩის მონაკვეთი ერთი გადამკვეთი ქუჩიდან მეორემდე; 10. ნახშირის გასაჩაღებელი თავლია ლუმელი; 12. შეწევით დაწყებული ახალი სტრიქონი; 15. ილეთი ჭიდაობაში; 19. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 20. სცენა; 21. ქსოვილი ბადესავით მეჩხრად ნაქსოვი წმინდა ძაფისა; 22. მდინარე საფრანგეთში; 23. დაბალი ტანის ბუჩქი, რომელიც ისხამს შავ მოტკბო ნაყოფს და ხმარობენ საჭმელად; 24. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი; 26. წიწვიან მცენარეთა გამკვრივებული ფისი; 27. კვების პროდუქტი — პურის უფუარო ცომისაგან დამზადებული გამხმარი მილაკები; 32. სასიმინდე; 34. ეკლიანი ტყავით მოსილი პატარა მწერიჭამია ცხოველი; 35. ქალის სახელი; 38. შრომის შინაარსის მოკლე გადმოცემა; 39. ორწევრი; 42. მყუდრო ცხოვრება; 43. ფრანგი მწერალი ქალი; 45. სქელი და მაგარი ქაღალდი; 46. ჭაობის მცენარეთა ხრწნის შედეგად წარმოშობილი მკვრივი მასა; 50. თვალის გუგა.

გარეკანის პირველ გვერდზე: ტყუპი დები. ფოტო გ. თიკანაძისა. მეოთხე გვერდზე: მოზეიმე თბილისი. ფოტო გ. თიკანაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IV-63 წ. გამომც. № 33, ქაღ. ზომა 70×108$^1/_8$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23.500. შეკვ. № 806, უე 06360
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველი დარტყმა



უტევს ს. მეტრეველი



გარღვევაშია მ. მესხი

# დიდი ფეხბურთის ერთი დღე

ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოცკისა

დარტყმა



არის!

არის?







ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა

